საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო
ჟურნალი

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

A R C H A E O L O G Y

The Scientific Journal of the University of Georgia

თბილისი

Tbilisi

2017

საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი
International Archaeological Centre of the University of Georgia

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, საქართველო

Printed at The University of Georgia
Tbilisi, Georgia

საავტორო უფლებები© 2017 ეკუთვნის საქართველოს უნივერსიტეტს. ყველა სახის ციფრული ან ბეჭდური სახით გავრცელება წინამდებარე ჟურნალში არსებული სტატიებისა და ფოტო-ვიზუალური მასალისა კომერციული მოგების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

Copyright © 2017 All right reserved by the University of Georgia. Permission to make digital or hard copies of part or all of this work for personal or classroom use is granted without fee provided that copies are not made or distributed for profit or commercial adventage.

ჟურნალში წარმოდგენილი სამეცნიერო აზრები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა პასუხს არ აგებს სტატიების სამეცნიერო შინაარსზე.

No responsibility for the views expressed by authors in the ,,Archaeology" scientific journal of the University of Georgia is assumed by the editors or the publisher.

"არქეოლოგია" საქართველოს
უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი,
საქართველოს უნივერსიტეტი.
საქართველო, თბილისი. 0175
კოსტავას 77, კორპუსი IV
ტელ: (+995 99) 319915

,,Archaeology" Scientific journal
of the University of Gerogia,
The University of Georgia.
Georgia. Tbilisi. 0175
M. Kostava Street 77, Building IV
Tel: (+995 99) 319915

Email: ug@ug.edu.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია © 2017
Copyright © 2017

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი "არქეოლოგია"
"Archaeology" the scientific journal of the University of Georgia

სამეცნიერო რედაქტორი Scientific Editor	დავით ბერიკაშვილი David Berikashvili
ტექნიკური რედაქტორი Managing Editor	ნინო სუარიძე Nino Suaridze
ყდის დიზაინერი Designer	ჯულიეტა ანდღულაძე Julieta Andguladze

სარედაქციო საბჭო
Editorial Board

გურამ ლორთქიფანიძე Guram Lordkipanidze	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
დავით ლომიტაშვილი David Lomitashvili	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
გურამ გრიგოლია Guram Grigolia	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
დარეჯან კაჭარავა Daredjan Kacharava	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
იულონ გაგოშიძე Julon Gagoshidze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ვახტანგ ლიჩელი Vakhtang Licheli	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
მინდია ჯალაბაძე Mindia Jalabadze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ნიკოლოზ მურღულია Nikoloz Murgulia	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum

სარჩევი
Contents

დავით ბერიკაშვილი
David Berikashvili
არქეოლოგიური დაზვერვები სამშვილდის კონცხზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2015 წელს 8
Archaeological reconnaissance on Samshvilde Cape and the adjacent area in 2015.....32
ლევან ჭაბაშვილი
Levan Chabashvili
თრიალეთის კულტურა - ახალი საკვალიფიკაციო ნაშრომი თრიალეთის კულტურის შესახებ 41
New qualifyng work on Trialeti Culture.....47
გიორგი ლაღიაშვილი
Giorgi Lagiashvili
გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები თურდოს ხეობიდან.....48
The burial of the Late Classical Period in Turdo Gorge.....64
ვაჟა მამიაშვილი
Lazha Mamiashvili
დოლოჭოპის ბაზილიკის სამაროვანი.....65
The basilic of Dolochopi.....75
ნიკოლოზ მურღულია
Nikoloz Murgulia
საველე არქეოლოგიური დოკუმენტაციის მომზადების მეთოდები.....81
The methods of the Field-Archaeological recording.....86
ირაკლი სოზიაშვილი
ერთი შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ.....89
დავით ბერიკაშვილი
David Berikashvili
,,სამშვილდე'' - საქართველოს უნივერსიტეტის პროექტი.....96
“Samshvilde” – the project of the University of Georgia 102
მარიამ გაბისონია
ინტერვიუ იულონ გაგოშიძესთან 115

საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალი ,,არქეოლოგია“ წარმოადგენს კრებულს, სადაც 2015 წელს, უნივერსიტეტში გამართულ ახალგაზრდა არქეოლოგთა პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა შინაარსები სამეცნიერო სტატიების სახით იბეჭდება.

გარდა ამისა, ჟურნალის ამ და ყველა მომდევნო ნომერში ადგილი ეთმობა რუბრიკებს - ,,პროექტი“ და ,,ინტერვიუ“, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა არქეოლოგიური პროექტები და ინტერვიუ ცნობილ არქეოლოგებთან.

წინამდებარე ნომერში განხილულია საქართველოს უნივერსიტეტის პროექტი ,,სამშვილდე“ რომელიც შემუშავდა 2012 წელს და დღესაც დინამიურად ვითარდება. აქვეა წარმოდგენილი სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამოქმედო სტრატეგია, ხედვა და სამომავლო გეგმა.

რუბრიკა ,,ინტერვიუ“ ჟურნალის სტუდენტურ ნაწილს წარმოადგენს, სადაც რესპოდენტი სტუდენტების მიერ შერჩეული ცნობილი ქართველი არქეოლოგია. პირველ ნომერს ამ სტატუსით იულონ გაგოშიძე სტუმრობს.

“არქეოლოგია“ პირველი მცდელობაა საქართველოს უნივერსიტეტში ამ პროფილის ჟურნალის დაფუძვნებისა. შესაბამისად, იგი არ არის დაზღვეული ხარვეზისგან. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, იგი მაინც შეიტანს თავის წვლილს საქართველოს უნივერსიტეტში ამ დისციპლინის განვითარებისა და ზოგადად, ქვეყანაში არქეოლოგიის პოპულარიზაციის საქმეში.

დ. ბერიკაშვილი

არქეოლოგიური დაზვერვები სამშვილდის კონცხზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2015 წელს

ბერიკაშვილი დავითი,
სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი,
საქართველოს უნივერსიტეტი

ისტორიული კონტექსტი

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია 2015 წელს საველე სამუშაოებს სამი მიმართულებით აწარმოებდა: პირველი - ნაქალაქარის კონკრეტული უბნების გეოარქეოლოკაციური მეთოდებით დაზვერვა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე არქეოლოგიურად პერსპექტიული უბნების განსაზღვრა [ოდილავაძე დ., ბერიკაშვილი დ. 2015], მეორე - ნაქალაქარის ციტადელში, სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით არქეოლოგიური გათხრების წარმოება კონცხის, მიმდებარე ხეობებისა და ტერიტორიების დაზვერვა.

თავად კონცხი, რომელსაც სამშვილდის კონცხის სახელით მოიხსენიება მდინარეების ქცია-ხრამისა და ჭივჭავას ხერთვისთან მდებარეობს (სურ.1). იგი 150-200 მ სიმაღლის ბაზალტოვან განშრევებებისაგან წარმოქმნილ კლდოვან მასივს წარმოადგენს, სადაც ადამიანის აქტიურობის კვალი უძველესი დროიდან ფიქსირდება. ეს ფაქტი აქ სხვადასხვა დროს შესრულებული კვლევებითაც დადასტურდა [ჭილაშვილი 1970. 118; მირცხულავა 1975. 10; ბახტაძე 2007. 25].

სურ. 1 Pic.

[ბერიკაშვილი., ბუხსიანიძე., გაბუნია... 2015], მესამე კი უშუალოდ ქართული საისტორიო ტრადიცია სამშვილდის უძველეს ისტორიას ქართ-

ველთა ეპონიმს ქართლოსს უკავშირებს: „...ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვან სამშვილდე. და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი . .“ [ქართლის ცხოვრება 1955. 8]. წყაროს მიხედვით ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ ორბის ციხე - სამშვილდე მისი შვილებიდან წილად გაჩიოსს რგებია რომელიც განაგებდა ტერიტორიას „...სკვრეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა..“ [ქართლის...1955. 9] და რომელმაც „...აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი...“ [იქვე. 10]. წინარე ელინისტურ და ელინისტურ ხანაში სამშვილდის კონცხი რომ მართლაც ყოფილა ათვისებული ადამიანის მიერ დასტურდება 1948-49 (Чубинашвили Н. 1969. 15; 22-24] და 1968 [ჭილაშვილი 1970. 118-119] წლებში შესრულებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოებითაც. გარდა ამისა, მნიშვნელოვან სიგნალად უნდა ჩაითვლოს 2014 წელს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კონცხის თხემზე ელინისტური პერიოდის დერგ-სამარხის აღმოჩენაც (სურ.2) [ბერიკაშვილი,. გაგოშიძე,. გაბუნია,. ცირამუა ს. 2014].

სურ. 2 Pic.

თუმცა, უკანასკნელ ხანებში ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული, პალეოგრაფიული, ეპიგრაფიკული და ლინგვისტური კვლევებით დგინდება რომ, სამშვილდის, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბება მხოლოდ და მხოლოდ სასანიანთა პერიოდში უნდა მომხდარიყო როდესაც „ . . ქართლის მეფე ბაკურ მირიანის ძემ (დაახ. 330/335-355 წწ.) რომის მოკავშირე სომხეთის მოძალებისაგან, ქვემო ქართლის (ტაშირი, აშოცი) უკეთ დაცვის მიზნით, პეროზს გაუცვალა ქვეყანა, საკუთრივ დაიჭირა რანჰერეთ-მოვაკანი, ანუ ალბანეთი და პეროზს უშუალო მმართველობაში გადასცა სამშვილდის საერისთავო - ტაშირი და აშოცი. ასე გახდა პეროზ სასანიანი, „ქართველთა ცხოვრების“ ტერმინოლოგიით, „სამშვილდის ერისთავი“, სადაც ერისთავი „პიტიახში“-ს ქართული თარგმანია [სანაძე მ. 2016. 256].

სურ. 3 Pic.

სამშვილდე მართლაც მნიშვნელოვან ცენტრად გვევლინება V საუკუნეში, როდესაც არჩილ მეფემ (ვახტანგ გორგასალის პაპა) იგი თავის შვილს მირდატს (მეფე მირდატ VIII) გადასცა: „...სამშვილდე ძესა თვისსა საერი-

სთოთა მისითა, და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ...“ [ქართლის ...1955. 142]. წყაროდან ასევე ჩანს, რომ დედოფალ საგდუხტს, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა მიუღია აქ ღვთისმშობ-ლის მიძინების სახელობის ეკლესია - სიონი აუგია. ვახტანგ გორგასლის ეპოქის შემდეგ (,,ადარნესე, ერისთავი სამშვილდისა“) სამშვილდის შესახებ წერილობითი წყაროები ფაქტიურად დუმან. მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ ცნობაში

სურ.4 Pic.

ჩნდება კვლავ პიტიახშ-ერისმთავარი ,,რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს..“ [ქართლის ...1955. 241] (,,სამშვილდის ქვეყანას“ დ.ბ.). კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ გორგასლის შემდგომ ხანებში, ვიდრე აღნიშნულ პერიოდამდე სამშვილდე კვლავაც პიტიახშის ,,გამგებლობის“ ქვეშ იმყოფება. ამასვე ადასტურებს სამშვილდის სიონის (756-777) წარწერაც (777/778), სადაც ,,..თესავით პტ~ხში...“ (,,ნათესავით პიტიახშნი“) ,,..ვ~ზბკრ“ (ვარაზ-ბაკური) და ,,..იოვანე..“ არიან მოხსენიებულნი [მუსხელიშვილი 1943. 97].

არაბების ამიერკავკასიაში გამოჩენასთან ერთად რეგიონში ვითარება იცვლება. თბილისის საამიროს შექმნის შემდეგ (VIII ს-ის შუა ხანები), ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი არაბი ამირას იურისდიქციის ქვეშ ექცევა. თუმცა, სამშვილდის სიონის წარწერაში ბიზანტიის იმპერატორების - კონსტანტინე V კოპრონიმისა და ლეონ IV ხაზარის მოხსენიება იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ თბილისის საამიროს გავლენა სამშვილდეზე ფიქტიური

ან მინიმალური უნდა ყოფილიყო. 853 წელს კი, ბუღა თურქის თბილისში ლაშქრობის დროს, რომლის მიზანსაც ამირა საჰაკის დასჯა წარმოადგენდა ამირა სწორედ სამშვილდის ციხეში ცდილობთა თავის შეფარებას - „...გავიდა კარით, (საჰაკი დ.ბ.) რომელიც მიემართებოდა სამშვილდის ციხისაკენ..“ [ცაგარეიშვილი. 1976. 269] თუმცა, უშედეგოდ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფესორი ქ. ქუთათელაძე აღნიშნავს რომ: „...სამშვილდე, ქვემო ქართლის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ამ დროს (853 წელს) ამირას იურისდიქციის ქვეშ რომ არ ყოფილიყო, როგორ გაბედავდა დამარცხებული საჰაკი თავშესაფარად ამ მიმართულებით წასვლას“ [ქუთათელაძე 2001. 68].

ბაგრატუნთა საგვარეულოს გვერდითი შტოს - კვირიკიანთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი გურგენ აშოტის ძე (კორიკე - კვირიკე I. 979-989 წწ.)ტაშირის მმართველად დაინიშნა საფუძველი ეყრება შირაკის სომხურ სამეფოზე ვასალურად დამოკიდებულ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს [Մաթեվույն 1982. 71], რომელიც ისტორიული ქვემო ქართლი-გოგარენეს ტერიტორიაზე 1118 წლამდე არსებობდა, ვიდრე დავით IV აღმაშენებელმა ლორე არ აიღო და ტაშირ-ძორაგერტის სამეფო არ გააუქმა.

გურგენ-კვირიკეს შემდგომ სამეფოს მეფე მისი უფროსი ვაჟი დავითი („ანჰოღინი“. 989 - 1046 წწ.) ხდება, რომელიც მამამისისგან განსხვავებით მართლაც ძლიერი ხელისუფალი გამოდგა. სომხური წყაროების მიხედვით



სურ. 5 Pic.

IX საუკუნის შუა ხანებიდან სამშვილდე და ზოგადად, მთელი ქვემო ქართლი შირაკის ბაგრატუნთა საგვარეულო დინასტიის გავლენის ქვეშ ექცევა, რომლებმაც ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე მოახერხეს კიდეც მისი ანექცია [ქუთათელაძე 2001. 83]. ცოტა მოგვიანებით, როდესაც დავით გურგენის ძემ ბრძოლებით განამტკიცა გავლენა „ვრაც დაშტზე“ (ქართველთა ველი) და ფლობდა დიდ და ძლიერ ციხესიმაგრეს - „შამშულდეს“ (სამშვილდეს) [Ստեփանոսի Տարոնեցւոյ...1885. 256]. დავით ანჰოღინს მიეწერება ტაშირ-ძორაკეტის სამეფოს დედაქალაქის ტაშირიდან სამშ-

ვილდეში გადმოტანა, რის გამოც იგი ,,მატიანე ქართლისა“-ის მიხედვით ,,სამშვილდარ-ძორაგეტელად“ იხსენიება. 1001 წელს სამშვილდეში სადამსჯელო ლაშქრობას აწყობს ანისის მეფე გაგიკ I რომელიც მიზნად ისახავდა ურჩი ძმის წულის დავით ანჰოღინის ძალაუფლების შესუსტებას. ,,...გაოგნებული (გაგიკი - დ.ბ.) თავს დაესხა ტაშირს, სამშვილდესა და ქართველთა ველს. ...დაანგრია, და გააპარტახა ყველაფერი. დაჰყო აქ სამი თვე... გაგიკის მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო (დავითმა - დ.ბ.)... “[Ստեփանոսի

სურ. 6 Pic.

…1885. 279-280]. როგორც წყაროდან ჩანს მიუხედავად იმისა, რომ გაგიკ I-მა მკაცრად დასაჯა გამდგარი დავითი, მაინც შეუნარჩუნა მას მეფობის ტიტული, ვინაიდან ანჰოღინი გაგიკის გარდაცვალების შემდეგაც (1020 წ.) ტაშირ-ძორაგეტის მეფედ გვევლინება.

დავით კვირიკიანის შემდგომი მეფის, მისი ვაჟის - კვირიკე II-ის დროს (1048-1089) ტაშირ-ძორაგეტის სამეფომ მართლაც მიაღწია დამოუკიდებლობას, როდესაც ბიზანტიის ექსპანსიის შედეგად, 1045 წელს ანისის სომხურმა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. თუმცა, ეს დამოუკიდებლობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან 1064 წელს სამეფოს დედაქალაქი სამშვილდე ჯერ სელჩუკთა სულთანმა არფ ასლანმა დალაშქრა, შემდეგ კი, ამავე წელს, საქართველოს მეფე ბაგრატ IV სომხეთიდან მომავალმა კვირიკე II შეიპყრო და აიძულა დედაქალაქი სამშვილდედან ლორეში გადაეტანა. მართალია შემდგომ ხანებში

კვირიკე II-ის შთამომავლები (აბასი და დავითი) კვლავ ცდილობდნენ ძალაუფლების აღდგენას და სამშვილდის უკან დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ.

ბაგრატ IV -ის მიერ მოპოვებული წარმატებები ქვემო ქართლში მისმა ვაჟმა, გიორგი II ვერ შეინარჩუნა. იგი იძულებული გახდა კეთილგანწყობილების მოპოვების მიზნით სამშვილდე ბაღვაშთა ძლიერი საგვარეულოსათვის „საჩუქრად“ გადაეცა: „...უბოძა ივანეს სამშვლდე..“ [მატიანე ქართლისა. 1955. 316], რომელმაც (სადაც, როგორც ჩანს იგი მძევლად იმყოფებოდა) გამოიპარა, რასაც მოჰყვა სელჩუკთა სასტიკი, დამსჯელი შემოსევა ქვემო ქართლში: „..ჩამოდგა სამშვლდის ბარს..“ (მალიქ შაჰი დ.ბ.) [ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. 1955. 318], „..მოადგა სამშვლდესა და წაუღო სამშვლდე...ივანე, თავითა ცოლითა და შვილისშვილთა და ყოველთა აზნაურთა დედა-წულთა...“ დაატყვევა [მატიანე ...1955. 317]. მართალია გიორგი II ცდილობდა ქვემო ქართლში სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლებით

სურ. 7 Pic.

პირველივე შესაძლებლობის დროს, თავისი შვილის ლიპარიტის პირით ერთგულება აღუთქვა სელჩუკთა სულთან მალიქ შაჰს გიორგი II -ის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მალევე ლიპარიტი სულთნის კარიდან ვითარება სამეფოს ინტერესების სასარგებლოდ შეეცვალა და ფარცხისთან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია (1073) მაგრამ სამშვილდიდან მტრის განდევნა მაინც ვერ შესძლო. მოყოლებული ამ ხანებიდან სამშვი-

ლდე თურქ-სელჩუკთა ხელშია, ვიდრე დავით აღმაშენებელმა იგი საბოლოოდ არ გაანთავისუფლა.

1110 წელს დავით IV - ის დავალებით, გიორგი ჭყონდიდელმა, მისმა დის შვილმა თევდორემ და ორბელთა გვარის წარმომადგენლებმა ივანემ და აბულეთმა ეფექტური მოქმედებებით შესძლეს სამშვილდის ხელში ჩაგდება (,,სიმარჯვით მოიპარეს“), რის შედეგადაც ციხე-ქალაქი ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადადის. ამ გამარჯვებას ისეთი ეფექტი ჰქონდა, რომ ,,...ცნეს რა თურქთა აღება სამშვლდისა, უმრავლესი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნნეს...“[ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. 1955. 331-332].

1110-1177 წლებში სამშვილდის მფლობელად ორბელთა ფეოდალური გვარი გვევლინება, თუმცა, 1177 წელს გიორგი III-ის მიერ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქალაქი კვლავ მეფის დაქვემდებარებაშია. წყაროს მიხედვით, XII საუკუნის დასასრულს, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ (1184 წ.) ,,...დიდებულთა კმასაყოფელთა წარმოიყვანეს სამშვლდით მთხობელთა საზაროთა და საშინელისა და მიუწდომელისა სათქმელისათა [და] მეფისა დედოფალი რუსუდან ...“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 1959. 24].

სამშვილდის ისტორიაში ოქროს ხანა სწორედ XII საუკუნეა, როდესაც იგი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაშია და მას ამირსპასალარი განაგებს. თუმცა

სურ. 8 Pic.

მონღოლთა გამოჩენისთანავე (XIII ს-ის 30-იანი წლები) იგი მტრის ერთ-ერთი პირველი სამიზნე ხდება და ცხადია, ეს უარყოფითად აისახა ქალაქის როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თემურ ლენგის 1400 და 1403 წლების შემოსევების შედეგად მთლიანად იქნა დარბეული ქვემო ქართლი. 1440 წელს კი სამშვილდე ხანგრძლივი ალყის შემდეგ, აღდგომა დღეს, თურქმანთა შაჰმა ჯეჰანმა აიღო, რომელმაც აქაური მოსახლეობა განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯა [თომა მეწოფელი. 1937. 24-26].

სურ. 9 Pic.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, მას შემდეგ რაც ქართლის სამეფო სამთავროებად დაიშალა, ჩამოყალიბდა ქვემო ქართლის სადროშო რომელსაც ბარათაშვილთა საგვარეულო ედგა სათავეში [კლიმიაშვილი 1964. 122]. სადროშოს ცენტრს, ვიდრე ბარათაშვილთა გვარის გაყრა მოხდებოდა, სამშვილდე წარმოადგენდა [კაკაბაძე 1913. 38]. XVI საუკუნის პირველ ნახევრიდან კი, როდესაც ბარათაშვილთა გვარის წარმომადგენლები იოთამი და ორბელი გაიყვნენ, წარმოიშვა ყაფლანიშვილ-ორბელიშვილთა სათავადოები რომლებიც მთლიანად მოიცავდა ქვემო ქართლს [ჯამბურია 1955. 79]. აღსანიშნავია, რომ საყაფლანიშვილოს ცენტრი (დღევანდელი სოფ. ტანძია) ქცია-ხრამისა და დმანისის ხევის საზღვარზე მდებარეობდა, მათვე ეკუთვნოდათ ფიტარეთისა და დმანისის მონასტრები, ასევე ციხეები დმანისში, ქვეშში და ხულუტში [ჯამბურია. 1955. 82]. როგორც ჩანს ყაფლანიშვილებს რეზიდენცია სამშვილ-

დეშიც ჰქონიათ, რაც ნაქალაქარზე მდებარე ,,პალატის კომპლექსის“ 2014 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი საფლავის ქვის ეპიტაფიით დგინდება. ხელოვნების ისტორიკოსის, გ. გაგოშიძის მიხედვით წარწერაში მოხსენიებული ,,ბატონი ერასტი“, რომელიც თავის უდროოდ (წლისა ,,გ,, - 3 წლის) გარდაცვლილ ვაჟს ოთარის კრძალავს თავისსავე კარის ეკლესიაში, 1725 წელს ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული ერასტი ყაფლანიშვილი უნდა იყოს [გაგოშიძე 2014. 18]. ამ ვარაუდს ადასტურებდეს ცნობა 1723 წელს ოსმალეთის სულთანის მიერ ერასტი ყაფლანიშვილის სამემკვიდრეოდ გადაცემული ტერიტორიების შესახებ, რომლებიც მოიცავდა ,,..ლორეს ნაჰიესა და სომხეთს შორის მდებარე ხოჯორნიას და მელიქაშენს სათესველებითურთ..“ (ბოლნისი, შულავერი) [აბულაძე 1975. 226,228].

XVIII საუკუნის შუა ხანებში სამშვილდის ციხე კიდევ ერთხელ ხდება მნიშვნელოვანი მშენებლობა-განახლებებისა და ბძოლების მოწმე. მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე თეიმურაზ II სპარსეთში, ნადირ-შაჰის კარზე გაემგზავრა (1747 წ.) სამშვილდის ციხეს გამაჰმადიანებული არჩილ ბაგრატიონი (აბდულა ბეგი) იკავებს: ,,წამოიღო ლორის ციხიდამ აბდულა-ბეგ ბატონიშვილმა ზარბაზნები და ჯაბახანა, შეიტანა ციხესა სამშვილდისასა... აბდულა-ბეგ ბატონიშვილი მოვიდა სამშვილდის ციხეში და დაუწყო კეთება და მაგრება ციხესა...“ [ორბელიანი 1981. 127].

სურ. 10 Pic.

როგორც ჩანს აბდულ-ბეგმა ერეკლე II - ის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადება სწორედ სამშვილდის ციხის გამაგრებით დაიწყო, რომლის დროსაც შემოიფიცა ბარათაშვილ-ორბელიშვილ-ყაფლანიშვილებიც: „...შენს მეტი ბატონი არ გვინდოდესო..“ (ორბელიანი... 1981 იქვე). წყაროს მიხედვით აბდულას მიეწერება სამშვილდის ბურჯებისა და წყლის რეზერვუარების მშენებლობაც: „... ააშენა სამშვილდის ორი დიდი ბურჯი, ამიერ და იმიერ გააკეთა აუზი დიდი წყლისა სადგურად და დაიჭირა ორის წლისა თადარიგი ყოვლიფრით...“ (იქვე). ომი, რომელმაც ორი წელი (1747-1748 წწ) გასტანა და სამშვილდის ისტორიაში უკანასკნელი იყო, ერეკლე II -ის მიერ ციხის აღებითა და სრული გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდგომ სამშვილდეში ბრძოლები აღარ გამართულა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამშვილდესა და ზოგადად, ქვემო ქართლში ეთნიკური სურათი მნიშვნელოვნად იცვლება. საუკუნის მიწურულიდან ამ ადგილებს სომეხთა ახლად შემოსული ჯგუფები იკავებენ, რომლებიც სახლდებიან ქვემო ქართლსა და ლორეს მიდამოებში [ჯავახიშვილი 1919. 31-32]. XIX საუკუნის დასაწყისიდან კი ამ რეგიონში რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით თურქულენოვანი მოსახლეობა, გერმანელები (1818) და ბერძნები (1829) ჩამოასახლეს [ყაუხჩიშვილი 1942]. ქვემო ქართლი დღესაც ასეთ, შერეული ეთნიკური ელემენტებით დასახლებულ მხარეს წარმოადგენს.

სურ. 11 Pic.



სურ. 12 Pic.

დაზვერვის შედეგები

ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ სამშვილდე და აქ განფენილი კულტურული ფენები უხვად შეიცავს სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურების მატერიალურ ნაშთებს. გარდა ამისა, ცხადია, რომ მნიშვნელოვა-

სურ. 13 Pic.

ნი რაოდენობის მასალა დროთა განმავლობაში კონცხის ზედაპირიდან ირეცხებოდა და ამგვარად ხვდებოდა მდინარეთა ფლატეებსა და ფერდობებზე არსებულ ბუნებრივ ტერასებზე (სურ. 3). შესაბამისად, კონცხის ზედაპირზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების პარალელურად აუცილებელია ამ ტერასების კვლევაც, ისევე როგორც იმ მღვიმეებისა, რომლებიც განვითარებულია მდინარეების ხრამისა და ჭივჭავას კანიონებში (სურ. 4). აღსანიშნავია, რომ 2007 წელს გამოცემულ ნაშრომში, ნ. ბახტაძე მდინარე ხრამის ხეობის ერთ-ერთ მღვიმეში კრემაციული სამარხის არსებობას ადასტურებს [ბახტაძე. 2007. 25]. აღნიშნულთან მიმართებაში უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2015 წლის სადაზვერვო სამუშაოების დროს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ხრამის ხეობაში მდებარე ერთ-ერთ გამოქვაბულში (Lat.41.50576 Long.44.4926) ადამიანის ზედა მესამე მოლარი აღმოაჩინა [ბერიკაშვილი, ბუხსიანიძე ... 2015]. ეს ფაქტი მღვიმეებისადმი ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს.

სურ. 14 Pic.

საველე სამუშაოების დაწყებამდე ექსპედიციის მიერ წინასწარ განისაზღვრა მარშრუტები, რომელიც გულისხმობდა: პირველი - სამშვილდის კონცხის ჩრდილოეთით, მდინარე ჭივჭავის მარცხენა მხარეს, მდინარის დონიდან 150-160 მეტრზე მდებარე პლატოსა და მის ფლატეებზე განვითარებული მღვიმეების დაზვერვებს; მეორე - სამშვილდის ნაქალაქარის სამხრეთით, მდ. ხრამის მარჯვენა მხარეს მდებარე ასეთივე პლატოს დაზვერვასა და მესამე, სამშვილდის კონცხის სამხრეთ ფერდზე მდებარე მღვიმეთა ჯგუფის დაზვერვასა და

მათთან მისასვლელი ბილიკების დაზუსტებას.

შესრულებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან გარდა ზედაპირულად მოძიებული არქეოლოგიური მასალისა, ექსპედიციამ დააფიქსირა დღემდე უცნობი მეგალითური ძეგლები და ციკლოპური ნაგებობის ნანგრევები.

მარშრუტი I
სოფ. სამშვილდე - ჭივჭავის გამოქვაბულთა I კომპლექსი
(სურ. 5)

სოფ. სამშვილდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმავალი ბილიკი ჰკვეთს ზეგანს, რომელიც თითქმის სამშვილდის კონცხის თხემის სიმაღლეზე მდებარეობს. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით იგი კონცხის იდენტურია და აგებულია ლავური ნაკადების გაციების შედეგად წარმოქმნილი ბაზალტური შრეებით. აქაც, ისევე როგორც ნაქალაქარზე ბაზალტოვანი ქანები მიწის ზედაპირზე გამოდის და ზოგიერთ შემთხვევაში ,,ბორცვების“ სახით გვხვდება (სურ. 6). ერთ-ერთ ასეთ ,,ბორცვთან“ ექსპედიციამ დღემდე უცნობი მეგალითური ნაგებობა - მენჰირი დაადასტურა (Lat. 41.50958 Long. 44.50213) რომელიც, 1.30 მეტრის სიმაღლის ვერტიკალურად აღმართულ ქვას წარმოადგენს (სურ. 7). აღსანიშნავია, რომ სამშვილდის ნაქალაქარზე მსგავსი მეგალითური ძეგლები (ორი მენჰირი, ტეტრალითი) დღესაც ზედაპირულად იხილება და მათ სიახლოვეს, კონცხის მოპირდაპირედ, ამგვარივე ძეგლის არსებობაც სავსებით ბუნებრივია.

მენჰირიდან ჩრდილო - აღმოსავლეთით, დაახ. 2.5 კმ-ზე ბილიკი ეშვება ჭივჭავის ხეობაში და ადგება გამოქვაბულთა მოზრდილ კომპლექსს, რომელსაც ჭივჭავის გამოქვაბულთა I კომპლექსს ვუწოდებთ (Lat. 41.51067

სურ. 15 Pic.

სურ. 16 Pic.

სურ. 17 Pic.

Long. 44.50841) (სურ. 8). კომპლექსი ოთხ იარუსად განლაგებულ 30-მდე გამოქვაბულს აერთიანებს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში მეტნაკლებად მოწესრიგებულ, ადამიანის სადგომ-ად გათვალისწინებულ სივრცეებს

წარმოადგენდა. გამოქვაბულთა უმრავლესობა დღეს მიუდგომელია, ვინაიდან კლდის ეროზიის გამო მათთან მისასვლელი ბილიკები აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, მოხერხდა 5 მათგანში ზედაპირული სამუშაოების ჩატარება რის შედეგადაც მოძიებულ იქნა 100-მდე კერამიკული ფრაგმენტი (სურ. 9), რომელთა შორის უმრავლესობა გვიანდელი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ფრაგმენტებია. გაცილებით მცირეა მოჭიქული ნამტვრევები, რომლებიც განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ მოუჭიქავი ნატეხების ასეთი სიმრავლე მოჭიქულთან შედარებით იმით აიხსნება, რომ ისინი განეკუთვნებიან ადამიანთა მიერ ამ გამოქვაბულებში ყოფნის ბოლო პერიოდს, რაც როგორც ჩანს გვიანდელ შუა საუკუნეებამდე გრძელდებოდა.

ზოგიერთი მღვიმე-გამოქვაბულის შესასვლელი, რომელიც სპეციალური აღჭურვილობის გარეშე მიუდგომელია, ხელოვნურად არის შენიღბულ-დაცული ქვითკირის კედლით (სურ. 10). მნიშვნელოვანია, მომავალში დაზვერილ იქნეს ამ ტიპის მღვიმეებიც და გაკეთდეს მათში საძიებო თხრილები სტრატიგრაფიისა და უფრო ძველი მასალის გამოვლენის მიზნით, რაც ჩვენი აზრით აქ აუცილებლად უნდა იყოს. ასევე, აუცი9ილებელია ჭივჭავის გამოქვაბულთა მეორე და მესამე კომპლექსების (სურ.11) დაზვერვაც, რის შედეგადაც მომზადდება ამ მიკრორაიონის არქეოლოგიურ-გეოლოგიური რუკა, რაც შექმნის საფუძველს მისი გეგმაზომიერი კვლევების დასაწყებად.

მარშრუტი II
დაზვერვები ადგილ „თაფანებზე“
(სურ. 12)

ჭივჭავის კანიონის პარალელურად სადაზვერვო სამუშაოები მიმდინარეობდა სამშვილდის ნაქალაქარის სამხრეთით, მდინარე ხრამის მარჯვენა

სურ. 18 Pic.

მხარეს, მდინარის დონიდან 150 მეტრზე მდებარე ზეგანზე რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ,,თაფანებს“ უწოდებს. დღესაც ამ ადგილზე რამდენიმე ,,თაფა“-,,თეფე“- ბორცვი მოსჩანს, რომლებიც, არ არის გამორიცხული, რომ ანტროპოგენური წარმოშობისა იყოს.

ბაზალტის ლოდისგან შედგენილ მეგალითს წარმოადგენს (Lat. 41.51797 Lo-ng. 44.53907) (სურ. 13). ,,დაღეთის ტეტრალითის“ გაწონასწორებული ბალანსი დღეს დარღვეულია და იგი გვერდზეა გადაწვენილი, თუმცა მისი მსგავსება სამშვილდის ტერტრალითთან (სურ. 14) აშკარაა. ეს და ზოგადად,

სურ. 19 Pic.

ჩვენს მიერ განხორციელებული მეორე სადაზვერვო მარშრუტი სათავეს იღებდა სოფ. სამშვილდიდან და მიემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. დაღეთისკენ, რომლის სამიწადმოქმედო სავარგულების დამუშავების დროს 1968 წელს, შემთხვევით მტკვარ-არაქსული კულტურის ადრეული საფეხურის ნამოსახლარი და სამაროვანი აღმოჩნდა [მირცხულავა. 1975. 11]. აღნიშნულთან მიმართებაში უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოფ. დაღეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახ. 1 კმ-ზე სამშვილდის ტეტრალითის მსგავს ნაგებობას მივაკვლიეთ რომელიც ოთხი ერთმანეთზე განლაგებული სამშვილდეში არსებული ამ ტიპის მეგალითური ობიექტები, სავარაუდოდ, სწორედ ბრინჯაოს ხანაში აღმართულ ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ.

,,დაღეთის ტეტრალითის'' სამხრეთ-აღმოსავლეთით 35 მეტრში კიდევ ერთი მენჰირი (H – 1. 75 მ) (სურ. 15) და მოზრდილი ციკლოპური ნაგებობის მძლავრი ნანგრევები მდებარეობს (Lat. 41.51799 Long. 44.53911), (სურ. 16). თუმცა, მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად რთულია ითქვას, რა ტიპის ნაგებობის ნანგრევებთან გვაქვს აქ საქმე, მაგრამ ერთმანეთის სიახლოვეს ,,ტეტრალითის“, მენჰირისა და ციკლოპური შენობის არსებობა

უდავოდ მნიშვნელოვანია და მომავალი კვლევების აუცილებლობაზე მიუთითებს.

სურ. 20 Pic.

,,დაღეთის ტეტრალითიდან“ გზა ეშვება კანიონში, იმ ადგილისკენ სადაც მდინარეები ქცია-ხრამი და ჭივჭავა ერთმანეთს ერთვის. ხერთვისთან მდებარეობს სამშვილდის კონცხის წვერი, რომლის სიმაღლეც მდინარეების დონიდან 180 მეტრამდე აღწევს (სურ. 17). აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადად კერძო სამიწადმოქმედო სავარგულებია, რომელთა დაზვერვების შედეგად არავითარი არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. სამაგიეროდ, კერამიკული მასალა აიკრიფა მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე, იფნობის ეკლესიასთან, რომელიც X-XI სს-ის ძეგლს წარმოადგენს (Lat. 41.50274 Long. 44.53868), (სურ. 18-19). ზედაპირული დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მთლიანად გასაწმენდია ეკლესიის როგორც ინტერიერი, ისე პერიმეტრი, აქ ნანგრევ-ნაყარი ფენისა და მიწის საფარის სისქე 1-1.20 სმ-ს აღწევს და მხოლოდ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ არის შესაძლებელი აღნიშნული ძეგლის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

იფნობის ეკლესიიდან სამხრეთ - აღმოსავლეთით მიმავალი გზა ადის ადგილ ,,თაფანებზე“ (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), სადაც მდებარეობს სოფ. დისველი. დისველი სოფ. წაბლანადან (ხულოს მუნიციპალიტეტი) 1989 წელს მეწყრის შედეგად დაზარალებული ეკომიგრანტებით არის დასახლებული. სოფლის ტერიტორიაზე შუასაუკუნეების რამდენიმე ძეგლი მდებარეობს: - დისველის XI - XIII სს-ის ეკლესია (სურ.20) და კოშკი (სურ.21), რომელიც

სურ. 21 Pic.

XIV-XVIII სს-ით არის დათარიღებული.

აღნიშნული ეკლესიებისა და კოშკის კვლევა ჩვენს მიზნებში არ შედიოდა, შესაბამისად, ამ ადგილიდან გავემართეთ ადგილ ,,ნასოფლარამდე", რომელიც სამშვილდის ნაქალაქარის სამხრეთით, კონცხის თხემის გასწვრივ მდებარეობს (Lat. 41.50155 Long. 44.49701) (სურ.22). ,,ნასოფლარი" წარმოადგენს ბუნებრივ ზეგანს, სადაც ზედაპირულად მოსჩანს ქვის საფუძველზე ნაშენი ნაგებობათა ნაშთები. რიგ შემთხვევაში ამ ნაგებობათა გეგმა გარკვევით იკითხება (სურ.23), ზოგჯერ კი დარღვეულია დაფარულია ნანგრევ-ნაყარის სქელი ფენით. ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი არ არის არანაირი სახის ინფორმაცია, რაც მიახლოებით წარმოდგენას მაინც შეგვიქმნიდა რა ტიპის და რომელი პერიოდის ნანგრევებთან გვაქვს საქმე. ამ ადგილიდან იშლება ხედი სამშვილდის ნაქალაქარის სამხრეთი მონაკვეთსა და აქ არსებულ მღვიმე-გამოქვაბულებზე (სურ.24).

მარშრუტი III
დაზვერვები სამშვილდის კონცხის სამხრეთ ფლატეზე

(სურ. 25)

ვაჭარ-ხელოსანთა უბნიდან ჩამავალი ბილიკი მიუყვება ხრამის ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს, ზედა ტერასაზე მდებარე მღვიმე-გამოქვაბულებს (სურ. 26), რომელთა დაზვერვის შედეგად მნიშვნელოვანი ზედაპირული არქეოლოგიური მასალა აიკრიფა. იგი ანალოგიურია ჭივჭავის I კომპლექსის გამოქვაბულებში მოძიებული მასალისა, თუმცა, აქ მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები უფრო მრა-

სურ. 22 Pic.

სურ. 23 Pic.

სურ. 24 Pic.

ვალრიცხოვანია. ცალკეა აღსანიშნავი, XI-XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული სამარილე, ასევე, მრავალფრად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები და XI საუკუნისათვის დამახასიათებელი ღია ფრად გამომწვარი ჭდეული ირიბი კანელურებით შემკული თხელკედლიანი სასმისის ფრაგმენტი №1 გამოქვაბულიდან (Lat. 41.50659 Long. 44.49727) (სურ. 27). ასევე, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ფრაგმენტები და დიდი რაოდენობა ობსიდიანის ნამზადისა და ანამტვრევებისა №5 გამოქვაბულიდან (Lat. 41.50608 Long. 44.50395) (სურ. 28-29). მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლება № 3 გამოქვაბულში (Lat. 41.5064 Long. 44.50253) არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ადამიანის კბილის აღმოჩენა (სურ. 30.4).

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ მღვიმეებში მხოლოდ ზედაპირულად აიკრიფა 150 ერთეული არქეოლოგიური არტეფაქტი (კერამიკა, ობსიდიანი, ქვა, ძვალი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ შემორჩენილი ფენები უაღრესად მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ, რომლის გამოვლენა და შესწავლა აუცილებელია ამ უნიკალური ძეგლის ხასიათში სრულად გარკვევისათვის.



სურ. 25 Pic.

სურ. 26 Pic.



სურ. 27 Pic.

სურ. 28 Pic.

სურ. 29 Pic.

სურ. 30 Pic.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე ც. ორი ფირმანი ერასტი მდივანბეგს. ,,მრავალთავი“ IV. თბილისი. 1975;

ბახტაძე ნ. კლდის ხუროთმოძღვრეგის გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. თბილისი. 2007;

ბახტაძე ნ. გამოქვაბულთა ხუროთმოძღვრება უძველეს ხანაში. საქართველოს კლდის ძეგლები. არქიტექტურა და მშენებლობა, 26(77). თბილისი. 1992;

ბერიკაშვილი დ., გაგოშიძე გ., გაბუნია გ., ცირამუა ს., გიგილაშვილი დ. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში. თბილისი. 2014;

ბერიკაშვილი დ., ბუხსიანიძე მ., გაბუნია თ., ოდილავაძე დ., ქებულაძე ნ. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში. თბილისი. 2015;

გაგოშიძე გ. ,,პალატის ეკლესია“ სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2014 წლის სამეცნიერო ანგარიში. თბილისი. 2014;

თომა მეწოფელი ,,ისტორია''. თარგმანი მელიქსეთ-ბეგისა. თბილისი. 1937;

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. II. თბილისი. 1959;

კაკაბაძე ს. ისტორიული საბუთები. წიგნი III. თბილისი. 1913;

კლიმიაშვილი ა. მასალები XV-XVIII სს ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. კრებული: ,, XV-XVIII საუკუნეების რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“ თბილისი. 1964;

,,მატიანე ქართლისა“. ქართლის ცხოვრება ტ. I. 1955;

მირცხულავა გ. სამშვილდე. თბილისი. 1975;

მუსხელიშვილი ლ. სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. ენიმიკის მოამბე. XIII. თბილისი.1943;

ოდილავაძე დ., ბერიკაშვილი დ. გეოარქეოლოკაციური დაზვერვები სამშვილდეში. თბილისი. 2015;

ორბელიანი პ. ამბავი ქართლისანი. თბილისი. 1981;

სანაძე მ. ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსეგის ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016;

ქართლის ცხოვრება. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ტომი I. 1955;

ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი. 2001;

ყაუხჩიშვილი ს. ბერძნების დასახლეგის ისტორია საქართველოში. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები. ტ. IV. ქუთაისი. 1942;

ცაგარეიშვილი ე. ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო შაპუჰი) და მისი ,,ისტორია“, ,,მრავალთავი,“ V. თბილისი. 1976;

,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. ქართლის ცხოვრება. ტომი I. 1955;

ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბილისი. 1970;

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები. თბილისი. 1919;

ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1955;

Чубинашвили Н. Самшвилдский Сион. (его место в развитии грузинской архитектуры VIII-IX вв. 1969;

Ռ. Մաթեվոսյն, Տաշիր-Զորագետ, Եր. 1982;

Ստեփանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան պատմութիւն տիեզերական, Սպբ. 1885.

ილუსტრაციების აღწერილობა

1. სამშვილდის კონცხი;
2. სამშვილდის ნაქალაქარზე 2014 წელს აღმოჩენილი დერგსამარხი;
3. ხრამის კანიონში ზედაპირული დაზვერვების დროს ნაპოვნი ბრინჯაოს პინაკი;
4. სამშვილდის კონცხის სამხრეთ კალთაზე არსებული მღვიმე-გამოქვაბულების კომპლექსები;
5. მარშრუტი I. სოფ. სამშვილდე - ჭივჭავის; გამოქვაბულთა I კომპლექსი;
6. სოფ. სამშვილდის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია;
7. მეგალითური ნაგებობა - მენჰირი;
8. ჭივჭავის გამოქვაბულთა I კოპლექსი;
9. ჭივჭავის გამოქვაბულთა I კოპლექსის გამოქვაბულთა ზედაპირული დაზვერვების დროს აკრეფილი მასალა;
10. ნაშენი კედლით შენიღბული მღვიმექვაბული ჭივჭავის გამოქვაბულთა I კომპლექსში;
11.ჭივჭავის ხეობის II და III კომპლექსები;
12. მარშრუტი II. სოფ. სამშვილდე - ადგილი ,,თაფანები“;
13. დაღეთის ტეტრალითი;
14. სამშვილდის ტეტრალითი;
15. დაღეთის მენჰირი;
16. ციკლოპური ნაგებობის ნანგრევები სოფ. დაღეთთან;
17. სამშვილდის კონცხი აღმოსავლეთიდან;
18-19. იფნობის ეკლესია მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე;
20. დისველის XI-XIII სს-ის ეკლესია;
21. კოშკის ნანგრევები სოფ. დისველთან;
22. ადგილი ,,ნასოფლარი“ ;
23. ადგილ ,,ნასოფლარზე“ შემორჩენილი ნაგებობათა ნაშთები;
24. სამშვილდის კონცხი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან;
25. მარშრუტი III. სამშვილდის კონცხის სამხრეთ ფერდობი;
26. სამშვილდის კონცხის სამხრეთ ფერდობის ზედა იარუსის გამოქვაბულები;
27. №1 გამოქვაბულის ზედაპირული მასალა;
28-29. № 5 გამოქვაბულის მასალა;
30. № 3 გამოქვაბულის მასალა.

Archaeological reconnaissance on Samshvilde Cape and the adjacent area in 2015

Berikashvili David,
The Head of Samshvilde Archaeological Expedition,
University of Georgia

Historical context

Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia was conducting field works in three main directions in 2015: the first – reconnaissance of specific sections of the former settlement by geoarcheolocational methods and identification of archaeologically prospective sections on the basis of the obtained information [Odilavadze D., Berikashvili D. 2015], the second – conducting archaeological expeditions in the citadel of the former settlement for the purpose of identification of stratigraphy [Berikashvili, Bukhsianidze, Gabunia…2015] and the third - reconnaissance of the cape, the adjacent valleys and areas.

The cape which is referred to as Samshvilde Cape is located between Ktsia-Khrami and Chivchava rivers (pic. 1). It represents a rocky massive created from 150-200 m high basaltic layers where the trace of human activity was observed from the ancient times. This fact was also confirmed by surveys conducted in various periods [Chilashvili 1970. 118; Mirtkhulava 1975. 10; Bakhtadze 2007. 25].

The Georgian historical tradition associated the ancient history of Samshvilde with the eponym of Georgians, Kartlos: "… Kartlos built the Fortress of Orbi which is called Samshvilde now. And afterwards he built the ''Mtveri" fortress which is called Khunani now …" [The Georgian Chronicles of Kartli 1955. 8]. According to the source, after the death of Kartlos, the Orbi Fortress – Samshvilde fell to the share of his son Gachios who governed the area "from Skvireti river to the entrance of Abotsi …" [The Georgian Chronicles 1955. 9] and who "….built the town of Gachiani which was called the hunting town by that time …" [the same source. 10]. The fact that Samshvilde Cape was actually used by humans in the Pre-Hellenistic and Hellenistic Era is proved by the archaeological reconnaissance works carried out in 1948-49 (Chubinashvili N. 1969. 15; 22-24] and 1968 [Chilashvili 1970. 118-119] as well. In addition, discovery of burial of pitchers of the Hellenistic period (pic. 2) on the ridge of the cape by 2014 Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia should be considered as a significant signal too [Berikashvili, Gagoshidze, Gabunia, Tsiramua. 2014].

However, by the recent historic-geographic, paleographic, epigraphic and linguistic surveys it is established that Samshvilde must have been formed as a significant political-economic center only during the period of Sassanids when "… the king of Kartli, Bakur son of Mirian (about 330/335-355) exchanged the country with Peroz for better protection of Kvemo Kartli (Tashir, Ashotsi) from the ally of Rome, Armenia, took Ran-Heret-Movakan, i.e. Albania and transferred the Duchy of Samshvilde – Tashir and Ashotsi to direct ownership of Peroz. Thus, the Sassanid King Peroz

became a "Duke of Samshvilde" according to the terminology of the "The Georgian Chronicles" where duke is a Georgian translation of "Pitiakhsh" [Sanadze M. 2016. 256].

Samshvilde actually became a significant center in the 5th century when the King Archil (grandfather of Vakhtang Gorgasali) transferred it to his son Mirdat (King Mirdat VIII) "…. Samshvilde to his son with his duchy and Mirdat and Sagdukht had a seat there …" [The Georgian Chronicles 1955. 142]. It is also seen from the source that after the Queen Sagdukht was converted to Christianity, she built Sioni Church of Dormition of the Mother of God . After the epoch of Vakhtang Gorgasali ("Adarnese, the Duke of Samshvilde") the written sources actually do not mention Samshvilde. The Pitiakhsh-Duke "who governed Trialeti, Tashir and Abotsi" ... " appears again only in the source dated by the second half of the 8th century [The Georgian Chronicles 1955. 241] ["Samshvilde Country" D. B.]. From the context we may assume that in the period after Vakhtang Gorgasali until the above period Samshvilde was under "governance" of Pitiakhsh again. This is confirmed by an inscription (777/778) on Samshvilde Sioni (756-777) where "Pitiakhshs by relatives", "Varaz-Bakur" and "Iovane" are mentioned [Muskhelishvili 1943. 97].

The situation changed in the region together with appearance of Arabs in Transcaucasia. After formation of the Emirate of Tbilisi (mid-8th century), significant part of Kvemo Kartli fell under jurisdiction of the Arab Emir. However, reference to the Byzantine Emperors – Constantine V Kopronymos and Leo IV the Khazar in the inscription of Samshvilde Sioni suggests that influence of the Emirate of Tbilisi on Samshvilde must have been fictitious or minimal. During the campaign of Bugha the Turk in Tbilisi in 853 which aimed to punish Emir Sahak, the Emir found a shelter in Samshvilde Fortress - "… he (Sahak, D.B.) left through the door which led to Samshvilde Fortress … " (Tsagareishvili, 1976, 269] but in vain. In connection with the above issue, professor K. Kutateladze mentioned that "... If Samsvilde, this most significant center of Kvemo Kartli had not been under the jurisdiction of Emir by that time (853), how could the defeated Sahak go for shelter in this direction" [Kutateladze 2001. 68].

From the mid-9th century Samsvilde and the entire Kvemo Kartli in general fell under the influence of the Shiraki Bagratuni royal dynasty who managed to annex it from the second half of the same century [Kutateladze 2001. 83]. A bit later when the first representative of the lateral branch of Bagratuni Dynasty – Kiurikian Dynasty – Gurgen son of Ashot (Korike – Kiurike I, 979-989) was appointed as the ruler of Tashir, the basis was laid for formation of the Kingdom of Tashir-Dzoraget which was a vassal to the Armenian Kingdom of Shirak [Մաթեվոսյն 1982. 71]. The Kingdom of Tashir-Dzoraget existed on the territory of historic Kvemo Kartili-Gogarene until 1118 when David IV the Builder seized Lore and abolished the Kingdom of Tashir-Dzoraget.

After Gurgen-Kiurike his elder son David ("Anhoghin", 989-1046) became the king of the kingdom who appeared to be a really powerful ruler unlike his father. According to the Armenian sources, David, son of Gurgen strengthened his influence on "Vrats Dasht" (Valley of Georgians) by battles and owned a large and strong fortress – "Shamshulde" (Samshvilde) [Ստեփանոսի Տարոնեցւոյ…1885. 256]. Movement of the Kingdom of Tashir-Dz-

oraget from Tashir to Samshvilde is associated with the name of David Anhoghin and because of that he is referred to as "of Samshvilde-Dzoraget" according to the "Annals of Kartli". The King of Ani, Gagik I conducted a punitive campaign in Samshvilde in 1001 which aimed to weaken the power of his unruly nephew, David Anhoghin. "…. astonished (Gagik – D.B.) attacked Samshvilde and the Valley of Georgians … destructed and ruined everything. He spent three months here … (David - D.B.) could not resist the large army of Gagik …." [Ստեփանոսի …1885. 279-280]. As it is seen from the source, despite the fact that Gagik I strictly punished David he still preserved his royal title because Anhoghin was the king of Tashir-Dzoraget after the death of Gagik too (1020).

During the reign of the successor of David Kiurikian, his son, Kiurike II (1048-1089) the Kingdom of Tashir-Dzoraget gained independence when the Armenian Kingdom of Ani ceased to exist in 1045 as a result of Byzantine expansion. However, this independence did not last for a long time, because the capital of the Kingdom - Samshvilde was invaded by the Sultan of the Seljuk Empire, Alp Arslan in 1064 first and the same year the Georgian King Bagrat IV seized Kiurike II coming from Armenia and forced him to move the capital from Samshvilde to Lori. Heirs of Kiurike II (Abbas and David) tried to restore their power and return Samshvilde in the following period, but in vain.

The son of Bagrat IV, Giorgi II failed to maintain the achievements made by Bagrat IV in Kvemo Kartli. For the purpose of gaining goodwill he was forced to transfer Samshvilde to the powerful Bagvash family as a "present": "… donated Samshvide to Ivane …" ["Annals of Kartli", 1955. 316], who promised loyalty to the Sultan of Seljuks, Malik Shah through his son, Liparit, in the battle against Giorgi II at the first opportunity. However, Liparit soon escaped from the Sultan' palace (where he seems to have been kept as a captive) which was followed by a violent, punitive invasion of Seljuks in Kvemo Kartli: "… (Malik Shah, D.B.) was dislocated on Samshvilde plain .." [The Life of the King David. 1955. 318], "…reached Samshvilde and captured Ivane, his wife and grandchildren and spouses and children of all the noblemen" [Annals … 1955. 317]. Even though Giorgi II tried to change the situation in Kvemo Kartli in favour of interests of the Kingdom by struggling against the Seljuks and gained certain success at Partskhisi (1073), he failed to expel the enemy from Samshvilde. Since that period, Samshvilde was under the rule of Turk-Seljuks until David the Builder ultimately liberated it.

In 1110 George of Chqondidi, his nephew Tevdore and representatives of Orbeli family, Ivane and Abulet managed to seize Samshvilde by effective actions ("stole skillfully") upon instruction of David IV and as a result, the fortress-city was subordinated to the central power. This victory was so effective that " …. as they (Seljuks D.B) learnt about seizure of Samshvilde, they left most of Armenian fortresses and escaped at night …" [The Life of the King David. 1955. 331-332].

The feudal family of Orbeli were the owners of Samshvilde in 1110-1177, however, the city was again subordinated to the King after suppression of the Orbeli revolt by Giorgi III in 1177. According to the source, in the late 12th century, after death of Giorgi III (1184) "… The nobles took from Samshvilde the Queen Rusudan …" [The Histories and Eulogies of Sovereigns. 1959. 24].

The 12th century was the Golden

Age in the history of Samshvilde when it was subordinated to the central power of Georgia and was governed by Amirspasalar [commander-in-chief]. However, upon appearance of Mongols (the 1230s) it became one of the first target of the enemy and certainly this negatively affected the social and economic situation of the city. Kvemo Kartli and its main fortress Samshvilde were entirely raided as a result of Timur the Lame's invasions in 1400 and 1403. After a long-term siege Samshvilde was seized by the Turkmen Shah Jahan on the Easter day in 1440 and he punished the local population severely [Thomas of Metsoph. 1937. 24-26].

In the second half of the 15th century, after the kingdom of Kartli was disintegrated into duchies, the sadrosho [administrative unit] of Kvemo Kartli was formed which was led by the Baratashvili family [Klimiashvili. 1964. 122]. Samshvilde was the center of the sadrosho until division of the Baratashvili family [Kakabadze 1913. 38]. From the first half of the 16th century when representatives of the Baratashvili family, Iotam and Orbeli were divided, principalities of Kaplanishvili-Orbelishvil where formed which covered the entire Kvemo Kartli [Jamburia. 1955. 79]. It should be mentioned that the center of "Sakaplanishvilo" (village Tandzia currently) was located at the border of Ktsia-Khrami and Dmanisi ravine. Monasteries of Pitareti and Dmanisi, as well as fortresses in Dmanisi, Kveshi and Khuluti also belonged to them [Jamburia. 1955. 82]. As it seems, the Kaplanishvili family had a residence in Samshvilde as well which is established by the tomb epitaph discovered during 2014 archaeological excavations of the "Palace Complex" located on the former settlement. According to the art historian, G. Gagoshidze, "Mr. Erasti" mentioned in the inscription who buried his prematurely deceased (3 years of age) son Otar in the church of his palace must be Erasti Kaplanishvili mentioned in the Book of Purchases in 1725 [Gagoshidze 2014. 18]. This assumption may be confirmed by the data on the territories transferred to Erasti Kaplanishvili by the Ottoman Sultan in 1723 which covered "… Khojornia and Melikasheni with lands located between Lore and Armenia.." (Bolnisi, Shulaveri) [Abuladze. 1975. 226, 228].

In the mid-18th century Samshvilde Fortress once again witnessed significant constructions, renewals and battles. After the king of Kartli, Teimuraz II visited the palace of Nader Shah in Persia (1747), Archil Bagrationi (Abdulla Beg) who was converted to Islam occupied Samshvilde Fortress: "Abdulla-Beg Batonishvili took cannons and the weapon arsenal from Lore Fortress, brought them to Samshvilde Fortress … Abdulla-Beg Batonishvili came to Samshvilde Fortress and began to reinforce the fortress … " [Orbeliani. 1981. 127]. As it seems, Abdulla-Beg began to prepare for the battle against Erekle II by reinforcement of Samshvilde Fortress and meanwhile, the Baratashvil-Orbelishvil-Kaplanishvili also vowed to support him: "… we do not want other patron than you …" (Orbeliani … the same]. According to the source, construction of Samshvilde abutments and water reservoirs is also associated with Abdulla: "… constructed two large abutments of Samshvilde, made a large water reservoir on both sides and made reserves of water

with everything … " (the same). The war which lasted for two years (1747-1748) and was the last in the history of Samshvilde, ended by seizure of the fortress by Erekle II and the total victory. After that there were no battles in Samshvilde.

In the second half of the 18th century

the ethnic picture was significantly changed in Samshvilde and Kvemo Kartli in general. From the end of the century these places were occupied by newly entered Armenian groups. which settled down in Kvemo Kartli and Lore surroundings [Javakhishvili 1919. 31-32]. From the early 19th century the Turkish-speaking population, Germans (1818) and Greeks (1829) were settled in this region with the assistance of the Russian government [Kaukhchishvili 1924]. Kvemo Kartli represent a region settled by such mixed ethnic elements even today.

Results of the reconnaissance

Even this brief historical review confirms that Samshvilde and the cultural layers presented there contain large amount of material remnants of various epochs and cultures. Besides, it is evident that significant amount of materials was washed off from the surface of the cape and thus were brought to the natural terraces on the river precipices and slopes (pic. 3). Therefore, in parallel to carrying out the archaeological excavations it is necessary to survey these terraces as well as the caves developed in the canyons of Khrami and Chivchava rivers (pic. 4). It is noteworthy that in the research published in 2007 N. Bakhtadze confirms the existence of a crematory sepulcher in one of the caves of the Khrami river valley [Bakhtadze. 2007. 25]. With regard to the above it is rather interesting that Samshvilde archaeological expedition

of the University of Georgia discovered a an upper third molar tooth of a human in one of the caves located in Khrami valley (Lat. 41.50576 Long.44.4926) during the 2015 reconnaissance works [Berikashvili, Bukhsianidze …2015]. This fact intensifies the interest in caves.

Before commencement of field works the expedition preliminarily defined the routes which included: first – reconnaissance of the plateau located at 150-160 m above the river level on the left side of Chivchava river, to the north of Samshvilde Cape and the caves developed on its precipices; second - reconnaissance of the same type of terrace located on the right side of Khrami river, to the south of Samshvilde former settlement and third, reconnaissance of the group of caves located on the southern slope of Samshvilde Cape and precision of their access pathways.

The results of the performed reconnaissance works appeared significant because apart from superficially found archaeological material, the expedition observed megalithic monuments and ruins of cyclopean structure unknown until now.

Route I
Village Samshvilde – I complex of Chivchava caves

(pic. 5)

The pathway to the south-east of the village Samshvilde crosses a plateau which is located nearly at the height of the crown of Samshvilde Cape. From geomorphologic point of view, it is identical to the cape and is built from basalt layers created as a result of cooling the lava flows. The basalt rocks appear on the ground surface here similar to the former settlement and in some cases are found in the form of "hills" (pic. 6). Near one of such "hills" the expedition confirmed a megalithic structure – menhir (Lat. 41.50958 Long. 44.50213) which was unknown until now and represents a vertical stone with the height of 1.30 meters (pic. 7). It should be mentioned that similar megalithic monuments (two menhirs, tetralite, megaliths) on Samshvilde former settlement are superficially observed even

today and existence of a similar monument in their vicinity, opposite the cape is absolutely natural.

To the north-east of menhir, a pathway goes down Chivchava valley at 1.5 km and reaches a large complex of caves which we call the first complex of Chivchava caves (Lat. 41.51067 Long. 44.50841) (pic. 8). The complex unites about 30 caves located in four tiers which represent more or less organized spaces designated for living of humans in various periods. Majority of caves are inaccessible today because pathways leading to them do not exist due to rock erosion. Despite this, it was possible to carry out superficial works in 5 of them resulting in finding of more than 100 ceramic fragments (pic. 9) most of which are fragments of household utensils common for the late medieval period. Glazed pieces belonging to the developed medieval period are presented in much less amount. It is noteworthy that such large amount of unglazed pieces compared to glazed ones is explained by the fact that they belong to the final period of human stay in these caves which seems to have been continued until the late medieval period.

Entrances of some caves which are inaccessible without special equipment are artificially disguised and protected by mortar wall (pic. 10). It is important to carry out reconnaissance of this type of caves in the future and make exploration trenches in them for the purpose of discovery of stratigraphy and older material which must be present here, in our opinion. It is also necessary to carry out reconnaissance of the second and the third complexes of Chivchava caves (pic. 11) following which an archaeological-geological map of this micro-district will be prepared which will form a basis of starting its planned surveys.

Route II
Reconnaissance on "Tapanebze" area
(pic. 12)

In parallel to Chivchava canyon reconnaissance works were carried out to the south of Samshvilde former settlement, on the right side of Khrami river, on the plateau located at 150 m above the river which is called "Tapanebi" by the local population. Several "tapa"-"tepe" – hills can be seen on this place today which may be of anthropogenic origin.

The second reconnaissance route performed by us started from the village Samshvilde and was directed to the north-east, to the village Dagheti. A former settlement and a burial ground of the early stage of Kura-Araxes culture were accidentally discovered during cultivation of agricultural tillable lands in 1968 in this area [Mirtskhulava. 1975. 11]. With respect to the above it is rather interesting that we found a structure similar to Samshvilde tetralite at about 1 km to the south-east of village Dagheti. This structure represents a megalith built from four basalt stones placed on each other (Lat. 41.51797 Long. 44.53907) (pic. 13). The equilibrium of "Dagheti Tetralite" is upset today and it is laid to the side, however its resemblance with Samshvilde tetralite (pic. 14) is evident. This and other megalithic objects of this type located in Samshvilde in general are assumed to represent monuments erected in the Bronze era.

One more menhir (pic. 15) (H-1.75 m) and strong ruins of a large cyclopean structure are located at a distance of 35 meters to the south-east of "Dagheti Tetralite" (Lat. 41.51799 Long. 44.53911), (pic. 16). However, only by superficial inspection it is difficult to say ruins of what kind of structure these are, but existence of "te-

tralite", menhir and cyclopean structure in the vicinity of each other is undoubtedly significant and suggests that future surveys are necessary.

From "Dagheti Tetralite" the road goes down to the canyon at the conflux of Ktsia-Khrami and Chivchava rivers. The top of Samshvilde Cape is located at the conflux and its height reaches about 180 m from the river level (pic. 17). There are mainly private tillable lands on the above territory and no archaeological material was discovered as a result of their reconnaissance. However, ceramic materials were collected on the right bank of Khrami river, near Ipnobi church which represents a monument of the 10-11th century (Lat. 41.50274 Long. 44.53868), (pic. 18-19). As a result of superficial inspection it was established that both the interior and the perimeter of the church need to be entirely cleared. The thickness of layer of ruins and the ground cover reaches 1-1.20 m here and it is possible to commence restoration-rehabilitation works of the above monument only after carrying out archaeological works.

The road from south-east of Ipnobi church leads to "Tapanebze" place (Bolnisi Municipality) where the village Disveli is located. Disveli is populated with eco-migrants from village Tsablana (Khulo Municipality) affected by a landslide in 1989. Several monuments of the medieval period are located on the territory of the village: 11-13th century church (pic. 20) and tower (pic. 21) which date back to 14-18th centuries . Study of the above churches and the tower was not our goal and therefore, from here we moved to the place "Nasoplari" located to the south of Samshvilde former settlement, along the crown of the cape (Lat. 41.50155 Long. 44.49701) (pic.22). "Nasoplari" represents a natural plateau where remnants of structures built on stone are superficially seen. In some cases the layout of these structures are clearly visible (pic. 23), sometimes it is covered with thick layer of ruins. No information is preserved in the memory of the local population which would give us some idea of the type and period of the ruins. This place overlooks the southern section of Samshvilde former settlement and the caves located there (pic. 24).

Route III
Reconnaissance on the southern precipice of Samshvilde Cave

(pic. 25)

The path coming down from the district of traders and craftsmen goes along the caves located on the upper terrace, to the left of the river in Khrami valley (pic. 26). Significant superficial archaeological material was collected as a result of their reconnaissance. This material is analogous to the material found in caves of Chivchava I complex, however, there are more frag

ments of glazed pottery here. A salt-cellar painted with white engobe and glazed in green common for 11-12th centuries as well as fragments of multi-color glazed pottery and a fragment of vessel for drinking with thin walls decorated with slanted flutes burnt out in bright color common for the 11th century should be mentioned separately, from № 1 cave (Lat. 41.50659 Long. 44.49727) (pic. 27). Also, fragments of glazed and unglazed pottery and large amount of obsidian items and pieces from № 5 cave (Lat. 41.50608 Long. 44.50395) (pic. 28-29). But the most important asset is discovery of a human tooth in № 3 cave (Lat. 41.5064 Long. 44.50253) together with interesting archaeological material (pic. 30.4).

Considering the fact that 150 units of archaeological artifacts (ceramics, obsidian, stone, bone) were superficially collected in the above caves, we can assume that the layers preserved here contain rather significant material whose identification and study is necessary for getting a full insight into the nature of this unique monument.

Reference

Abuladze Ts. Two royal edicts to Erasti Mdivanbeg "Mravaltavi", IV, Tbilisi, 1975;

Bakhtadze N. Genesis and ways of development of rock architecture in Georgia. Tbilisi. 2007;

Bakhtadze N. Architecture of caves in the ancient era. Rock Monuments of Georgia. Architecture and Construction, 26(77). Tbilisi 1992;

Berikashvili D., Gagoshidze G., Tsiramua S., Gigilashvili D. Scientific report of Samshvilde archaeological expedition, Tbilisi. 2014;

Berikashvili D., Bukhsianidze M., Gabunia T., Odilavadze D., Kebuladze N. Scientific report of Samshvilde archaeological expedition, Tbilisi. 2015;

Gagoshidze G., "Chamber Church", Scientific report of Samshvilde archaeological expedition, Tbilisi. 2014;

Thomas of Metsoph. "History", translation of Melikset-Beg. Tbilisi, 1937;

The Histories and Eulogies of Sovereigns. The Georgian Chronicles. II, Tbilisi, 1959;

Kakabadze S. Historical documents. Book III. Tbilisi. 1913;

Klimiashvili A. Materials for the history of sadroshos of Kartli and Kakheti of 15-18th centuries. Collection "Several Georgian historical documents of of 15-18th centuries". Tbilisi. 1964;

Mirtskhulava G. Samshvilde. Tbilisi. 1975;

Muskhelishvili L. Inscriptions and date of construction of Samshvide Sioni. Messenger of Institute of Language and Material Culture. XIII. Tbilisi. 1943;

"Annals of Kartli". Volume I, 1955;

Odilavadze D., Berikashvili D., Geoarchaeolocational reconnaissance in Samshvilde. Tbilisi. 2015;

Orbeliani P. Story of Kartli. Tbilisi. 1981;

Sanadze M. Life of Georgians. Book III. Chronology of kings and patrikios of Kartli (from Parnavaz to Ashot Kurapalat). Publishing house of the University of Georgia. Tbilisi. 2016;

The Georgian Chronicles. The Life of the Georgian Kings. Volume I. 1955;

Kutateladze K. Kvemo Kartli. Issues of Political History. Tbilisi. 2001;

Kaukhchishvili S. History of settlement of Greeks in Georgia. Researches of Kutaisi State Pedagogical Institute, volume IV. Kutaisi. 1942;

Tsagareishvili E. Anonymous historian (pseudo Shapuh) and his "history", "Mtavaltavi", V, Tbilisi, 1976;

"The Life of King David", The Georgian Chronicles, volume I, 1955;

Chilashvili L. Cities in the Feudal Georgia. Volume II. Tbilisi. 1970;

Javakhishvili Iv. Borders of Georgia. Tbilisi 1919;

Jamburia G. From the history of the Georgian feudal relations. Tbilisi. 1955;

Chubinashvili N. Samshvilde Sioni (its place in the development of the Georgian architecture of 8-9th centuries);

Ռ. Մաթեվոսյն, Տաշիր-Զորագետ, Եր. 1982;

Ստեփանոսի Տարոնեցւոյ Ասողկան պատմութիւն տիեզերական, Սպբ. 1885.

Description of illustrations

1. Samshvilde Cape;
2. Burial of pitchers discovered in Samsh vilde former settlement in 2014;
3. A bronze pinax found during superficial reconnaissance in Khrami canyon;
4. Cave complexes located on the southern slope of Samshvilde Cape;
5. Route I, village Samshvilde - I complex of Chivchava caves;
6. The adjacent area to the east of village Samshvilde;
7. Megalithic structure – menhir;
8. I complex of Chivchava caves;
9. Material collected during superficial re connaissance of I complex of Chivchava caves;
10. A cave disguised with built wall in I complex of Chivchava caves;
11. II and III complexes of Chivchava caves;
12. Route II. village Samshvilde - “Tapane bi” area;
13. Dagheti Tetralite;
14. Samshvilde Tetralite;
15. Dagheti menhir;
16. Ruins of cyclopean structure near village Dagheti;
17. Samshvilde Cape from the east;

18-19. Ipnobi church on the right bank of Khrami river;

20. Disveli church of 11-13th centuries;
21. Ruins of tower near village Disveli;
22. “Nasoplari” area;
23. Ruins of structures preserved in “Nasoplari” area;
24. Samshvilde Cape from south-east;
25. Route III. Southern slope of Samshvilde Cape;
26. Caves of upper tier of the southern slope of Samshvilde Cape;
27. Superficial material of № 1 cave;

28-29. Material of № 5 cave;

30. Material of № 3 cave.

თრიალეთის კულტურა - ახალი საკვალიფიკაციო ნაშრომი თრიალეთის კულტურის შესახებ

ჭაბაშვილი ლევანი,
ასისტენტ-პროფესორი ,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არსებული მონაცემების სისტემატიზირება და ანალიზი

სადოქტორო ნაშრომში აქცენტი კეთდება თრიალეთის კულტურასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემაზე: წარმოდგენილ ნაშრომში განხორციელდა თრიალეთის კულტურის შესახებ არსებული ინფორმაციის ერთად თავმოყრა და ანალიზი რამდენიმე მიმართულებით. შედგენილ იქნა არქეოლოგიური ძეგლების კატალოგი, სადაც თავმოყრილია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია თრიალეთის კულტურის ძეგლების შესახებ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან და ჩრდილო - აღმოსავლეთ თურქეთიდან. კატალოგში ანბანური თანმიმდევრობით არის თავმოყრილი მონაცემები 460 ძეგლის შესახებ. ეს მონაცემებია: მდებარეობა კოორდინატების მითითებით, აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან, აღმოჩენის და შესწავლის მოკლე მიმოხილვა, ძეგლის აღწერა, აღმოჩენილი მონაპოვრები და ბიბლიოგრაფია.

განხორციელდა არქეოლოგიური ძეგლების კლასიფიკაცია. თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურა ძირითადად სამარხეული ძეგლების მიხედვით არის ცნობილი. ამ კულტურის სხვა წყაროები დღემდე სუსტად არის გამოვლენილი და შესწავლილი. სამარხი ძეგლები პირველ ეტაპზე გორასამარხებად და ორმოსამარხებად დაიყო. გორასამარხები შემდგომ ეტაპზე იმ ნიშნის მიხედვით დაიყო სამარხი კამერა მიწის ზედაპირზეა გამართული თუ მიწაში ამოღებულ ორმოშია მოწყობილი. ამ ნიშნის მიხედვით გორასამარხები "უორმოო" და "ორმოიან გორასამარხებად" იყოფა. თითოეულ ამ სახეობაში რამდენიმე ჯგუფია გაერთიანებული. პირველ სახეობაში გაერთიანებულია "დასაკრძალავ დარბაზიანი გორასამარხები" და "გორასამარხები მიწისზედა სამარხი ნაგებობებით", მეორე სახეობაში კი ერთიანდება "გორასამარხები ჩვეულებრივი ორმოებით", "კატაკომბური სამარხები" და "გორასამარხები ქვით აგებული სამარხი კამერით". გორასამარხების გარდა თრიალეთის კულტურაში ცნობილია ასევე სამარხის სხვა ფორმაც - ორმოსამარხი. დადგენილ იქნა რომ სამარხის ზოგიერთი ფორმა მხოლოდ მისთვის დამახასითებელ ტოპოგრაფიულ გარემოში არის გავრცელებული [ჭაბაშვილი ლ. 2014].

შედგა ასევე არქეოლოგიური მონაპოვრების კატალოგი. მასში 2000 -ზე მეტი არქეოლოგიური მონაპოვარია თავმოყრილი. განხორციელდა მათი კლასიფიცირება - სახეობებად, ტიპებად და ვარიანტებად დაყოფა. თიხის ჭურჭლის სახეობები განისაზღვრება პროპორციის ინდექსის (სიმაღლის შეფარდება პირის დიამეტრთან) მეშვეობით.

განხორციელდა არქეოლოგიური ძეგლების და არქეოლოგიური მონაპო-



ტაბ. I ლითონის ჭურჭლის კერამიკის მინაბაძები. ჭაბაშვილი ლ. 2012-ის მიხედვით. ტაბ. I

ვარი მასალის კორელაციის საკითხის შესწავლა. სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენჯერმე დაფიქსირებულია შემთხვევა როდესაც გარკვეული არტეფაქტები მხოლოდ განსაზღვრული სახის სამარხის ფორმებიდან მომდინარეობს. მაგალითად მესხეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხების შესახებ განხორციელებულია დაკვირვება, რომ მოზრდილ ქვამიწაყრილიან და ქვაყრილიან გორასამარხებში მხოლოდ თრიალეთური ტიპის კერამიკა გვხვდება ან კიდევ თრიალეთური ჭურჭელი ჭარბობს წმინდა "მესხურ" ნაწარმს, ხოლო მომცრო ზომის გორასამარხებში შედარებით პატარა დასაკრძალავი კამერით წარმოდგენილია ან მხოლოდ მესხური ჭურჭელი ან ეს კერამიკა აშკარად სჭარბობს თრიალეთურს [ჯაფარიძე ო. და სხვა. 1981, 144]. მნიშვნელოვანი დაკვირვებაა განხორციელებული სამხრეთ კავკასიური "რაპირების" შესახებაც. ცნობილია რომ ისინი აღმოჩენილია მხოლოდ საშუალო ზომის გორასამარხებში [Abramishvili M. 2010, 172-173]. მსგავსი დაკვირვებები რამდენიმე სხვა გამოკვლევის დროსაც არის განხორციელებული თუმცა სპეციალური კვლევის საგანი აღნიშნული საკითხი არასოდეს გამხდარა.

სადოქტორო ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე განხორციელდა სამარხ ფორმებსა და არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის კორელაციის ანალიზი და დადგინდა მნიშვნელოვანი კანონზომიერებები.

ლითონის ჭურჭლის ანალოგები კერამიკულ პროდუქციაში

სამხრეთ კავკასიაში, ბრინჯაოს ხანაში პირველად თრიალეთის კულტურაში ჩნდება ლითონის ჭურჭელი. ამავდროულად გვხვდება თიხის ჭურჭელიც რომელიც იმეორებს ლითონის ნაკეთობების ფორმებს და ასევე გვხვდება ორნამენტის ცალკეული დეტალებიც, რომლებიც ცნობილია ლითონის ნივთების შემკულობიდან. აღნიშნულ მსგავსებებს მეცნიერებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება. რამდენიმე სახვადასხვა პუბლიკაციაში გვხვდება მითითება ასეთი პარალელების შესახებ [Кушнарева К. 1959, 405-406; Кушнарева К. 1965, 95]. ნაშრომში თავმოყრილია ყველა ასეთი ცნობილი პარალელი და განხილული საკითხი ამ ფაქტის რელატიური ქრონოლოგიის კვლევის დროს გამოყენებისთვის მიზანშეწონილობის შესახებ [ჭაბაშვილი ლ. 2012].

აბსოლუტური და რელატიური ქრონოლოგია

თრიალეთის კულტურის ქრონოლოგია აკად. ბ. კუფტინმა შეიმუშავა [Куфтин Б. 1941, 79-100]. რამდენიმე წლის შემდეგ ამ საკითხს განიხილავს ცნობილი მეცნიერი ე. გოგაძე რომელმაც ახალი ქრონოლოგიური სქემა წარმოადგინა [გოგაძე ე. 1972, 38-44]. გასული საუკუნის 70 იან წლებში ამ პრობლემას შეისწავლიდა ამერიკელი მეცნიერი კ. ს. რუბინსონიც [Rubinson K. S. 1976, 148-179; Rubinson K. S. 1977, 247]. ამის შემდეგაც აღნიშნული პრობლემა არაერთხელ გამხდარა შესწავლის საგანი [ქავთარაძე გ. 1981; აბრამიშვილი მ. 2003; Avetisyan P. 2014], თუმცა მთავარ პრობლემას ყოველთვის C14 თარიღების მცირე რაოდენობა წარმოადგენდა. სადოქტორო ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა აქ წარმოდგენილი ახალი C14 თარიღები, რომლებიც მიღებულია თრიალეთის კულტურის სამარხებიდან

1


2


3

4

5

6

ტაბ. II ლითონის ჭურჭლის კერამიკის მინაბაძები. ჭაბაშვილი ლ. 2012-ის მიხედვით. ტაბ. I

მომდინარე ცხოველების ძვლების AMS დათარიღების გზით გერმანიის ლაბორატორიებში. დათარიღების ეს მეთოდი დიდი სიზუსტით გამოირჩევა. მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის თრიალეთის კულტურის ქრონოლოგიის განსაზღვრისთვის. ამასთან ერთად განხილულია რელატიური ქრონოლოგიის საკითხიც. ნაშრომში გამოყენებულია კომპიუტერული სერიაცია თრიალეთის მასალების შესწავლისას და მიღებულია ახალი შედეგები.

არქეოლოგიური მონაპოვრების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია

თრიალეთის კულტურის ძეგლები მრავალი ათეული წლების განმავლობაში შეისწავლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და თურქეთში. მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან ხარისხით. არქეოლოგიური ძეგლები და მონაპოვრები ზოგ შემთხვევაში არასრულფასოვნად არის გამოქვეყნებული. სადოქტორო თემაზე მუშაობის დროს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და რამდენიმე რეგიონალურ მუზეუმში განხორციელდა ადრე გამოქვეყნებული მასალების ხელახალი ფოტო და ზოგიერთ შემთხვევაში გრაფიკული ფიქსაცია.

რეგიონალური თავისებურებები

თრიალეთის კულტურა გავრცელების ფართო არეალზე ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, თუმცა ცალკეულ რეგიონებში შესამჩნევია გარკვეული ლოკალური თავისებურებები. ეს უპირატესად ეხება არქეოლოგიურ მონაპოვრებს. თრიალეთის კულტურის ლოკალური ვარიანტები გასული საუკუნის 80-იან წლებში სპეციალური გამოკვლევის საგანი გახდა [ფუთურიძე მ. 1984], მაგრამ სამეცნიერო მიმოქცევაში ბევრი ახალი ძეგლის შემოსვლის შემდეგ საჭირო ხდება ამ მონაცემების გათვალისწინება. აქ პირველ რიგში იგულისხმევა ახალი აღმოჩენები სომხეთში, მაგ. ლორი-ბერდის სამაროვანი [Devedjian S. 2006] და ასევე ის სამუშაოები რაც ბოლო წლებში ჩატარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში მოხატული კერამიკის კულტურების კვლევის საქმეში [Özfırat A. 2001a; Özfırat A. 2001b; Özfırat A. 2005; Özfırat A. 2009].

ნაშრომში დაფიქსირებულია არქეოლოგიური მონაპოვრების ყველა ტიპის ტერიტორიული გავრცელება. შედგენილია 140 რუკა, თითოეულ რუკაზე დაფიქსირებულია რვამდე არქეოლოგიური მონაპოვრის ტიპი/ვარიანტი. ამგვარი დაკვირვებების საფუძველზე დაფიქსირებულია ყველა განსხვავება და განსაზღვრულია ის მხარეები სადაც რეგიონალური თავისებურებები იჩენს თავს.

საგარეო კავშირები

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კულტურის საგარეო კავშირების საკითხს. თრიალეთის კულტურის აღმოჩენის დღიდან დღემდე უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა საკითხს როგორც კავკასიელი ისე უცხოელი მკვლევარების მიერ [ფუთურიძე მ. 1983; Abramishvili M. 2010; Rubinson K. S. 2013]. სადოქტორო ნაშრომში განხორციელდა მცდელობა დღემდე მიღებული შედეგების ერთად თავმოყრის და მათი კრიტიკული გადასინჯვის. გადაისინჯა მაგალითად თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხი. აღმოჩნდა,

რომ ცალკეულ შემთხვევებში იმ არტეფაქტებს რომლებიც ამ ორ რეგიონს შორის არსებული კავშირის დამადასტურებლად მიიჩნეოდა შეიძლება მოეძებნოს პროტოტიპები მესამე - სხვა რეგიონშიც [ჭაბაშვილი ლ. 2009].

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი მ. 2003. მ. აბრამიშვილი, თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები “მაღალი ქრონოლოგიისათვის”). ძიებანი, დამატებანი X. კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები. ეძღვნება როსტომ აბრამიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს. თბილისი გვ. 48-52;

გოგაძე ე. 1972. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი;

ფუთურიძე მ. 1983. მ. ფუთურიძე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის ძველაღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტის საკითხისათვის. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე №2. თბილისი. გვ. 40-56;

ფუთურიძე მ. 1984. მ. ფუთურიძე, თრიალეთის კულტურის ლოკალური ვარიანტები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 115, №1. თბილისი. გვ. 197-200;

ქავთარაძე გ. 1981. გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი;

ჭაბაშვილი ლ. 2009. ლ. ჭაბაშვილი, თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. ამირანი XXI. თბილისი გვ. 7-16;

ჭაბაშვილი ლ. 2012. ლ. ჭაბაშვილი, თრიალეთის კულტურის ლითონის ჭურჭლის ანალოგების შესახებ კერამიკულ პროდუქციაში. ამირანი XXIV. თბილისი. გვ. 5-17;

ჭაბაშვილი ლ. 2014. ლ. ჭაბაშვილი, თრიალეთის კულტურის სამარხი ძეგლები და მათი ტოპოგრაფია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია ტ. XI. თბილისი. გვ. 420-436;

ჯაფარიძე ო. და სხვა. 1981. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1970-1977 წწ.). თბილისი;

Куфтин Б. 1941. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Тбилиси;

Кушнарева К. Х. 1959. К. Х. Кушнарева, Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-тепе около Агдама. МИА СССР 67. Москва-Ленинград. с. 388-430;

Кушнарева К. Х. 1965. К. Х. Кушнарева, Новие данние о поселении Узерлик-тепе около Агдама. МИА СССР 125. Москва-Ленинград. с. 74-102;

Abramishvili M. 2010. M. Abramishvili, In search of the origins of metallurgy - An overview of South Caucasian evidence. Von Majkop bis Trialeti. Gewinnung und

Verbreitung von Metallen und Obsidian in Kaukasien im 4.-2. Jt. v. Chr. Beiträge des Internationalen Symposiums in Berlin vom 1.-3. Juni 2006. Bonn. p. 167-178;

Avetisyan P. 2014. P. Avetisyan, Armenian Highland during the 24-9th centuries BC (The Dynamics of socio-cultural transformations, according to archaeological Data). Yerevan;

Devedjian S. 2006. S. Devedjian, Lori Berd II. (Bronze Moyen). Erevan;

Özfırat A. 2001a. A. Özfırat, Doğu Anadolu Yayla Kültürleri. Istanbul;

Özfırat A. 2001b. A. Özfırat, Erste Betrachtungen zum ostanatolischen Hochland im 2 Jt. v. Chr. Istanbuler Mitteilungen 51, s. 27-60;

Özfırat A. 2005. A. Özfırat, Transhumance on the Eastern Anatolian high Plateau in the 2nd mill. B.C. Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan 37. Berlin. s. 139-152;

Özfırat A. 2009. A. Özfırat, Excavation of Bozkurt Cemetery: First preliminary report. Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan 41. Berlin. s. 233-247;

Rubinson K. S. 1976. K. S. Rubinson, The Trialeti Culture. Columbia University Ph. D. Ann Arbor;

Rubinson K. S. 1977. K. S. Rubinson, The chronology of the Middle Bronze Age Kurgans at Trialeti. Bibliotheca Mesopotamica 7, Los Angeles. pp. 235-249;

Rubinson K. S. 2013. K. S. Rubinson, Actual Imports or just Ideas? Investigations in Anatolia and the Caucasus. Cultures in Contact from Mesopotamia to the Mediterranean in the second Millenium B.C. (J. Aruz, S. Graff, Y. Rakic eds.). New York. pp. 12-32.

New qualifyng work on Trialeti Culture

Chabashvili Levan,
Assistant Proffesor,
Sokhumi State University

The doctoral thesis discusses several issues of Trialeti Culture. The issues are systematization and analysis of the data available about the Trialeti Culture. This implies a catalogue of the archeological sites and findings. Sites about which the data are collected count 460. The catalogue of the archeological findings includes information about 2000 artifacts.

Regional characteristics are examined on this basis. The part, referring to the absolute and relative chronology, is important. New C14 analysis was performed. External relations of the Trialeti Culture are also significant. Results of previous researches on this issue were collected, new arguments were found and examined to either support or reject already existing views.

გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები თურდოს ხეობიდან

ლაღიაშვილი გიორგი,
არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტი,
საქართველოს უნივერსიტეტი

მდინარე ალაზნის მარჯვენა შენაკადი - თურდოსხევი სათავეს იღებს ცივ-გომბორის მთიდან. იგი ჩრდილოდასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიედინება და ქ. თელავიდან ჩრდილოეთით, 5-6 კმ.-ის მოშორებით, სოფ. გულგულასთან ერთვის ალაზანს. ზემო წელზე, თურდოსხევი ტყიან მთებს შორის, ვიწრო ხეობაშია მოქცეული. თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარდისუბანთან კი (თელავიდან დასავლეთით 2 კმ. დაშორებით) ალაზნის ველზე გამოდის და შესართავამდე დაბლობზე მიედინება. ქართული საისტორიო ტრადიცია (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბაგრატიონი) სწორედ თურდოსხევზე სდებს ქართლოსისა და ჰეროსის სამფლობელოების საზღვარს [“ქართლის ცხოვრება” 1955,I:9; IV:29], რომელიც მას შემდეგ, რაც ქართლოსის მამულები მის შვილებს შორის ნაწილდება, კახოსის წილი ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ (ანუ კახეთ-ჰერეთის) მიჯნად მოიაზრება.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თურდოს ხევზე გადიოდა ადრე ელენისტური ხანიდან ცნობილი, ე.წ. ,,ფასის-ჰირკანიის“ მაგისტრალის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ,,ჰერეთის შემოვლითი გზის“ სახელწოდებით. ეს გზა დაახლოებით ამგვარადაა ლოკალიზებული: მინგეჩაური - ხორანთა-ხორნაბუჯი-ლაგოდეხი-ნეკრესი. ნეკრესის სიახლოვეს იგი გადაკვეთდა მდ. ალაზანს, თელავისა და თურდოსხევის გავლით გადადიოდა გომბორის უღელტეხილზე, გაივლიდა უჯარმას და მიაღწევდა თბილის-მცხეთას [პაპუაშვილი თ., 1970:355 ლიტ. იხ. იქვე].

ხეობის ეს ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტი, თავისთავად იწვევს ინტერესს აქ გამოვლენილი მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ.

ჩვენს მიერ განსახილველი სამარხეული კომპლექსი შემთხვევით აღმოჩნდა თურდოსხევის მარჯვენა ნაპირთან, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორიაზე, თელავიდან დასავლეთით 2-3 კმ-ის დაშორებით, იმ ადგილას, სადაც მდინარე ვიწრო ხეობიდან ალაზნის ველზე გამოდის. აღმოჩენის შემსწრე პირების გამოკითხვიდან გაირკვა, რომ დანგრეული კომპლექსი ორმოსამარხი ყოფილა. სამწუხაროდ ვერ შევძელით გაგვერკვია ინდივიდუალური იყო ის თუ კოლექტიური. გასაგები მიზეზის გამო, ვერც დაკრძალვის პოზის დადგენა მოხერხდა. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით:

ხელადები ორი ცალი, ერთი და იგივე ტიპისა (ინვ. 11928; 11929, ტაბ. I, 1,2): ღია-მოწითალო კეცით. აქვთ მრგვალი პირი, დაბალი, ნაწიბურიანი ყელი, მსხლისებური ტანი და ბრტყელი, უქუსლო ძირი. ოვალურკვეთიანი ყური მიძერწილია ყელის ნაწიბურსა და მხარზე. ყურზე, ყელის ნაწიბურთან შეერთების ადგილას აქვთ თითო მრგვალი კოპი. ხე-

ლადების კეცი წვრილმარცვლოვანია, ფოროვანი. განლექილია წმინდად. არ შეიცავს მინარევებს, გამომწვარია თანაბრად. ერთი მათგანი (ინვ. 11929, ტაბ. I, 2) შეღებილია წერნაქით.

ჯამი (ინვ. N11930, ტაბ. I,3) წითელკეციანი. აქვს მომრგვალებული ბაკო, შიგნით გადახრილი, ჩაკეცილი პირი. ძირი ბრტყელია, უქუსლო. თიხა მსხვილმარცვლოვანია, ფოროვანი, შეიცავს თეთრი ფერის მინარევებს, გამომწვარია სრულად.

სამაჯურები: ბრინჯაოსი, ხუთი ცალი. მათგან სამს (ინვ.11931, 11932, N11933, ტაბ. II, სურ. 1,2,3) აქვს მრგვალგანივკვეთიანი, ოვალურად მორკალული, მცირედ ზურგშეზნექილი ღერო. თავები შემსხვილებულია, ბოლოვდება გველის თავის სქემატური გამოსახულებით.

მრგვალგანივკვეთიანი, დეფორმირებულ ღეროიანი, თავგახსნილი, ბოლოებშესქელებული სამაჯური (ინვ. 11934, ტაბ. II, სურ. 4).

მრგვალგანივკვეთიანი, წვრილღეროვანი, ბოლოებგადახვეული სამაჯური (ინვ. 11935, ტაბ. II, სურ. 5). გატეხილია ორ ნაწილად.

ბეჭდები: ბრინჯაოსი, ოთხი ცალი (ინვ. 11937, 11938, 11939, 11940, ტაბ. II, სურ. 6,7,9,11). ყველა მათგანი ერთი ტიპისაა: შიგნიდან ბრტყელი, ოვალურზურგიანი ღერო მხრებთან განივრდება და ბრტყელ, ოვალური მოყვანილობის ფარაკში გადადის. ერთი მათგანის (ინვ.11937, ტაბ. II, სურ. 6) ფარაკში ჩასმულია ყვითელი მინის თვალი.

ზარაკი, ვერცხლის, (ინვ. 11936, ტაბ. II, სურ. 10) კონუსური მოყვანილობის, სამკუთხად დაფანჯრული ტანით, ზედა მხარეს აქვს მრგვალი საკიდი ყუნწი. გაყრილი ჰქონია ბრინჯაოს ენა (ამჟამად მოტეხილია).

ნამგალი, რკინის (ინვ.11944, ტაბ. I, სურ. 4).

სასხლავი დანა, რკინის (ინვ.11943, ტაბ. ტაბ. I, სურ. 5).

მახვილის (სატევრის ?) ტარი რკინის (ინვ.11945, ტაბ. I, სურ.6), ტარრგოლიანი. ბრტყელ, ვიწრო ტარს შერჩენილი აქვს სამი მანჭვალი.

მძივები და მძივსაკიდები: პასტის. მძივები (2 ცალი, ივნ. 11942. ტაბ. II, სურ. 8) სფერულია, გვერდებდაღარული. მძივსაკიდები (2 ცალი ინვ. 11941. ტაბ. II, სურ. 12), კონუსური მოყვანილობის, გვერდები დაღარულია. ზედა მხარეს აქვს ძაფის გასაყრელი წრიულკვეთიანი ხვრელი.

აღწერილი ინვენტარის პარალელები მრავლად არის ცნობილი საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან. მაგალითად, მსგავსი, ყელწიბოვანი ხელადები ფართოდაა გავრცელებული მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. კერძოდ, ისინი ცნობილია ერწოს ველიდან [რამიშვილი რ., 1979, ტაბ. 5, სურ. 280; ტაბ. 10 სურ. 16; ტაბ. 34, სურ. 86], მცხეთიდან, წიწამურიდან, ნასტაგისიდან [ნარიმანიშვილი გ., 1982:56, ტაბ. XV, სურ. 12-13], ძალისიდან, საყარაულო სერის სამაროვნიდან [ჯინჯიხაშვილი, გ., 1982: 60-61, ტაბ. XVI, სურ. 5], ახალი ჟინვალის, არაგვისპირის [რობაქიძე ც., 1982:87], ჟინვალის სამაროვნიდან და სხვ. [რამიშვილი რ., 1979:63-64, ლიტ. იხ. იქვე] ამ ტიპის ხელადები არსებობენ ახ. წ. I საუკუნიდან მოყოლებული [ჯინჯიხაშვილი გ., 1982:68] IV ს-ის დამდეგამდე [რამიშვილი რ., 1979:63-64]. ყურადღებას იპყრობს წიწამურის სამაროვნის №12 სამარხში მოპოვებული ანალოგიური ხელადები, რომლებიც თანმხლები მონეტებისა და სტრატიგრაფიული ანალიზის მიხედვით დამაჯერებლად თარიღდება ახ.წ. I-II სს-ით [Апакидзе

ტაბულა I. 1,2 - ყელწიბოვანი ხელადები; 3 - პირმოყრილი ჯამი; 4 - ნამგალი; 5 - სასხლავი დანა; 6 - მახვილის (სატევრის?) ტარი.

A., Николайшвили В., Гиунашвили Г., и др. . . 1991:82,197, სურ.1,2].

ჩვენი ჯამის მსგავსი ცალები, ცნობილია ერწოს ველის გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებიდან [რამიშვილი რ., 1979:52,სურ.291]. ამავე კომპლექსებში აღმოჩენილია ზემოთ აღწერილი ზარაკის ზუსტად ანალოგიური ეგზემპლარი [რამიშვილი რ., 1979:55,სურ. 377].

ამავე პერიოდში, როგორც აღმოსავლეთ [მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ., 1984, ტაბ. XXXIV, სურ. 33,34; ჩიხლაძე ვ., 2003,131-132], ასევე დასავლეთ საქართველოში [ხარაბაძე ს., 2003: 166, ლიტ. იხ. იქვე] ფართოდაა გავრცელებული ბოლოებგადახვეული ბრინჯაოს სამაჯურები. ისინი ძირითადად ახ.წ. I-IV სს კომპლექსებში დასტურდება (ამ ტიპის სამაჯურის ყველაზე გვიანდელი ეგზემპლარი ცნობილია ჟინვალის სამაროვნის IV ს-ით დათარიღებული №525 სამარხიდან. (იხ. ჩიხლაძე ვ., 2003, ტაბ. I, სურ. 253). რაც შეეხება ზურგშეზნექილ სამაჯურებს, ისინი, როგორც ცნობილია საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ელინისტური ხანიდან არსებობენ. ამ პერიოდის სამაჯურებისათვის შეზნექილი ზურგი ერთგვარ კანონზომიერებას წარმოადგენს. ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან ამ ტიპის სამაჯურები ნელ-ნელა გამოდის ხმარებიდან ისე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ახ.წ. III-IV საუკუნეების არქეოლოგიურ კომპლექსებში [მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ., 1984; ჩიხლაძე ვ., 2003] ისინი აღარ გვხვდებიან. ამ გარემოებათა გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ჩვენი ზურგშეზნექილი სამაჯურები, გარკვეულწილად სამარხის თარიღს აძველებს და მას უფრო გვიანანტიკური ხანის ადრეული ეტაპისაკენ ეწევა.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ტარრგოლიანი მახვილი (ტაბ. I, სურ. 6). ისინი, საქართველოს ტერიტორიაზე უმთავრესად ცნობილია დასავლეთ საქართველოდან: ვანის მუნიციპალიტეტიდან, ბორიდან, ძევრიდან, ლიადან, ჩხოროწყუდან და სხვ. [ხარაბაძე ს., 2003:165, ტაბ. I, სურ. 1-5]. მათ შემცველ არქეოლოგიურ კომპლექსებს უმთავრესად ახ.წ. I-II სს-ით ათარიღებენ. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ახ.წ. II საუკუნის ბოლოდან ამ ტიპის მახვილები ქრება [ხარაბაძე ს., 2003: 165, ლიტ. იხ. იქვე].

ამრიგად, ვფიქრობთ არ შევცდებით თუ მოტანილი პარალელების მიხედვით, განხილული სამარხეული ინვენტარის თარიღად ახ.წ. I-II საუკუნეებს მივიღებთ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთის გვიანანტიკური ხანის მატერიალური კულტურა შედარებით სუსტადაა შესწავლილი. მართალია, ამ პერიოდის მასალები გამოქვეყნებულია თელავიდან [ჩიკოიძე ც, 1979:4-9], ჭერმიდან [მამაიაშვილი, ნ., ჯავახიშვილი ქ., 1984], სადუღას გორიდან [მეუნარგია ნ., 1990], ყოღოთოდან [სინაურიძე მ., 1969], თუმცა ჯერჯერობით ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს განმაზოგადებელი ნაშრომი, რომელშიც თავმოყრილი და გაანალიზებული იქნებოდა იორ-ალაზნის ორმდინარეთის გვიანანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები. ამ ტიპის სამუშაოს ჩატარების პრეტენზია არც წინამდებარე სტატიას აქვს, თუმცა გვინდა რამოდენიმე, ჩვენი აზრით საგულისხმო მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება.

ზემოთ წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალის განხილვისას, მკითხ-

ველი უთუოდ შენიშნავდა, რომ მათ პარალელები უმთავრესად ქართლის არქეოლოგური კომპლექსებიდან მომდინარე მასალაში ეძებნებათ. ასეთივე სურათი გვაქვს ამ რეგიონში შესწავლილ, ზემოთ დასახელებულ თანადროულ ძეგლებზეც [ჩიკოიძე ც, 1979:4-9; ნ., ჯავახიშვილი ქ., 1984; მეუნარგია ნ., 1990]. შეიძლება ითქვას, რომ იორ-ალაზნის ორმდინარეთის გვიანანტიკური ხანის მატერიალური კულტურა, ორგანული ნაწილია ამავე პერიოდში, ქართლში გავრცელებული მატერიალური კულტურისა. ამ კულტურის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრად, სუმარულად, შესაძლებელია მოვიაზროთ მდ. ალაზნის ქვემო დინება, რომლის მიღმაც (ალაზნის ქვემო დინების აღმოსავლეთით) სულ სხვა ტიპის მატერიალური კულტურაა წარმოდგენილი. იქ გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის არტეფაქტები და მათი შემცველი არქეოლოგიური კომპლექსები აგრძელებენ ალაზნის აღმოსავლეთით ელინისტურ ხანაში გავრცელებული - იალოილუთეფეს კულტურის ტრადიციებს, იქნება ეს სამარხთა ტიპოლოგია, კერამიკის ფორმები, დამზადების ტექნიკა და სხვ. [Керимов В., Алиев М., Керимов Г., 2009:209]. ამრიგად, ალაზნის ქვემო დინება გვევლინება ერთგვარ ბუნებრივ საზღვრად, რომელიც მიჯნავს ამ ორ განსხვავებულ მატერიალურ კულტურას. ეს არქეოლოგიური ფაქტი, ვფიქრობთ გათვალისწინებული უნდა იყოს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ისტორიული და ეთნიკური გეოგრაფიის ზოგიერთი, ჯერ კიდევ სადავო საკითხის უკეთესად გასააზრებლად.

ზოგიერთი მკვლევარი იორ-ალაზნის ორმდინარეთს, ანტიკური ალბანეთის შემადგენელ ნაწილად და ალბანური ტომებით დასახლებულ ტერიტორიად განიხილავს [Еремян С., 1939; Ямпольский З., 1961; Алиев К., 1992]. ამგვარი თვალსაზრისი, რომ აღარაფერი ვთქვათ წერილობით წყაროთა ჩვენების უგულებელყოფაზე, რეგიონის არქეოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ვფიქრობთ მატერიალურ დასაბუთებათა უკმარისობასაც განიცდის.

სტრაბონის მიხედვით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე იბერებსა და ალბანელებს ერთმანეთისაგან მდ. ალაზნის ქვემო დინება ჰყოფდა [სტრაბონი XI,3.5]. პროფ. კ. ფიცხელაური, ახდენს სტრაბონის მიერ დასახელებული, იბერია-ალბანეთის დამაკავშირებელი გადასასვლელის ლოკალიზაციას, რომელიც ალაზნის უკიდურეს ქვემო დინებაზე, კამბეჩოვანში, ე.წ. „შავ მთასთან“ მდებარეობს [ფიცხელაური კ., 1980:14]. ასეთივე სასაზღვრო ვითარება იკვეთება სხვა ბერძენ-რომაელ ავტორთა (პლუტარქე, პლინიუსი, დიონ კასიოსი) ცნობების ანალიზიდანაც [გაგოშიძე ი., 2007:28-29 წყაროები და ბიბლიოგრაფია იხ. იქვე]. თუმცა, ქართულ წერილობით წყაროებში შემონახული ცნობებიდან ცხადია, რომ ეს რეგიონი არაუგვიანეს ელინისტური ხანისა, უკვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ძვ.წ. II საუკუნეში ქართლის მეფე ფარნაჯომი იწყებს ქალაქ ნეკრესის მშენებლობას, ხოლო ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში აქვე ეწევა სამშენებლო სამუშაოებს ასევე ქართლის მეფე არშაკი [„ქართლის ცხოვრება” 1955,I:29,33]. აქედან ჩანს, რომ ელინისტური ხანიდან, აღმოსავლეთით ქართლის პოლიტიკური ძალაუფლება მდ. ალაზნის შუა დინების მარცხენა სანაპიროზეც ვრცელდება. მაშასადამე, იორ-ალაზნის ორმდინარეთი, მოცემული ხანისათვის ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია სავარაუდებელი.



ტაბულა II. 1-5 - ბრინჯაოს სამაჯურები; 6,7,9,11 - ბრინჯაოს ბეჭდები; 8,12 - პასტის მძივები და მძივსაკიდები; 10 - ვერცხლის ზარაკი; 8. პასტის მძივები; 12. პასტის მძივსაკიდები.

ჩვენი აზრით, წერილობითი წყაროების ამ ჩვენების მატერიალური დადასტურებაა ზემოთ წარმოდგენილი, რეგიონის არქეოლოგიური სიტუაცია. კერძოდ: ალაზნის ქვემო დინების აღმოსავლეთით ახ.წ. პირველ საუკუნეებში გავრცელებული მატერიალური კულტურის ალბანური ატრიბუცია, ჩვენი აზრით ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან, როგორც აღინიშნა იგი იალოილუთეფეს კულტურის ტრადიციებს აგრძელებს, რომელიც ცალსახად ალბანური ტომების კუთვნილად მოიაზრება [Иессен А., 1929; Исмизаде О.,1956; Тревер К. 1959]. ზემოთ დასახელებული წერილობითი წყაროებიც, როგორც ითქვა ალბანურ ტომთა განსახლების არეალად სწორედ ალაზნის ქვემო დინების მარჯვენა სანაპიროდან აღმოსავლეთით, კასპიის ზღვამდე მდებარე ტერიტორიას სახავენ. ამდენად, ვფიქრობთ არ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნულ რეგიონში გამოვლენილი ანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლების ალბანურ ტომებთან დაკავშირება ეჭვქვეშ დავაყენოთ. ისევე, როგორც გვიანანტიკურ ხანაში ქართლში მოსახლე ძირითადი ეთნიკური მასის ვინაობა ცალსახად გარკვეულია, შესაბამისად აქ გავრცელებული მატერიალური კულტურის მიკუთვნება ქართული ეთნოსისათვის არანაირ ეჭვს არ უნდა ბადებდეს. აქედან გამომდინარე, ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ იორ-ალაზნის ორმდინარეთში დადასტურებული ამ რიგის ძეგლებიც. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ქართლში და იორ-ალაზნის ორმდინარეთში გავრცელებულია ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა (რომელიც ამავე დროს მკვეთრად განსხვავდება ალაზნის ქვემო დინების მარცხენა მხარეზე - ანტიკური ალბანეთის ტერიტორიაზე გავრცელებული სინქრონული მატერიალური კულტურისაგან), ვფიქრობთ მრავლისმეტყველი უნდა იყოს ამ რეგიონის (იორ-ალაზნის ორმდინარეთის) ეთნიკური შემადგენლობისა და პოლიტიკური კუთვნილების საკითხების გაგებისას. ეს არქეოლოგიური ფაქტი, ვფიქრობთ არ იძლევა საფუძველს, მოცემულ ხანაში აქ ალბანური ეთნიკური ჯგუფების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მასის არსებობის ვარაუდის დაშვებისათვის. ამავე დროს კი მატერიალური დადასტურება უნდა იყოს ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისისა, რომლის მიხედვითაც, ძვ.წ. III საუკუნიდან მოყოლებული, იორ-ალაზნის ორმდინარეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია და ქართლ-ალბანეთის საზღვარი ალაზნის ქვემო დინებაზე, კამბეჩოვანში (ბერძნულ-რომაული წყაროების ,,კამბისენე“) გადის [Меликишвили Г., 1959; მელიქიშვილი გ., 1970:464].

ამ რიგის მსჯელობისას, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებაზე, რომ ანტიკური ხანისათვის თელავი ალბანურ ქალაქთა რიცხვშია დასახელებული. ამგვარ მოსაზრებას სათავე დაუდო კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ დაცულმა ცნობამ, სადაც ალბანურ ქალაქებს შორის იხსენიება ,,Telada”. ამ უკანასკნელისა და თელავის იგივეობაზე თავდაპირველად ჰიპოთეტური მოსაზრება გამოთქვა პროფ. ნ. ლომოურმა [ლომოური ნ., 1955:47] და შემდგომ იგი გაზიარებული იქნა რიგი ავტორების მიერ [მუსხელიშვილი დ., 1966:.36; რჩეულიშვილი ლ., 1963 გვ.5; ჩიკოიძე ც. 1979:5]. საერთოდ, თელავის, როგორც ქალაქური ტიპის დასახლების წარმოქმნა, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე ამას ქართული წერილობითი წყაროები წა-

რმოგვიდგენენ. აქ გამავალი დიდი საქარავნო გზა, მოხერხებული მდებარეობა და მის შემოგარენში გამოვლენილი ანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები [ჩიკოიძე ც., 1979:4-9] მართლაც ქმნის საფუძველს, რომ წინაქრისტიანულ ხანაში აქ მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის არსებობა ვივარაუდოთ. მაგრამ, ქალაქ თელავის კლავდიოს პტოლემაიოსისეულ ტელადასთან გაიგივება, ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ დასახელებული წყარო მას სადღაც კასპიის ზღვის სანაპიროზე ათავსებს. პროფ. ნ. ლომოური ამის შესახებ მიუთითებდა, რომ ძველი გეოგრაფის მიერ ამა თუ იმ პუნქტის ლოკალიზაცია, ხშირ შემთხვევაში ემყარება ვაჭარ-მოგზაურთა თუ სამხედრო პირთა საგზაო ჩანაწერებსა და ზეპირ გადმოცემებს. აქედან გამომდინარე, მის მიერ ნაჩვენები პუნქტების კოორდინატები ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას [ლომოური ნ., 1955:40]. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ მეცნიერს იმ საკითხში, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის ნაშრომში ხშირად ამა თუ იმ პუნქტის ლოკალიზაცია შეცდომით არის მოცემული. მაგრამ, აქვე ვსვამთ საკითხს: შესაძლებელია კი იმ ვაჭარ-მოგზაურებს, ვისი ცნობებითაც სარგებლობდა ავტორი, იმ მასშტაბის შეცდომა დაეშვათ, რომ ცივ-გომბორის ქედის ფერდობზე მდებარე ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე გადაეტანათ? ბოლოს და ბოლოს თელავის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ელინისტური ხანიდან მოქმედებდა და პტოლემაიოსის წყაროს ის კი მაინც უნდა სცოდნოდა, რომ თელავი ზღვისპირა ქალაქი არ არის! გარდა ამისა, წყაროში დაცულია მინიშნება, თუ სად არის სავარაუდო ტელადა. - ის მდებარეობს ,,მდინარე სოანას იქით“ [ლომოური ნ., 1955:47]. ეს სოანა კი, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ლოკალიზდება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში და ის მდ. თერგის შენაკადია [მაკალათია ს., 1983:10].

გარდა ამისა, კლავდიოს პტოლემაიოსის დროს, (ახ.წ. II ს) იორ-ალაზნის ორმდინარეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია და აქ მდებარე ქალაქის ალბანურად დასახელება რეალურად არ შეესაბამება ისტორიულ ვითარებას. აქ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ წყაროში აისახა არა II საუკუნის, არამედ უფრო ძველი ვითარება და დროის რომელიღაც მონაკვეთში თელავის შემოგარენი მართლაც ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ რომელი პერიოდია ეს? ადრეანტიკური ხანისათვის, არ მოგვეპოვება არანაირი მოწმობა იმისა, რომ თელავთან რაიმე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი არსებობდა და ეს გარემოება აისახა კლავდიოს პტოლემაიოსთან. ელინისტური ხანიდან კი ეს რეგიონი ქართლის საზღვრებში ექცევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თელავის მიდამოები წარმოადგენდა კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო ზონას, აქედან გამომდინარე, იორ-ალაზნის ორმდინარეთის ვრცელი ტერიტორიიდან, ეს მიკრორაიონი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც ქართლის სამეფოში შევიდა. რაც შეეხება ახალი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებს, როგორც ცნობილია, ეს პერიოდი ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა და პროფ. ი. გაგოშიძის მართებული შენიშვნით - ამ დროისათვის ქართლი თავის საზღვრებს მიღმა არ დატოვებდა იმ ტერიტორიას (საუბარია იორ-ალაზნის ორმდინარეთზე (გ.ლ.), რომელიც გაცილებით ადრე მას ეკუთვნოდა [გაგოშიძე ი., 2007:28-29]. მაშასადამე, რა საფუძველი

გვაქვს ვიფიქროთ, რომ ელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაში ალბანეთის ძალაუფლება ვრცელდებოდა თურდოსხევამდე და თელავი მის შემადგენლობაში იყო მოქცეული? აქვე შეიძლებოდა კიდევ ერთი ვარაუდის დაშვება, რომ შესაძლოა ეს რეგიონი პოლიტიკურად ქართლის შემადგენლობაში იყო მოქცეული, მაგრამ მისი მოსახლეობა ალბანური იყო და ამან განაპირობა თელავის ალბანურ ქალაქთა რიცხვში დასახელება. მაგრამ, ასეთი თვალსაზრისის განვითარებისათვის გადაულახავ წინააღმდეგობად რჩება ქალაქის შემოგარენში მიკვლეული არქეოლოგიური კომპლექსები. აქ აღარაფერს ვიტყვით განხილულ სამარხეულ ინვენტარზე. ზემოთ, ვფიქრობთ ცხადად იყო ნაჩვენები, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფის კუთვნილია იგი. ასეთივე სურათს ასახავენ XX ს-ის 70 იან წლებში აქ გამოვლენილი ელინისტური და წელთაღრიცხვათა მიჯნის სამარხები, რომლებიც ინვენტარის მიხედვით ძალზე ახლოა სამთავროს სამაროვნის განათხარ მასალასთან. აქედან, ქ-ნ ც. ჩიკოიძეს, ჩვენი აზრით გამოაქვს სრულიად ლოგიკური დასკვნა, რომ აღნიშნულ ხანაში აქ მოსახლე ეთნიკური ბირთვი ქართულია [ჩიკოიძე ც., 1979: 6-9]. ამ თვალსაზრსით გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეტიმოლოგიურად თვით ტოპონიმი თელავი ქართული ენობრივი სამყაროდან მომდინარეობს [ჯავახიშვილი, ივ., 1913]. ამრიგად, ელინისტური და გვიანანტიკური ხანისათვის, არც წერილობითი წყაროები ადასტურებენ თურდოსხევამდე ალბანეთის პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებას და არც მატერიალური კულტურის ძეგლები გვაძლევენ საფუძველს აქ ალბანური მოსახლეობის არსებობა ვივარაუდოთ. აქედან გამომდინარე, ძნელია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ თელავი ალბანური ქალაქია.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარი გააზრება ემყარება არა რაიმე ხელჩასაჭიდ საბუთს, არამედ ორ გარემოებას: 1. ტოპონიმ ,,Telada” -სა და თელავის გარეგნულ მსგავსებას; 2. ჩვენს ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ კონცეფციას [მუსხელიშვილი დ., 1977], რომლის მიხედვითაც იორ-ალაზნის ორმდინარეთი ადრეანტიკურ-ადრეელინისტურ ხანაში ალბანური მოდგმის ტომებით იყო დასახლებული და მათ პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდა. შესაბამისად, ალბანურ ქალაქ ტელადას ქვეშ ნაგულისხმევი იქნა თელავი. თუნდაც გავიზიაროთ კონცეფცია უძველეს ხანაში იორ-ალაზნის ორმდინარეთის ალბანურ ტომთა კავშირში ყოფნის შესახებ (რაც ჩვენი აზრით არ უნდა იყოს ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღიარებული. თუმცა, ამ საკითხს ჩვენ სხვა ნაშრომში საგანგებოდ შევეხებით) ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს კლავდიოს პტოლემაიოსისეული ტელადას ქვეშ თელავი ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც არაერთხელ აღინიშნა ზემოთ, ძვ.წ. III საუკუნიდან მოყოლებული, ამ რეგიონში არც ალბანეთის პოლიტიკური ძალაუფლება ვრცელდება და არც ალბანური მოსახლეობის არსებობა დასტურდება. ხოლო, უფრო ადრეული პერიოდისათვის, არ მოგვეპოვება არანაირი მასალა იმისათვის, რომ თელავის ადგილას ქალაქური ტიპის დასახელებული პუნქტის არსებობა ვივარაუდოთ. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ალბანური ქალაქი Telada იგივე თელავია. ქართველ მეცნიერთა მიერ მათი ერთმანეთთან გაიგივება, გარდა ზემოთ დასახელებული გარემოებებისა, ალბათ

განაპირობა იმანაც, რომ ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა, აქ გამოვლენილი ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების ძეგლები, მართლაც იძლევა საფუძველს იმ ვარაუდისათვის, რომ აღნიშნულ ხანაში თელავის ტერიტორიაზე მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი. აქ კი თავისთავად გაჩნდა ცდუნება ეს მოსაზრება გამაგრებული ყოფილიყო წერილობით წყაროთა მონაცემებითაც და ასეთ წყაროდ მიჩნეული იქნა კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელო.

იმის საჩვენებლად, თუ რა წინააღმდეგობებს აწყდება Telada-თელავის იგივეობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, საჭიროდ ვთვლით განვიხილოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში შესრულებული ბოლო ნაშრომი, სადაც ეს თვალსაზრისია გატარებული

დასაწყისში აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ გვამოძრავებს არავის მიმართ პირადი წყენა თუ ანტიპატია, - პირიქით. თუმცა, ვფიქრობთ პირადი კეთილგანწყობა ხელს არ უნდა უშლიდეს განსხვავებული მოსაზრების წამოყენებასა და თუნდაც მკაცრ სამეცნიერო კრიტიკას.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან ელანიძე 2006 წელს გამოცემულ ნაშრომში - ,,კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები“ - საგანგებოდ ეხება თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიას. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ნ. ლომოურის, ლ. რჩეულიშვილის, ც. ჩიკოიძისა და სხვათა ნაშრომებს და მიდის დასკვნამდე, რომ კლავდიოს პტოლემაიოსთან ალბანურ ქალაქთა რიცხვში დასახელებული ტელადა იგივე თელავია [ელანიძე ვ., 2006]. აქ ახალი არაფერია, რადგან ეს მოსაზრება, როგორც აღინიშნა ჯერ კიდევ XX ს-ის 50 იან წლებში იყო გამოთქმული. თუმცა, ჩვენ გვაოცებს ამ მოსაზრების სასარგებლოდ ავტორის მიერ მოხმობილი არგუმენტები და თავად პათოსი, რომლითაც შესრულებულია ნაშრომი.

Telada-თელავის იგივეობის სასარგებლო ახალ არგუმენტად, ავტორს მოაქვს ქართლის სამეფოს აღმოსავლური პოლიტიკა. ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან ქართლის მეფეთა მიერ ამ რეგიონში წარმოებული უჯარმისა და ნეკრესის მშენებლობები. დასახელებულ პუნქტებზე გამავალი საქარავნო გზის კონტექსტში, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ შუალედური პუნქტი ამ გზაზე, უჯარმასა და ნეკრესს შორის იყო თელავი და მისი დაწინაურება თანამდევი მოვლენა უნდა ყოფილიყო დასახელებული ქალაქების მშენებლობისა [ელანიძე ვ., 2006:20]. თელავის ქალაქად წარმოქმნის ისტორიისათვის, ეს მოსაზრება მართლაც საყურადღებო მიგნებად უნდა ჩაითვალოს და ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მას. თუმცა, აქ ავტორის ლოგიკაში ჩნდება ,,პატარა“ შეუსაბამობა. კერძოდ: პროფ. ვ. ელანიძეს თელავის დაწინაურება-გაქალაქება ძვ.წ. IV-III საუკუნეებში გადააქვს. იგი, ამ მოვლენას ერთის მხრივ ქართლის მეფეთა მიერ იორ-ალაზნის ორმდინარეთში ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრების დაარსებას უკავშირებს, მეორე მხრივ კი ამტკიცებს, რომ ეს ის ქალაქია, რომელიც კლავდიოს პტოლემაიოსის მიხედვით ალბანეთში მდებარეობს. აქ ისმის კითხვა - თელავის დაწინაურება-გაქალაქება თუ ქართლის მეფეთა აღმოსავლურ პოლიტიკას უკავშირდება, როგორ უნდა ყოფილიყო იგი ალბანეთის შემადგენლობაში მოქცეული? მარტივად რომ ვთქვათ - რა ხელი უნდა ჰქონოდათ ქართლის მეფეებს ალბანეთის ქალაქ-

თან? ეს კიდევ არაფერი, ავტორს მალევე ავიწყდება თავისი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თელავის გაქალაქება ქართლის მეფეთა აღმოსავლურ პოლიტიკას უკავშირდება და ცოტა ქვემოთ გვთავაზობს სხვა შეხედულებას, რომ იბერია-ალბანეთის საზღვარზე (თურდოსხევზე, რომელიც რეალურად კახეთ-ჰერეთის საზღვარს წარმოადგენდა მხოლოდ) მდებარე ეს დასახლებული პუნქტი, შეუძლებელია ალბანეთის მმართველთა ყურადღების ქვეშ არ მოქცეულიყო და ისინი საგანგებოდ იზრუნებდნენ მის გამაგრებაზე [ელანიძე ვ., 2006:21]. მაშ ასე, თელავის, როგორც ქალაქის წარმოქმნა, ხან ქართლის სამეფოს აღმოსავლურ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, ხანაც ალბანეთის მესვეურთა მიერ თავიანთი საზღვრების გამაგრებასთან. ამასთანავე, პასუხგაუცემელი რჩება მთავარი კითხვა: ბოლოს და ბოლოს, რომელი სახელმწიფოს ფარგლებში მოხდა ეს?

ვ. ელანიძეს მიაჩნია, რომ ალბანეთის ძალაუფლება თურდოსხევამდე ვრცელდებოდა და აქედან გამომდინარე შესაძლებელია კლავდიოს პტოლემაიოსისეული Telada თელავი იყოს. მაგრამ, აქ ავტორის მსჯელობაში კვლავ წინააღმდეგობები და ანაქრონიზმები იჩენს თავს. ერთი მხრივ იგი ახსენებს სტრაბონის მიერ აღწერილ მთვარის ტაძარს, აქვე ამბობს იგი, რომ სტრაბონი წელთაღრიცხვათა მიჯნის ავტორია, და ბოლოს გვამცნობს ,,სულ მალე, ძვ.წ. III საუკუნიდან (ხაზგასმა ჩვენია გ.ლ.) ამ ყოველივეს იბერიის სამეფო დაეუფლა“-ო [ელანიძე ვ., 2006:21-22]. ჯერ ერთი, რადგან ელინისტური ხანიდან თელავის შემოგარენი ქართლის სამეფოშია, აღნიშნულ ხანაში აქ მდებარე დასახლებული პუნქტი ვერ იქნებოდა დასახელებული ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქად. მეორეც, იგივე სტრაბონი სრულიად გარკვევით წერს, რომ ქართლ-ალბანეთის საზღვარი თურდოსხევზე კი არა, ალაზნის ქვემო დინებაზე გადის (იხ. ზემოთ).

ავტორს, როგორც ჩანს ზემოთ განხილული არგუმენტები არასაკმარისად მიაჩნია ტელადა-თელავის იგივეობის დასასაბუთებლად და ცდილობს არქეოლოგიური მონაცემებითაც გაამაგროს იგი. ამიტომ, ვრცლად ეხება პროფ. კ. ფიცხელაურისა და ა. ფუტფენგლერის მიერ კახეთში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგებს. კერძოდ, ქუმბათში გამოვლენილ აქემენიდური პერიოდის სასახლესა და შირაქში მიკვლეულ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებს. ჯერ ერთი, ჩვენთვის გაურკვეველია რა კავშირშია ქიზიყში გამოვლენილი სასახლე თელავის ქალაქად წარმოქმნის საკითხთან (თელავთან ახლოს მაინც ყოფილიყო იგი). ამასთან, ავტორს ქუმბათი თანამედროვე ქალაქად წარმოუდგენია და ხშირად იმეორებს ,,ქ. უმბათში“ (?!) აღმოჩნდა ესა და ესო [ელანიძე ვ., 2006:23]. რეალურად ,,ქ. უმბათი“ ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ არსებობს ადგილი ქუმბათი, სადაც აღნიშნული სასახლე აღმოჩნდა. აქ ვფიქრობთ კომენტარი ზედმეტია. ამ ,,პატარა უხერხულობასაც“ რომ თავი დავანებოთ, ავტორი არსებითად ამახინჯებს ქართულ - გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის კველევა-ძიების შედეგად მიღებულ მონაცემებს. ასე, მაგალითად, იგი იმოწმებს ერთ-ერთ საგაზეთო სტატიას, სადაც პროფ. კ. ფიცხელაური მოკლედ აჯამებს აღნიშნული ექსპედიციის შედეგებს და პროფ. ვ. ელანიძე არქეოლოგს ,,ათქმევინებს“, იმას, რაც შეუძლებელია რომ მას ეთქვა. კერძოდ, ვითომცდა კ. ფიცხელაური აცხადებს, რომ ქუმბათში სასახლის აღ-

მოჩენის შემდეგ, შირაქში მიაკვლიეს ამავე პერიოდის (საუბარია აქემენიდურ ხანაზე გ.ლ.) ქალაქური ტიპის დასახლებებს [ელანიძე ვ., 2006:23-24]. თუმცა, რეალურად აქ საუბარია არა ადრეანტიკური ხანის ნაქალაქარებზე, არამედ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ქალაქური ტიპის დასახლებებზე, რომლებიც მართლაც მრავლადაა აღმოჩენილი იორ-ალაზნის ქვემო წელზე. პროფ. ვ. ელანიძე კი ამ ნამოსახლარებს წარმოგვიდგენს აქემენიდურ სასახლეზე საუბრის კონტექსტში და ამით მკითხველს ეუბნება, რომ ადრეანტიკურ ხანაში კახეთში ქალაქები არსებობდა და თელავის ქალაქად წარმოქმნაც იმ ადრეულ ხანაში უნდა ვივარაუდოთო. პროფ. ვ. ელანიძეს შეგვიძლია შევთავაზოთ შემდეგი სამუშაო ჰიპოთეზა: იქნებ თელავის ქალაქად წარმოქმნა გვიანბრინჯაოს ხანაში გადაგვეტანა, რადგან ამ პერიოდის ქალაქური ტიპის დასახლებები მრავლად გვაქვს კახეთში და ავტორის ლოგიკას თუ მივყვებით, ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელი იქნებოდა . . .

განხილული მსჯელობისას ავტორს თითქმის დასაბუთებულად მიაჩნია ტელადა-თელავის იგივეობა, თუმცა, მისი აზრით, ,,საქმეს მხოლოდ ის ართულებს, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის ქ. ტელაიბა იქ არაა, სადაც ჩვენ გვინდა“ [ელანიძე ვ., 2006:18] (ხაზგასმა ჩვენია გ.ლ.). აქ, ნებსით თუ უნებლიედ, ვ. ელანიძე ამჟღავნებს იმ ძირითად მიზანს, რასაც ნაშრომი ემსახურება: იმისდა მიუხედავად, რომ წყარო ტელადას იქ არ ათავსებს სადაც მას უნდა (ანუ დღევანდელი თელავის ადგილას), როგორმე უნდა დაასაბუთოს ამ უკანასკნელისა და თელავის იგივეობა. და აი, Telada-ს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით რა მოსაზრებას გვთავაზობს: კლავდიოს პტოლემაიოსს აღნიშნული აქვს, რომ Telada მდებარეობს მდინარე ,,სოანას იქით“. ამასთან დაკავშირებით ვ. ელანიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჩვენი თელავიც ხომ მდინარე თურდოსთან მდებარეობსო (?!) [ელანიძე ვ., 2006:19]. ჯერ ერთი რა საბუთები აქვს ავტორს იმის სამტკიცებლად, რომ მდინარე სოანა იგივე თურდოა? მეორეც, თუ კი მას მართლაც უნდოდა კლავდიოს პტოლემაიოსისეული Telada-ს ადგილმდებარეობა გაერკვია, ჯერ სოანას ლოკალიზაცია უნდა ეცადა და ეს უკანასკნელი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე არ უნდა გაეიგივებინა თურდოსთან. როგორც აღინიშნა, მდინარე სოანას ქართული წყაროებიც იცნობენ (ვახუშტი ბაგრატიონი). იგი დაღესტნის მთებიდან იღებს სათავეს და ჩრდილო კავკასიის სტეპებში ერთვის მდინარე თერგს [მაკალათია ს., 1983:10].

ზემოთ მოტანილი მსჯელობის შემდეგ ვფიქრობთ ცხადი უნდა იყოს, რომ განხილული ნაშრომის მიზანი ის კი არ არის რეალურად გამოარკვიოს კლავდიოს პტოლემაიოსისეული Telada-ს მდებარეობა, არამედ ის, რომ ალოგიკური და აბსურდული არგუმენტებით მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, როგორმე დააჯეროს ამ უკანასკნელისა და თელავის იგივეობა, რადგან ვ. ელანიძეს უნდა, რომ ეს ასე იყოს. წინასწარგამიზნულ დასკვენბზე აგებული ნაშრომებით კი ობიექტური ისტორია არ იწერება.

და მაინც, რა მიზანს ემსახურება Telada - თელავის იგივეობის ასეთი კატეგორიული მტკიცება? ამით, ვფიქრობთ ავტორს სურს ხაზი გაუსვას ქალაქ თელავის სიძველესა და მნიშვნელობას. აკი, თავად წერს: ,,აღნიშნული რეალობის უარყოფა (საუბარია Telada-თელავის იგივეობაზე

გ.ლ.) და გაუთვალისწინებლობა, შეუძლიათ მხოლოდ მათ, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო, არ უნდათ სინამდვილეს თვალი გაუსწორონ და აღიარონ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ისტორიის მრავალსაუკუნოვანი ხნოვანებაც და მისი არაერთი ზოგადსაკაცობრიო ბრწყინვალებანი“ - ო [ელანიძე ვ., 2006:22]. ამრიგად, თურმე, ვინც Telada -თელავის იგივეობას არ ირწმუნებს, მას არ სურს აღიაროს საქართველოს ისტორიის სიძველე. ჩვენ გვინდა შევეკითხოთ პატივცემულ ავტორს: რომელ საქართველოს ისტორიაზე საუბრობს იგი? აკი თავად ამტკიცებს დაჟინებით, რომ თურდოსხევამდე ალბანეთი იყო და თელავიც ალბანურ ქალაქთა რიცხვში აქვს დასახელებული კლავდიოს პტოლემაიოსსო? იგი ძველ ქართულ ქალაქს ძალით აკუთვნებს ალბანეთს და თანაც მკითხველს ანამუსებს, თუ ამ მოსაზრებას არ დაიჯერებთ, ე.ი. არ გსურთ ჩვენი ისტორიის „ზოგადსაკაცობრიო ბრწყინვალებანის“ აღიარებაო. Telada-თელავის იგივეობის თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით მტკიცება, რეალურად, თელავის სიძველეს კი არ ადასტურებს (არქეოლოგიური მონაცემებთ ეს ისედაც ცხადია. იხ. ზემოთ), არამედ ხელს უწყობს ძველი ქართული ქალაქისა და ზოგადად მთელი ალაზნის ველის (დღევანდელი კახეთის) ალბანეთის კუთვნილ მიწაწყლად განხილვას!

ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი ტენდენციების განვითარებას, უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მოჰყვა შორს მიმავალი დასკვნები, რომლებზეც ვფიქრობთ, ბატონ ვალერიან ელანიძეს კი არა, ქართველ ისტორიკოსთა მცირე ნაწილს თუ აქვს წარმოდგენა. კერძოდ: ანტიკური ალბანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ, ფაქტობრივად ყველა ნაშრომში იორალაზნის ორმდინარეთი, თურდოსხევამდე (თელავითურთ რასაკვირველია) ალბანურ ტერიტორიად განიხილება [Алиев К., 1992; Искендеров Э., 2012, ლიტ. იხ. იქვე]. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და ამ რეგიონს ალბანეთის შემადგენელ ნაწილად წარმოაჩენს ამ სახელმწიფოს არსებობის მთელს მანძილზე (ახ.წ. X საუკუნემდე!) [Еремян С., 1939; Ямпольский З., 1961]. უფრო მეტიც, - რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელი საინგილოს ხუროთმოძღვრული ძეგლების ალბანურად გამოცხადებაზე [Никоноров А., 2004], ისეთ ავტორიტეტულ გამოცემაში, როგორიცაა “Православная Энциклопедия”, იორალაზნის ორმდინარეთი შეტანილია ალბანური საკათალიკოსოს შემადგენლობაში, შესაბამისად, ალბანურად განიხილება ამ ტერიტორიებზე მდებარე ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლები, მათ შორის: ბოდბე, გურჯაანის ყველაწმინდა და სხვ. [ჯაფარიძე ა., 2006]. ვფიქრობთ, დასახელებულ უცხოელ ავტორებს ვერც ვუსაყვედურებთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ტენდენციურად წარმოჩენის თაობაზე, რადგან თავად ქართულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა პრეცენდენტი იორალაზნის ორმდინარეთის ალბანურ პროვინციად განხილვისათვის. ხოლო, Telada-თელავის იგივეობის შესახებ ზემოთ განხილული მოსაზრებაც, ამ ტენდენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, დაჟინებით იცავს XX საუკუნის 50-60-იან წლებში შემუშავებულ დებულებებს და არ ითვალისწინებს წლების მანძილზე

დაგროვილ ახალ ფაქტობრივ (ძირითადად არქეოლოგიურ) მასალას, რომელთა ფონზეც, შესაძლებელია სხვაგვარად გაშუქდეს იორ-ალაზნის ორმდინარეთის ისტორიული და ეთნიკური გეოგრაფიის საკითხები. ამ დიდ სამეცნიერო პრობლემას ახლა არ (და ვერ) შევეხებით, რადგან მის გაშუქებას ალბათ საგანგებო მონოგრაფია სჭირდება. აქ კი დავკმაყოფილდებით მხოლოდ არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნის კონსტატირებით: იორ-ალაზნის ორმდინარეთის გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების კულტუროგენეზი აშკარად შიდა ქართლის მატერიალურ კულტურასთან არის დაკავშირებული და იმავე დროს მკვეთრად განსხვავდება ალაზნის ქვემო დინების აღმოსავლეთით გამოვლენილი სინქრონული მასალებისაგან. ეს არქეოლოგიური ფაქტი, როგორც აღვნიშნეთ, მატერიალურ დადასტურებად მიგვაჩნია ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში ასახული იბერია-ალბანეთის სასაზღვრო ვითარებისა, რომლის მიხედვითაც, ამ სახელმწიფოთა ეთნოპოლიტიკურ საზღვრად მდ. ალაზნის ქვემო დინება მოიაზრება. ამდენად, ერთი მხრივ წერილობით წყაროთა ჩვენებანი, მეორე მხრივ კი რეგიონის არქეოლოგიური სიტუაცია, ვფიქრობთ საფუძველს აცლის იმ ავტორთა მოსაზრებებს, ვინც ცდილობს ანტიკური ხანისათვის იორ-ალაზნის ორმდინარეთი წარმოაჩინოს ალბანური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონად და მათ ტომთა კავშირში შემავალ ტერიტორიად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ აღმოსავლურ ქართული მატერიალური კულტურის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრის ლოკალიზაცია (იხ. ზემოთ) გარკვეულწილად ჰიპოთეტურ ხასიათს ატარებს, რადგან, როგორც აღინიშნა ზემოთ, იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა საგანგებო, სიღრმისეული შესწავლის საგანი. ამდენად, კატეგორიული ხასიათის დასკვნების გაკეთება, მხოლოდ ამ ტიპის სამუშაოს ჩატარების შემდეგ არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს ამ პრობლემას, რადგან, იორ-ალაზნის ორმდინარეთის ისტორიული და ეთნიკური გეოგრაფიის პრობლემურ საკითხებზე სრული სიცხადით მსჯელობა, ამ რეგიონის ანტიკური ხანის მატერიალური კულტურის სიღრმისეული კვლევის ფონზეა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

გაგოშიძე ი., 2007: ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.წ. I საუკუნეში. იბერია-კოლხეთი №3. – თბილისი;

ელანიძე ვ., 2006: კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები. - თბილისი;

ლაღიაშვილი გ., 2013: იალოილუ-თეფეს კულტურის გენეზისის პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №№ 1-2. - თბილისი;

მაკალათია ს., 1983: თუშეთი. – თბილისი;

მუსხელიშვილი დ., 1977: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. – თბილისი;

მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ., 1984: ჭერმის გვიანრომაული ხანის სამაროვანი. - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. VI. - თბილისი;

მელიქიშვილი გ., 1970: ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. - თბილისი;

მეუნარგია ნ., 1990: გვიანრომაული ხანის სამარხები ადგილ სადუღადან, „არქეოლოგიური ძიებანი“. - თბილისი. ნარიმანიშვილი გ., 1982: შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ნასტაგისიდან. „არქეოლოგიური ძიებანი“. - თბილისი;

პაპუაშვილი თ., 1970: ჰერეთის ისტორიის საკითხები. - თბილისი;

რამიშვილი რ., 1979: ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. - თბილისი;

რობაქიძე ც., 1982: არაგვისპირის სამაროვნის თიხის ჭურჭელი, „არქეოლოგიური ძიებანი“. - თბილისი;

სინაურიძე მ., 1967: გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოღოთოდან., საქ. სახ. მუზეუმის მოამბე ტ. XXVII-B. - თბილისი;

სტრაბონის გეოგრაფია 1957: ცნობები საქართველოს შესახებ (თ. ყაუხჩიშვილის რედაქციით) - თბილისი;

ფიცხელაური კ., 1980: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. IV. – თბილისი;

„ქართლის ცხოვრება” 1955 (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით): ტ. I. - თბილისი;

ჩიკოიძე ც., 1979: ქალაქი თელავი. - თბილისი;

ჩიხლაძე ვ., 2003: გვიანანტიკური ხანის მეომრის სამარხი ჟინვალის სამაროვნიდან. „იბერია-კოლხეთი“ №1. - თბილისი;

ხარაბაძე ს., 2003: ახ. წ. I-II სს-ის სამარხი სოფელ ზედა გორადან (ვანის რ-ნი). „იბერია-კოლხეთი“ №1. - თბილისი;

ჯავახიშვილი ივ., 1913: ქართველი ერის ისტორია, წ. 2. - თბილისი;

ჯაფარიძე ა., 2006: საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა “Православная Энциклопедия”-ს ტომეულებში. „ამირანი“ №25 - თბილისი;

ჯინჯიხაშვილი გ., 1982: ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან, „არქეოლოგიური ძიებანი“. - თბილისი;

Алиев К., 1992: Античная Кавказская Албания. - Баку;

Апакидзе А., Николайшвили В., Гиунашвили Г., и др. . . 1991: Мцхетская экпиция. Полевые археологические исследования в 1986 г. - Тбилиси;

Еремян С., 1939: Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana. ВДИ., №1 (6). - Москва;

Иессен А., 1929: Культура Ялойлу-Тапа в Закавказье (предварительная характеристика), Сборник Государственной Академии истории материальной культуры, 1. - Москва- Ленинград;

Искендеров Э., 2012: Взаимосвязи Азербайджанского Албанского государства с Иберией (IV в. до н.е. – III в.н.е. – На основе археологического материала). - Диссертация на соискание ученой степени доктора философии по истории. - Баку;

Исмизаде О.,1956:Ялойлутепинская культура.- Баку;

Керимов В., Алиев М., Керимов Г., 2009: Археологические исследования поселения Торпаггала близ села Ляляли Кахского района. Археологические исследования в Азербайджане. - Баку.

Меликишвили Г., 1959: К истории древней Грузии. - Тбилиси;

Никоноров А., 2004: ИСТОРИЯ ХРИСТИАНСТВА В КАВКАЗСКОЙ АЛБАНИИ. Диссертация на соискание ученой степени кандидата богословия. - Троице-Сергиева Лавра;

Тревер К. 1959: Очерки по истории культуре Кавказской Албании (IV в.'до н.э. - VII в. н.э.) Изд-во Академия наук СССР.- Москва- Ленинград;

Ямпольский З., 1956: Материалы о происхождении азербайджанского народа// Известия АН Азерб.ССР, , N1. - Баку;

Ямпольский З., 1961: Албания Кавказская. Советская историческая энциклопедия. Т.1.- Москва.

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბულა I. ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეების სამარხეული ინვენტარი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნიდან: 1–2. ყელწიბოვანი ხელადები; 3. პირმოყრილი ჯამი; 4. ნამგალი; 5. სასხლავი დანა; 6. მახვილის ტარი.

ტაბულა II. ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეების სამარხეული ინვენტარი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნიდან: 1-5. ბრინჯაოს სამაჯურები; 6,7,9,11. ბრინჯაოს ბეჭდები; 10. ვერცხლის ზარაკი; 8. პასტის მძივები; 12. პასტის მძივსაკიდები.

The burial of the Late Classical Period in Turdo Gorge

Laghiashvili Giorgi,
The Department of Archaelogy, Anthropology and Art,
The University of Georgia

The article presents a discussion of the chance finds of grave goods revealed in 2010 near Telavicity (Georgia, Kakheti region) in the Turdo River gorge.Ceramics, bronze adornment and the types of metal weapons and tools included in the grave goods are widely known from the burial complexes of eastern Georgia dated by the 1st-2nd millennia AD and belong to one and the sameethnocultural affiliation.

In this article there is suggested a supposition that the mentioned material culture in the given period covered the entire territory of Georgia. This culture can be called “Eastern Georgian” material culture as it was presented in the very geographical range which was considered as an area of habitation of the Kartvelians (Caucasian Iberians) and the territory of the Kingdom of Kartli(Iberia)by the written sources of the Classical period (Strabo, Pliny,Claudius Ptolemy). The archaeological fact that thementioned culture (eastern Georgian)was densely distributed in all districts of the Kingdom of Iberia (even in its easternmost province Hereti)indicates the ethno-political unity of the kingdom.

Also here is rejected some of the author’s opinionstating that the northwest border ofCaucasian Albaniareached the Turdo gorge and the Albanian city “Telada” named in Claudius Ptolemy’s “Geographical Guidance” was Telavi city.According to the conclusion madebased on theanalysis of the written sources, the Albaniancity“Telada”was notlocated at the present-day Telavi city but on the western coast of the Caspian Sea. Therefore, the identification of modern Telavi and Claudius Ptolemy’s“Telada”with each other is groundless and it was caused only by the outward resemblance of these two toponyms.

დოლოჭოპის ბაზილიკის სამაროვანი

მამიაშვილი ვაჟა,
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის
შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების
კახეთის ფონდის ასისტენტ-კურატორი;
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ჩვენ მიერ წარმოებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილი დოლოჭოპის ბაზილიკის ნანგრევები მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე დურუჯის მარჯვენა ნაპირზე (სურ.1). ძეგლის გეოგრაფიული კოორდინატებია: N-410 58’ 25.4; E-0450 48’ 36.7 (GPS კოო-რდინატები).

სამნავიანი ბაზილიკის ცენტრალური დარბაზი 18 მეტრი სიგანის და 36 მეტრი სიგრძისაა. ეკლესია ჯვრისებრი გეგმის ხუთი წყვილი სვეტებით სამ ნავადაა დაყოფილი. ბაზილიკის ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით ნახევარწრიული გეგმის აბსიდით ბოლოვდება, გვერდითი ნავები კი სწორკუთხა პასტოფორიუმებით (სურ. 2-3). ტაძრის დანგრევის დროს იატაკზე მიმოფანტული სამშენებლო მასალის დეტალების (სურ. 4-7) არქეოლოგიურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ბაზილიკის ნავები ხის კოჭოვან კონსტრუქციაზე დაწყობილი კრამიტის საბურველით იყო გადახურული და არა ქვის კამარებით. აღნიშნული ფაქტი და ნაგებობის რიგი სხვა გეგმარებითი თავისებურებანი მიგვითითებს, რომ ეს ტაძარი ორგანულად ყოფილა დაკავშირებული რომაულ - ბიზანტიური სამყაროს უადრესი ბაზილიკების სტილისტურ წრესთან [ბახტაძე, ნ. 2012. 273-303]. ამ გარემოებისა და გათხრისას გამოვლენილი არტეფაქტების გათვალისწინებით, ტაძარი ჩვენ მიერ V საუკუნით დათარიღდა [ბახტაძე, ნ. მამიაშვილი, ვ. გაბეხაძე, ბ. 2015. 110-133].

უნდა ითქვას, რომ დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევის შედეგებს, ჩვენი ცოდნა საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის შესახებ, მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძართმშენებლობის შესახებ ახალი ინფორმაციით არ გაუმდიდრებია

ბაზილიკის განათხარ ფართობთა სტრატიგრაფიამ და იქ აღმოჩენილმა სხვადასხვა არტეფაქტებმა ძეგლის ფუნქციონირების სამი ძირითადი ქრონოლოგიური ფაზა წარმოაჩინა. სავარაუდოდ, ეკლესია V საუკუნის II ნახევარში აიგო. ბაზილიკის ფუნქციონირების პირველი ეტაპი VIII საუკუნეში უნდა დასრულებულიყო, არაბი სარდალის, მურვან-ყრუს (მურვან იბნ მუჰამადის) საქართველოში დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად გამოწვეული გარემოებებით.

ეკლესიის ფუნქციონირების მეორე ეტაპზე უნდა მომხდარიყო არაბთა შემოსევების დროს დანგრეული სამნავიანი ბაზილიკის სახელდახელოდ გადაკეთება, შედარებით მომცრო, ორნავიან თუ „ორეკლესიიან“ ბაზილიკად (სურ. 8). აღნიშნული განახლების დროს, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მეოთხე

წყვილ სვეტებამდე, დაზიანებული ბაზილიკის მხოლოდ შუა და ჩრდილოეთის ნავის ნაწილები და ისიც არცთუ ხარისხიანად აღუდგენიათ. სვეტებს შორის დარჩენილი სივრცეები, კარების ღიობების გარდა, ბაზილიკის ნგრევის შედეგად წარმოქმნილი მასალითაა შევსებული. მათ შორის, სხვადასხვა ადგილზეა გამოყენებული შირიმისაგან ნათალი კვადრები, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე მხოლოდ სვეტების დამაკავშირებელ კონსტრუქციაში - არკადეებში გვხვდება. ცხადია, რომ ეს მცირე, გადაკეთებული ეკლესია მხოლოდ ორფერდა სახურავით იქნებოდა დახურული. გადაკეთებული ეკლესიის ფართობი დაახლოვებით 91 კვ. მეტრს შეადგენს. თუ ჩავთვლით, რომ ბაზილიკის ფუნქციონირების პირველი ეტაპი VIII საუკუნის I მეოთხედში დასრულდა, მაშინ, მეტად სავარაუდოა რომ, აღნიშნული ეპოქის საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ეკლესიის შეკვეცილი სახით რეკონსტრუქცია დიდი ბაზილიკის დანგრევიდან ერთი საუკუნის განმავლობაში განხორციელებულიყო. ამავე ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ძეგლის სტრატიგრაფიული და მისგან მომდინარე ქრონოლოგიური სურათი. ტაძრის განახლების გარემოებების გასარკვევად საყურადღებოა შემდეგი: ისტორიული წყაროების მიხედვით, არაბთა ამ ლაშქრობის შედეგად, ნაქალაქარი ნეკრესი არსებობას წყვეტს; სავარაუდოდ, შემდგომში მის ადგილზე, სოფლის ტიპის დასახლებები წარმოიშვა. ამდენად, შემცირებული მოსახლეობის, არაბთა შემოსევების შედეგად წარმოქმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბაზილიკის სრული განახლება შეუძლებელი იქნებოდა.

დოლოჭოპის ტაძრის ფუნქციონირების საბოლოო შეწყვეტის დროის ზუსტად განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ამ ძეგლის ფუნქციონირების მესამე ეტაპის, მისი როგორც არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების პერიოდის დროინდელ მატერიალური მასალის კვლევას.

საქმე ის არის, რომ, მას შემდეგ, რაც დოლოჭოპის ბაზილიკამ თავისი დანიშნულებით საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა, კედლების, სვეტების და სახურავის ნანგრევებით მოფენილ ინტერიერში, ადრე შუა საუკუნეების ფინალურ ეტაპზე, დაახ. X საუკუნისთვის, მჭიდრო სამაროვანი მოეწყო. სამარხების გამართვის პროცესმა ტაძრის შემორჩენილი კონსტრუქციების მნიშვნელოვანი ნაწილის დაზიანება გამოიწვია (სურ. 8).

დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერში, ამ შემთხვევაში ეკლესიის ფუნქციონირების მეორე ფაზის გეგმარების სივრცეში, რეკონსტრუირებული ეკლესიის შიდა სივრცესა და კედლების ნაშთებზე, დაფიქსირდა ნანგრევ მასაში ჩაჭრილი 53 სამარხი (სურ. 8). ყველა ეს სამარხი, ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულ ქვის სამარხების, ე.წ. „ქვაყუთების“ ტიპს განეკუთვნება (სურ. 9-10). ზოგადად, ამ სახეობის სამარხების ასაგებად, როგორც წესი, გამოიყენებოდა ქვის გათლილი ფილები. „ყუთის“ შესაკრავად უმთავრესად ოთხ ფილას იყენებდნენ. მართკუთხედის ფორმის სამარხის ოთხივე კედელი თითო ვერტიკალურად მდგომი ფილისგან

შედგებოდა. თუმცა, არცთუ იშვიათად, უფრო ხშირად „ქვაყუთის“ გრძივი კედლების აღსამართად ორ ან მეტ ფილასაც გამოიყენებდნენ. ქვის სამარხების გადსახურად კი უმთავრესად სამი ან ოთხი ფილა გამოიყენებოდა. უმთავრსად კი ქვის სამარხს ორი ან ერთი მთლიანი ფილითაც ფარავდნენ. ადრეულ შუა საუკუნეებში, უმრავლეს შემთხვევაში, ხოლო განვითარებულ შუა საუკუნეებში როგორც წესი, მიცვალებულებს ქვაყუთებში გაშოტილ პოზაში მარხავდნენ. ისინი ქრისტიანული წესით, თავით დასავლეთით და პირსახით აღმოსავლეთის დამხრობით არიან დაკრძალულნი. ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში, ქვის სამარხებში კრძალავდნენ როგორც თითო ინდივიდს, ისე რამდენიმეს. კოლექტიური სამარხები, როგორც წესი, ერთი ოჯახის წევრებისთვის იყო განკუთვნილი (სურ. 11).

დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერის სამაროვანის შემავალი სამარხებიც ტიპოლოგიურად ზემომოყვანილ კანონზომიერებას ასახავს. სამარხთა მოწყობისათვის აქაც სიპი ქვებისაგან გამოთლილი ფილებია გამოყენებული. ქვის სამარხების, ყუთების შემკვრელი ფილები საკმაოდ კარგადაა დამუშავებული. სამარხები ზემოდან სხვადასხვა ზომის, ორიდან ოთხამდე, ქვის ფილითაა დახურული. ზოგ შემთხვევაში, გადახურვის ძირითად ფილებს შორის დარჩენილ ღრიჭოებზე დამატებით, მცირე ზომის ბრტყელი ქვის ფილებიც აფარია. „ქვაყუთები“ მოწყობილია ქრისტიანული დაკრძალვის წესით, აღმოსავლეთ - დასავლეთ ღერძზე დამხრობით. თუმცა, გვხვდება მცირედი ცდომილებებიც. სამარხების აფსოლუტური უმრავლესობა კოლექტიურია, თუ არ ჩავთვლით ბავშვის სამარხებს. სამარხებში სხვადასხვა სქესის და ასაკის ადამიანების ნეშტები გვხვდება. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, ის ისეთივეა, როგორც ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს სხვა პროვინციებში იყო გავრცელებული: მიცვალებულები დაკრძალული არიან პირაღმა, თავით დასავლეთისაკენ, პირით აღმოსავლეთისაკენ. ხელები დაწყობილი აქვთ ნეშტის გასწვრივ, მენჯის მიდამოებში, ან მკერდზე. როგორც აღვნიშნეთ, ეს სამარხები კოლექტიურია, ანუ საოჯახო საგვარეულო ქვაყუთებს წარმოადგენს, რომლებშიც ათეულობით წლების მანძილზე კრძალავდნენ გარდაცვლილ ოჯახის წევრებს.

მიცვალებულთა დაკრძალვის შემდეგ, ქვის სამარხების განსაზღვრული რაოდენობა სპეციალურად ჩაყრილი მიწით არის ამოვსებული. ამჟამად გადაჭრით ძნელია იმის თქმა, თუ რატომ ხდებოდა ერთი და იმავე აღნაგობის და პერიოდის სამარხებიდან ერთი ნაწილის მხოლოდ ფილებით გადახურვა, ხოლო დანარჩენის მიწით ამოვსება ფილების დაფარებამდე. ამ ქმედების ასახსნელად, ორი შესაძლო, სხვადასხვა ვარაუდი უნდა განვიხილოთ: პირველი - სავარაუდოდ მიწით ივსებოდა ის ქვის სამარხები, რომელშიც მიცვალებულთა რაოდენობა იყო იმდენად დიდი, რომ მათში სხვა, ახალი მიცვალებულების ჩასვენება შეუძლებელი ხდებოდა. ამდენად, შესაძლოა ქვის სამარხების მიწით ამოვსება ე.წ. „ქვაყუთის“ ფუნქციონირების შეწყვეტის ერთგვარი გამოხატულებაყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში (ვგულისხმობთ მიწის დაყრას ყოველი დაკრძალვის შემდეგ), კოლექტიური ქვის სამარხი ფუნქციურ მნიშვნელობას დაკარგავდა, რადგანაც

ყოველი მომდევნო მიცვალებულის დაკრძალვისას საჭირო გახდებოდა მიწის მასის თავიდან ამოყრა. ასევე, არაეთიკური იქნებოდა ოჯახის წევრების ძვლების სამარხიდან ამოყრა, რაც მიწის ამოღებისას გარდაუვალი იქნებოდა. მართლაც, მიწით შევსებული ყოველი სამარხის პრეპარაციის დროს, ბოლო და წინა მიცვალებულები ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან ჩასვენებულები, ხოლო მათზე უფრო ადრე დაკრძალული მიცვალებულების ნეშტების ნაწილები ფეხებთანაა მიხვეტილი. ქვის სამარხების მიწით შევსების მიზეზის სხვა ახსნაც შეიძლება დავუშვათ: ამ მეორე ვარაუდით, ქვაყუთის მიწით ამოვსება, შესაძლოა დაკავშირებული იყოს მძარცველთა საწინააღმდეგო ღონისძიებასთან მართლაც, სამარხების ნაწილის ხელყოფა მძარცველებისგან, დანამდვილებით ფიქსირდება არსებულ სამაროვანზე - თითქმის ყველა სამარხი გაძარცულია. ამასვე მიგვანიშნებს სამარხების პრეპარაციის დროს გამოვლენილი ნეშტების ფიზიკური მდგომარეობა. ბოლოს დაკრძალული მიცვალებულებიდან თითქმის ყველას დაზიანებული აქვს გულ-მკერდის, კისრის და ხელის მტევნების ძვლები. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ განძისმაძიებლების ინტერესს მიცვალებულებზე არსებული სამკაულები წარმოადენდა. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მძარცველებისაგან სამარხების დაცვის მიზნით, ოჯახის წევრებმა მონახეს გამოსავალი და ქვაყუთები მიწით ამოავსეს. სავარუდოდ, აღნიშნული ქმედებით განძისმაძიებლები სამარხების ძარცვისას სირთულეს წააწყდებოდნენ, რადგან მოროდიორისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მიცვალებულის გაძარცვა, შიგნით არსებული სამკაულის ამოღება, მხოლოდ ფილებით დახურული ქვაყუთიდან, ვიდრე მიწით ამოვსებული ქვის სამარხიდან (ვვარაუდობთ, რომ ძარცვის დიდი ნაწილი ღამე, სიბნელეში ხდებოდა, რაც ძიების პროცესს ართულებდა). სამარხთა ძარცვის წინააღმდეგ სოფლის მოსახლეთა ძალისხმევაზე ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ ჭირისუფლებს ყველა გაძარცვული სამარხი მიწით ამოუვსიათ და ქვის ფილებით ხელახლა, საგულდაგულოდ გადაუხურავთ.

არქეოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ სამაროვანზე ბაზილიკის მიმდებარე სოფლის (ან სოფლების) მცხოვრები, საშუალო და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იკრძალებოდნენ.

აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ სამაროვნის მოწყობა ტაძრის ინტერიერში არ იყო შემთხვევითი. სამაროვანი მოწყობილია არა პირველი ბაზილიკის სივრცის ინტერიერში, არამედ მეორე, გადაკეთებული დარბაზული ეკლესიის სივრცეში. ეს ფაქტი შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ჯერ კიდევ VIII-X საუკუნეებში ფუნქციონირებად ეკლესიის მრევლის შთამომავლებს, ეკლესიის მოშლის შემდგომ პერიოდში, მეხსიერებაში შემორჩენილი ჰქონდათ დარბაზულად გადაკეთებული ეკლესიის არსებობა და არა V საუკუნის დიდი ბაზილიკის მასშტაბი და პროპორციები. არსებულ სამარხთა სიმჭიდროვე და სამაროვნის გადატვირთულობა სავარაუდოდ დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ-რელიგიურ ფაქტორთან, როცა ტერიტორია წმინდა ადგილს წარმოადგენს და საგვარეულო სამვალის ეკლესიაში არსებობა პრივილეგიად ითვლება.

დურუჯისპირა ბაზილიკის სამა-

როვაზე აღმოჩენილი ნივთიერი მასალიდან ყველაზე მრავალრიცხვოვნად ბრინჯაოს, სპილენძის, რკინის და მინის სამაჯურებია წარმოდგენილი. აქ აღმოჩენილ სამაჯურებში გვხვდება ყველა ის სახეობა, რომელთა ანალოგებიც მრავლადაა დადასტურებული შუა საუკუნეების საქართველოს სხვა სამაროვნებზე.

ბრინჯაოს სამაჯურები

ბრინჯაოს სამაჯურები ძირითადად რკალგახსნილებია, სამკუთხა-განივკვეთიანი ან ბრტყელგანივკვეთიანი. შუაში შესქელებული, ზურგის შევიწროვებულ ბოლოებზე ირიბად ნაკაწრი ხაზებით. ბრინჯაოს სამაჯურების უმრავლესობა მოპოვებულია №7 სამარხიდან; ერთ-ერთ ინდივიდს, ქალის ნეშტს, მარჯვენა ხელზე ასხმული ჰქონდა 4 ლითონის სამაჯური (ტაბ. I, სურ. 2-5). ამ სამაჯურებიდან ერთ-ერთი, ყველაზე მასიური, საკმაოდ განსხვავებული სტილისაა (ტაბ. I, სურ. 2). ეს არტეფაქტი თავისი ფორმით ძალიან ჰგავს სოფ. თოკში მოპოვებულ სამაჯურს რომელიც X- XI საუკუნეებით თარიღდება [დოლაბერიძე, რ. 1977. 145-151]; [ჯავახიშვილი, ქ. 2014. 236]. მასიური სამაჯური რკალგახსნილია, სამკუთხა განვიკვეთიანი; ღერო შიგნიდან ბრტყელი, ზურგი წახნაგური. შევიწროებულ ბოლოებზე ირიბი ნაჭდევი ხაზები გასდევს. ღეროს სიგანე შიდაპირზე - 0,3 სმ. d - 5.1 სმ.

მინის სამაჯურები

სამაროვანის მინის სამაჯურები წარმოდგენილია როგორც მთელი, დაუზიანებელი ნიმუშებით, ასევე ფრაგმენტების სახით. უკლებლივ ყველა სამაჯური წრიული ფორმისაა და რკალშეკრული. შედუღების (გადაბმის) ადგილზე მცირედ დაბრტყელებული და წიბოიანი. მათი მხატვრული სტილი და დამზადების ტექნიკა განსხვავებულია.

ძირითადად გამოიყოფა ორი ტიპის სამაჯური: პირველი – სადაზედაპირიანი, მრგვალგანივკვეთიანი და მეორე – წვრილადგრეხილი, მრგვალგანივკვეთიანი.

№8 სამარხში არსებული ხუთი სამაჯურიდან სამი დაუზიანებელია (ტაბ. II, სურ. 1-2, 5), და ორი დაზიანებული (ტაბ. II, სურ. 3-4). სულ, ხუთი სამაჯურიდან ოთხი ლურჯი ფერის მინისგანაა დამზადებული, ერთი კი შავი. ერთი სამაჯურია წვრილად გრეხილი, მრგვალგანივკვეთიანია (ტაბ. II, სურ. 5). სამაჯურების დიამეტრი 6,2-7,2 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს.

№46 სამარხი შვიდი მინის სამაჯურითაა წარმოდგენილი, აქედან ექვსი ფრაგმენტების სახით. უკლებლივ ყველა ფრაგმენტები შავი მინისაა, სადაზედაპირიანი და მრგვალგანივკვეთიანი (ტაბ. III, სურ. 1-6). ერთადერთი დაუზიანებელი სამაჯური ღერო მრგვალგანივკვეთიანია (d – 7,5 სმ), შავი ფერის, დაღარული ზედაპირით, შედუღების ადგილას დაკბილული (ტაბ. III, სურ. 7).

დოლოჭოპის ბაზილიკის სამაროვანზე აღმოჩენილი სამკაულის ჯგუფს ეკუთვნის ლითონის ბეჭდები. სულ აღმოჩენილია ორი ცალი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს და ორიც სპილენძის ბეჭედი. გარეგნული ნიშნების მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: ორნამენტირებული და უორნამენტო, სადაზედაპირიანი ბეჭდები.

ვერცხლის ბეჭდები

1. ბეჭედი ვერცხლის, ელიფსური ფორმის. ფარაკს აქეთ-იქით აქვს ორი ჰორიზონტული შვერილი (წარმოადგენს ჯვრის იმიტაციას). ბეჭდის რგოლი ბრტყელგანივკვეთიანია. ფარაკზე ამოკვეთილია რომბი, რომელშიც გრავირების წესით გეომეტრიული ორნამენტია დატანილი (ტაბ. IV, სურ. 1). ფარაკის სიგანე – 1 სმ; ღეროს სიგანე – 0,3 სმ; d – 1.8 სმ. (№14 სამარხიდან).

2. ბეჭედი ვერცხლის, ელიფსური ფორმის. ფარაკს აქეთ-იქით აქვს 2 ჰორიზონტალური შვერილი (ჯვრის იმიტაცია). ბრტყელგანივკვეთიანი, მცირედ წიბოიანი რგოლით. ფარაკზე ამოკვეთილია რომბი, რომელშიც ამოკაწრულია ფიფქისებრი ორნამენტი. სათითე რგოლზე და ფარაკის გვერდებზე ამოკვეთილია ირიბად ნაკაწრი ხაზები (ტაბ. IV, სურ. 2). ფარაკის სიგანე - 1,3 სმ; ღეროს სიგანე - 0,5 სმ; d – 1.9 სმ. (№30 სამარხიდან).

ბრინჯაოს ბეჭდები

1. ბეჭედი ბრინჯაოს. ვიწრო და გრძელი რომბული ფარაკით. ფარაკზე მცირე წრეში ამოკვეთილი წერტილოვანი ორნამენტით. წრიული, ოდნავ ბრტყელი და წვრილი რკალით. ბრტყელი და ოდნავ შესქელებული მხრებით (ტაბ. IV, სურ. 4). ფარაკის სიგანე – 0,5 სმ; ღეროს სიგანე – 0,2 სმ; d – 0,7 სმ. (№39 სამარხიდან).

სპილენძის ბეჭდები

1. ბეჭედი სპილენძის. ოთხკუთხედი ფორმის ფარაკით, ბრტყელგანივკვეთიანი რგოლით. ფარაკიდან რგოლზე გარდამავალ, ოდნავ შემსხვილებულ, მხრებზე ამოკაწრულია პატარა ხაზები (ტაბ. IV, სურ. 3). ფარაკის სიგანე – 0,7 სმ. ღეროს სიგანე – 0,2 სმ. d – 1.7 სმ. (№30 სამარხიდან).

2. ბეჭედი სპილენძის. ოთხკუთხედი, მასიური, სადაზედაპირიანი ფარაკით, ოდნავ შესქელებული მხრებით (ტაბ. IV, სურ. 5). ფარაკის სიგანე – 1 სმ; ღეროს სიგანე – 0,3 სმ; d – 1,9 სმ. (№7 სამარხიდან).

3. ბეჭედი სპილენძის. ოთხკუთხედი, მასიური, სადაზედაპირიანი ფარაკით. ოდნავ შესქელებული მხრებით (ტაბ. IV, სურ. 6). ფარაკის სიგანე – 1,2 სმ; ღეროს სიგანე – 0,2 სმ; d – 2 სმ. (№7 სამარხიდან).

წარმოდგენილი ბეჭდები სხვადასხვა პარალელების მიხედვით შესაძლოა X-XIII საუკუნეებით დათარიღდეს [დოლაბერიძე, რ. 1967. 166]; [ჭილაშვილი, ლ. 1991. 142]; [რამიშვილი, რ. 1970. 109].

გულსაკიდი მძივები

სამარხებში (№№ 8; 21; 38; 43) დაფიქსირებულია სპილენძის გულსაკიდები. ისინი სფერული მოყვანილობისაა, ფუყე შიგთავსით, თავზე ყუნწით (ტაბ. V, სურ. 1-4). საკიდებს შორის გამოირჩევა №19 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის გულსაკიდი. წვრილბურთულიანი, ყუნწით თავზე. სფეროების შეუღლების ადგილზე მირჩილული აქვს ოთხ-ოთხი პატარა ბურთულა (ტაბ. V, სურ. 5).

მსგავსი ტიპის გულსაკიდი მძივები IX-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული [ლაღიაშვილი, გ. 2011. 188]; [ჭილაშვილი, ლ. 1991. 58]; [რამიშვილი, რ. 1970. 95].

თიხის ჭურჭელი

სამაროვანზე, № 46 სამარხში, განსვენებულისთვის ჩატანებული ერთი ჭინჭილა აღმოჩნდა (ტაბ. VI, სურ. 1-2). ჭურჭელი მიცვალებულს მარჯვენა მხარეს თავთან ედო. ჭინჭილის კეცი თხელკედლიანია. მოწითალო, კარგად განლექილი თიხის. აქვს გადაშლილი პირი, ცილინდრული ყელი, მკვეთრად გამოყვანილი ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცლის ყველაზე განიერ რეგისტრზე და პირზე. იგი პირის ზედაპირიდან 0.3 სმ-ით აცდენილი. ჭურჭლის ზედაპირი ნაპრიალებია (ტაბ. VIII, სურ.-1,2). ზომები: h – 8,6 სმ; პირის d – 6 სმ; ძირის d – 4,5. აღნიშნულ ჭურჭელს პარალელი ეძებნება ლ. ჭილაშვილის მიერ ნეკრესის ნაქალაქარზე გათხრილი მარნის ინტერიერში აღმოჩენილ ჭინჭილასთან, რომელიც IX-X საუკუნეებით თარიღდება. სამარხის სტრატიგრაფიული მდებარეობა (სხვა სამარხებთან მიმართებაში) და ჭურჭლის დათარიღება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სავარაუდოდ სამარხი IX-X საუკუნეებშია მოწყობილი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა მიწით სავსე ჭურჭლის შიგთავსიდან ამოღებული ორი ნიმუშის პალინოგიური კვლევის შედეგები:

ნიმუში №1 აღებულია ჭურჭლის ფსკერიდან. მასში მცენარეთა მტვერი ცოტაა. ნაპოვნია მხოლოდ ორი ჩვეულებრივი ვაზის (Vitis vinifera) მტვერის მარცვალი და ვენახისთვის დამახასიათებელი სარეველათა მტვერი. ესენია ნაცარქათამა (Chenopodium album), ღიღილო (Centaurea) ავშანი (Artemisia) და ხვართქლა (Poaceae). არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებს შორის ჭარბობს სათესი მარცვლოვნების ფიტოლიტები (phytoliths) და მათი სახამებელი (starch). კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე სელის ქსოვილის ბოჭკო. დათვლილია მათი 21 ბოჭკო. ბამბის ტექსტილის ბოჭკო გაცილებით ნაკლებია. სპექტრში აღმოჩენილია აგრეთვე ხის მერქნის განახშირებული უჯრედები. ნაპოვნია ფრინველის ბუმბულის მიკროსკოპიული ნაშთიც.

მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1 - მურხანი (Alnus); 2-4 ჩვეულებრივი ვაზი (Vitis vinifera); 5,6- ტყის გვიმრის სპორები (Polypodiaceae); 7-ნაცარქათამა (Chenopodium album); 8- ნარშავი (Carduus)); 9-ღორის ბირკა (Xanthium); 10-ავშანი (Artemisi)].

ნიმუში №2. აღნიშნული სინჯი აღებულია ჭურჭლის შუა ნაწილიდან, სადაც ორგანული ნაშთი უფრო მეტია. მისი პალინოლოგიური სპექტრი გაცილებით მდიდარია. ჭარბობს ტყის გვიმრების (Polypodiaceae) სპორები. აქაც,როგორცპირველნიმუშშინაპოვნია რამოდენიმე ვაზის (Vitis vinifera) მტვრის მარვცალი. ნაპოვნია მურყნის მტვერიც. მურყანი იზრდება მდინარის პირას არსებულ ჭალის ტყეებში. გარდა ამისა, დაფიქსირდა, ხორბლის (Triticum), ველური მარცვლოვნების (Poaceae), ნაცარქათამა (Chenopodium album), ღორის ბირკას (Xanthium), ავშნის (Artemisia), ნარშავას (Carduus), ჭინჭრის (Urtica dioica), მრავალძარღვას (Plantago m/m) და ვარდკაჭაჭას (Cichorioidea) მტვრის მარცვლები. ჩამოთვლილი მცენარეები ეზოს, გზისპირა ბილიკების და ნათესების სარეველები არიან.

არაპალინოლოგიურ ფოსილიებს შორის დომინირებს ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები მათი რაოდენობა ძალიან ბევრია. კარგადაა წარმოდგენილი სოკო გლომესის

(Glomus) სპორები. ეს სოკო იზრდება მხოლოდ დამუშავებულ ფხვიერ ნიადაგზე და ამიტომ არის მიწათმოქმედების კარგი ინდიკატორი. მცირე რაოდენობით აღინიშნება აგრეთვე ნაკელის სოკოს სორდარია (Sordaria) სპორებიც. აღნიშნული სოკო, როგორც წესი, იზრდება მხოლოდ მცოხნელთა ცხოველების ნიადაგზე და ამიტომაც ჰქვია მას ნაკელის სოკო.

ცოტაა მარცვლოვნების ფიტოლიტები და სელის ქსოვილის ბოჭკოები. გვხვდება მწერების ბუსუსები, მათი კლანჭები, ეპიდერმისი და სხვა მიკროსკოპიული ნაშთები. ჩატარებულმა პალინოლოგიურმა კვლევამ მოგვცა საშუალება, რომ შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

თიხის ჭურჭელში ნაპოვნი კულტურული ფორმის ვაზის მტვრის მარცვლები და ვენახში არსებული სარეველა მცენარეთა მტვერი იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ჭურჭელი ღვინისთვის გამოიყენებოდა. ვენახი, სადაც მოიკრიფა და დაიწურა ყურძენი, ხორბლის ნათესებთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნი ხორბლის მტვრის მარცვლები და ხორბლის ყანისთვის დამახასიათებელი სარეველები. რაც შეეხება ხის მერქნის ტრაქეალურ უჯრედებს, შესაძლოა მოხვედრილიყო ჭურჭელში ხისგან დამზადებულ სახურავისგან (საცობისგან). ეს ხის სახურავი, ჰიგიენის დაცვის მიზნით, სელის ტილოში გახვეული უნდა ყოფილიყო, რადგან სპექტრში სელის ბოჭკო ბევრია.

ამდენად, პალინოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ამ სამარხში ჩასვენებული ადამიანისთვის თავთან ღვინიანი ჭურჭელი ჩაუყოლებიათ და არა სანელსაცხებლე. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნულ სამაროვანზე თავდაპირველად (IX-X სს-ში) მიცვალებულებს ღვინიან ჭურჭელს ატანდნენ, მოგვიანებით კი (XI-XIII სს-ში) ასეთივე ჭურჭლით მხოლოდ სააღაპედ სვამდნენ ღვინოს.

ჩვენი ამჟამინდელი გამოკვლევის შედეგები ისტორიულ ასპექტში, მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ: 2013-2014 წლებში დოლოჭოპის ბაზილიკის ნანგრევებზე მოწყობილ სამაროვანზე მოპოვებული ნივთიერი მასალის ახლებურმა, ტიპოლოგიურმა და ქრონოლოგიურმა კლასიფიცირებამ, შეცვალა 2012 წლის ექსპედიციის ანგარიშში გამოთქმული შეხედულება ამ სამაროვნის გამოყენების პერიოდის შესახებ. მაშინ, წინასწარი მონაცემებით მივიჩნიეთ, რომ სამარხები XI-XIV საუკუნეებს ქრონოლოგიურ შუალედს განეკუთვნებოდა და, რომ, სავარაუდოდ, ნასოფლარ დოლოჭოპზე ცხოვრება საქართველოში თემურლენგის ერთ-ერთი ლაშქრობის შედეგად იყო შეწყვეტილი.

საბოლოო მონაცემებით, სამაროვანზე დაფიქსირებული არტეფაქტების დამზადება - მოხმარების ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დაზუსტების კვალობაზე, ბაზილიკის ინტერიერში გამართული სამაროვნის ფუნქციონირებას მხოლოდ XIII ს-ის შუა ხანებამდე ვვარაუდობთ და ვფიქრობთ, რომ ამ ნასოფლარზე ცხოვრება საქართველოში მონღოლი დამპყრობლების ერთ-ერთი პირველი ლაშქრობის შედეგად უნდა იყოს შეწყვეტილი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე, ნ. (2012). დოლოჭოპის ბაზილიკაზე 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. კადმოსი. №4. თბილისი.

ბახტაძე, ნ. მამიაშვილი, ვ. გაბეხაძე, ბ. (2015). დოლოჭოპის ბაზილიკის კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში. ონლაინ არქეოლოგია №8(http://www.heritage-sites.ge/geo/archeology/online/).

დოლაბერიძე, რ. (1977). მთათუშეთის დაზვერვითი-არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ტ.5. თბილისი.

დოლაბერიძე, რ. (1969). ფეოდალური ხანის საქართველოს მინის სამაჯურები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVIII – B. თბილისი.

დოლაბერიძე, რ. (1967). XI – XIII სს. ბეჭდები. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.ტ. XXVII – B. თბილისი.

ლაღიაშვილი, გ. (2011). არქეოლოგიური გათხრები ამიდასტურის წმ. გიორგის სახელობის ტაძართან. თბილისი.

რამიშვილი, რ. (1970). ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები - სიონი. თბილისი.

რამიშვილი, რ. (1982). ნაქალაქარი ჟინვალი. ფ.ს.ა.ძ. IV. თბილისი

რამიშვილი, რ. (1983). ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ განათხარის
მიხედვით. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1975). ძველი გავაზი. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1991) არეში. თბილისი.

ჯავახიშვილი, ქ. (2014). არქეოლოგიური კომპლექსი სოფელ თოკიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. №4 (50-B). 235-238. თბილისი.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1 - დოლოჭოპის ბაზილიკის მდებარეობის სიტუაციური გეგმა.

სურ. 2 - დოლოჭოპის ბაზილიკის 2012-2014 წლებში არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი გეგმარება.

სურ. 3 - დოლოჭოპის ბაზილიკის საკურთხეველი და პასტაფორიუმები.

სურ. 4 - დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერში გამოვლენილი სვეტებს შორის თაღების ფრაგმენტი: მორკალული შირიმის ქვა.

სურ. 5 - დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერის იატაკზე გამოვლენილი ანტეფიქსების ფრაგმენტები.

სურ. 6 - დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერის იატაკზე გამოვლენილი ჩაქცეული კრამიტის ფრაგმენტები.

სურ. 7 - დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერის იატაკზე გამოვლენილი გადახურვის ხის კონსტრუქციების სამაგრი სამსჭვალები.

სურ. 8 - დოლოჭოპის ბაზილიკის ნანგრევებზე VIII-X სს-ში მოწყობილი დარბაზული ეკლესია და ბაზილიკის

ნანგრევებზე IX-XII სს-ში გამართული სამაროვანი.

სურ. 9 - დახურული ქვის სამარხი.

სურ. 10 - გახსნილი ქვის სამარხი.

სურ. 11 - კოლექტიური სამარხი.

ტაბ. I - ბრინჯაოს სამაჯურები.

ტაბ. II - მინის სამაჯურები.

ტაბ. III - მინის სამაჯურები.

ტაბ. IV - ბრინჯაოს ბეჭდები.

ტაბ. V - ბრინჯაოს გულსაკიდები.

ტაბ. VI - სამარხში აღმოჩენილი თიხის სასმისი ,,ჭინჭილა“.

The basilic of Dolochopi

Mamiashvili Vazha,
Simon Janashia State Museum,
Mediavel Archaeological Collection,
Assistant Curator
Georgian National Museum,

The basilic of Dolochopi is situated in Georgia, in the nearhoods of the city Kvareli, on the right side of Duruji river.

The archaeological excavations have proved, that the ruins and ground were covering the remains of three nave basilic, with the sizes: 37,5 m. length, 18 m. width. The hall is divided into the three part with five couple cross-shape pillars. The central nave is ended with the semi-sircular apse, the lateral naves are ended with the rectangular pastophoriums.

According of the research of fragments, which were used to built the church, found on the floor of the basilic, has assured us that the basilic was covered not with the stone vault, but with the wooden beam construction, with the tile roof, like majorities of roman-greek eraly christian basilics. Taking into consideration these sircumstances and also the artefacts, found in the excavtions, the basilic must be built in 4-5th centuries.

The stratiragraphy of excavations has shown us that the damage of the church happened in 8-th centure. It is absolutely possible that this date of ruining basilic could be related with the invasion of the arabian army, with the leadership of Merven Ibn Muhamed in the east Georgia.

later, the locals, settled in the nearhood of the monument have made a cemetery in the interior of the remains of the church. On the floor covered with the dissuaeded stones and sand, is created a qiute compact cemetery.

The tombs are made in the shape of stoneboxes. On the four side it is surronded by the well-worked gravestones. Upside part is covered with the 2-4 meters gravestones.

The tombs orientated on the east-west axis, usually are collective. We have found out different sex and age human's sciletons here. Their heads are directed in the west side. Who are burried a littel bit later their hands are laying on their chest or stomach. The bones of earlier burried people are laid aside, but sometimes, mostely their lower parts are on the same place. Thus, this is an example of early and middle centuries family tombs, which were wide-spread in Georgia, it is natural, that here are burried an ordinar settlers of the village.

According to this excavated monument, it is obvious, that they haven't chosen for the burial teritorry of the church by an accident. An information from the ancecstors and eivdent of architectural ruins must have known for the local people. This holly place made them to make here the cemetery. For them it must be perception as a salvtion of their souls. Those tombes are dated 10-13th centuries, taking into consideration the jewlleries and ceramical fragmnts found here.

According to the upper chronological level of making and using found artefacts on the territory of the semetery, living into the nearhood village of the basilic is finished in 13th century, in the time of invasion of the Mongols.


ყვარლის მუნიციპალიტეტში
“დოლოჯოვის“ მიდამოებში
მდებარე სამნავიანი
ბაზილიკა.
სიტუაციური გეგმა მ. 1 :500
N 41° 58' 25.4
E 045° 48' 36.7
მდინარე დურეჯის აღლაკეტი

სურ. 1



სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 6

სურ. 5

სურ. 7



სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11



ტაბ. I



ტაბ. II



ტაბ. III

ტაბ. IV



ტაბ. V

ტაბ. VI

საველე არქეოლოგიური დოკუმენტაციის მომზადების მეთოდები

მურღულია ნიკოლოზი,
ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

შესავალი

საბჭოთა კავშირში არსებული დახურული სივრცისა და შემდგომში, XX საუკუნის მიწურულს საქართველოში არსებული მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ქართული არქეოლოგიური სკოლა საგრძნობლად ჩამორჩა თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებს, მეთოდიკებსა და ტენდენციებს, რამაც დარგის განვითარება მნიშვნელოვანწილად შეანელა და რიგ შემთვევებში ქართული არქეოლოგია და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

აქვე, ხასგაზმით უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველმა არქეოლოგებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული არქეოლოგიის განვითარებაში, როგორც მნიშვნელოვანი აღმოჩენებითა და სამეცნიერო მიგნებებით, ისე მეთოდური სიახლეების დანერგვით. საგულისხმო და მისასალმებელი ფაქტია, რომ მათი ნაწილი დღემდე აქტიურად არის ჩართული ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საუკუნის დასასრულს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ არქეოლოგიის, როგორც უმნიშვნელოვანესი საისტორიო დისციპლინის, განვითარება შეაფერხა.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში, და მათ შორის საქართველოში, აპრობირებული და გამოყენებული კვლევის მეთოდიკა და მიდგომები ახალი საუკუნის დამდეგს ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე სტანდარტებს.

საუკუნეების მიჯნაზე, სამოქალაქო ომის დასრულებისა და მეტ-ნაკლები სტაბილურობის დამყარების შემდეგ, ქართული არქეოლოგიისთვის მთავარი პრობლემა არა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და დარგისთვის ფინანსების ნაკლებობა, არამედ თანამედროვე მეთოდების არარსებობა აღმოჩნდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე 2001 წელს დაარსებულმა ქართულ - ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თავიდანვე თანამედროვე დასავლური არქეოლოგიური მეთოდიკის დანერგვა და ექსპედიციაში საგანმანათლებლო მიმართულების განვითარება დაისახა მთავარ მიზნად (Everill P., 2014: 19, 22). ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო ბრიტანული მეთოდიკით, რომელიც ცალკეული კონტექსტების სისტემასა და მათი მეშვეობით ჰარისის სტრატიგრაფიულ თარგის შექმნას გულისხმობს (ლომიტაშვილი (რედ), 2005; Harris, 1979; MOLAS, 1994). მსგავსი მეთოდი მცირედი ცვლილებებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში წარმატებით გამოიყენება.

ჩვენ არ შევუდგებით დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული სხვადასხვა მეთოდიკების შედარებასა და მათგან

რომელიმე კონკრეტულის უპირატესად წარმოჩენას. ნაშრომის მთავარ მიზანს დასავლეთ ევროპაში და აშშ-ში მიღებული საველე არქეოლოგიური დოკუმენტაციის წარმოების საერთო (ზოგადი) სტანდარტების წარმოჩენა წარმოადგენს.

აშკარაა, რომ თანამედროვე არქეოლოგიური კვლევა - ძიების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ზედმიწევნით ზუსტად, გეგმაზომიერად და სტანდარტიზირებულად წარმოებული საველე დოკუმენტაცია წარმოადგენს.

საველე დოკუმენტაცია - არსებული მდგომარეობა

დღემდე, საქართველოში მოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციების ნაწილი საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი კულტურული ფენებისა და არტეფაქტების აღუნუსხვისთვის და რეგისტრაციისთვის ძირითადად საველე დღიურებსა და საველე დავთრებს გამოიყენებს. საველე დღიური გათხრების დროს გამოვლენილი სხვადასხვა ფენებისა და ობიექტების, ხოლო საველე დავთრები - აღმოჩენილი არტეფაქტების რეგისტრაციისთვისა და აღწერილობისთვის გამოიყენება.

საველე დღიურს, როგორც წესი, ექსპედიციის ხელმძღვანელი ან კონკრეტული უბნის/ველის/თხრილის ზედამხედველი აწარმოებს. ცხადია, ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ დღიურის წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების სრულიად აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მასში თავმოყრილი უნდა იყოს ინფორმაცია გათხრების მიმდინარეობის შესახებ, კონკრეტული აღმოჩენების ადგილისა და დროის მითითებით. ასევე, საველე დღიური არქეოლოგს საშუალებას აძლევს ჩაინიშნოს უშუალოდ გათხრების პროცესში მოაზრებული სხვადასხვა შეხედულება ამათუიმ გამოვლენილი ობიექტის რაობისა და დანიშნულების შესახებ. თუნდაც, იმ შემთხვევაში თუ მისი მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. დღიურში ჩანიშნული სხვადასხვა შეხედულებების პირველადი ანალიზი და ინტერპრეტირება არქეოლოგს გათხრების პროცესის დაგეგმვაშიც უწყობს ხელს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში საველე დღიური გათხრების ამსახველი ერთადერთი საველე დოკუმენტია და შესაბამისად, არ შეიცავს საკმარის მონაცემებს გამოვლენილი კულტურული ფენებისა და სხვა ობიექტების შესახებ. მაგალითად:

1. ხშირ შემთხვევაში არ ახლავს ზუსტი ინფორმაცია კონკრეტული ობიექტის შესახებ (ზუსტი ზომები, სიღრმეები 0-დან, X-Y კოორდინატები, დამხრობა, კავშირები სხვა ობიექტთან/ფენასთან და სხვ.);

2. არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული ობიექტის ნახაზებისა და ფოტოების ნუმერაციის შესახებ;

3. ვიზუალური მასალის ნაკლებობის გამო დღიურში მოცემული აღწერილობები ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია;

4. ხშირად, ობიექტის აღწერილობა სუბიექტურია.

5. გამომდინარე იქედან, რომ დღიური სამუშაო დღეების მიხედვით ივსება, ხშირად მას აკლია სისტემატიზაცია. ანუ დღიურში კონკრეტული ობიექტის შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა დღეებში შესრულებულ ჩანაწერებს შორის, რაც მონაცემების მიღებას, გააზრებას და დამუშავებას თავისთავად ართულებს როგორც დროის, ისე აღქმის თვალსაზრისით.

საველე ბლანკები

დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილი ობიექტების აღსანუსხად საველე ბლანკები გამოიყენება. ბლანკების შესავსები ველები სხვადასხვა ქვეყნებისა და მეთოდიკების მიხედვით შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თუმცა მათი შედგენისა და წარმოების პრინციპი საერთოა და ემყარება ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის ერთ ბლანკზე განთავსებას.

არქეოლოგიური სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე საველე ბლანკების რამდენიმე სახეობა არსებობს და იყოფა ორ ძირითად ნაწილად - სარეგისტრაციო ფურცლები და აღწერის ფურცლები:

სარეგისტრაციო ფურცელი

1. ფენების/ობიექტების სარეგისტრაციო ფურცელი - ველში იწერება ფენის/ობიექტის რიგითი ნომერი და მოკლე დახასიათება (სურ. 1);

2. მნიშვნელოვანი მონაპოვარის სარეგისტრაციო ფურცელი - ველებში იწერება მონაპოვარის რიგითი ნომერი, ფენის ნომერი, მოკლე დახასიათება, ზუსტი კოორდინატები და სიღრმე 0-დან (სურ. 2);

3. მიწის სინჯების სარეგისტრაციო ფურცელი - ველებში იწერება სინჯის რიგითი ნომერი, ფენის ნომერი, მოკლე დახასიათება და რაოდენობა (სურ. 3);

4. ნახაზების სარეგისტრაციო ფურცელი - ველებში იწერება ნახაზის რიგითი ნომერი, ტიპი (გეგმა/ჭრილი), მოკლე დახასიათება და მასშტაბი;

5. ფოტოების სარეგისტრაციო ფურცელი - ველებში იწერება ფოტოს რიგითი ნომერი, ფაილის ნომერი და მოკლე დახასიათება;

აღწერის ფურცელი

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ბლანკებს თან ახლავს შევსების ინსტრუქცია, რაც არქეოლოგს საშუალებას აძლევს არ გამორჩეს რომელიმე მნიშვნელოვანი ასპექტი.

1. ობიექტის (ფენის/ნაყარის/ჭრილის/წყობის) აღწერის ფურცელი - ფურცლის საწყის ველებში ივსება ინფორმაცია ობიექტის ნომრისა და ტიპის შესახებ (სურ. 4). შემდგომ მოცემულია ობიექტის აღწერილობა, რომელიც თანდართული ინსტრუქციის მიხედვით ივსება. მის ქვემოთ განთავსებულია ველები არქეოლოგის ინტერპრეტაციისათვის. ამასთანავე, დამხმარე ველებში იწერება აღსაწერ ობიექტთან დაკავშირებული სხვა ობიექტების ნომრები, მსგავსი ობიექტების ნომრები, სიღრმეები 0-დან, ფენაში გამოვლენილი მასალის სახეობები (ლითონი, მინა, ძვალი და სხვ.), ცალკე ველია განკუთვნილი მნიშვნელოვანი მონაპოვრების ნომრების მისათითებლად. ცალკე გრაფაში იწერება აღსაწერი ობიექტის სტრატიგრაფიული ურთიერთმიმართება სხვა ობიეტებთან.

2. სამარხის აღწერის ფურცელი - საწყის ველებში იწერება სამარხის, ჩონჩხისა და ნახაზის ნომრები (სურ. 5). სამარხის აღწერის ფურცელს თან ახლავს ადამიანის ჩონჩხის სქემატური გამოსახულება თითოეული ძვლის სახელწოდებით, რაც არქეოლოგს ჩონჩხის აღწერას უადვილებს. ცალკეა განთავსებული ჩონჩხის ორიენტაციისა და თხრილში მისი მდებარეობის განმსაზღვრელი გრაფები. ასევე, მოთავსებულია ჩონჩხის გრაფიკული გამოსახულება, რომელზეც აღმოჩენილი ძვლები მოინიშნება. ცალ-ცალკე ველებშია მოცემული ინფორმაცია ჩონჩხის დაცულობის (დაზიანების ხარისხი),

დანაწევრების (ძვლების სისრულე), განვითარების (ასაკი), მდგომარეობის (დაკრძალვის წესი), სიღრმეების, სამარხის ტიპისა (ორმო-სამარხი, კუბო, კამერა და სხვ.) და მასში მოძიებული მასალის (კერამიკა, ლითონი, მინა და სხვ.) შესახებ. ფურცლის ბოლოში განთავსებული ველი განკუთვნილია სამარხის აღწერილობისთვის. იქვე მოცემულია გრაფა სამარხის ჭრილის კონტურის გამოსახაზად.

3. ნაგებობის აღწერის ფურცელი - განკუთვნილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ნაგებობის ან მისი ნაშთის აღწერისთვის. ფურცელზე მოცემულია ველები სადაც იწერება ნაგებობის დეტალური აღწერა, არქეოლოგის ინტერპრეტაციები, ნაგებობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ნომრები და მათი მცირე აღწერილობა, ნაგებობის შემადგენელი ნაწილების ტიპები (კედელი, საძირკველი და სხვ.) და ნომრები, სიღრმეები და სავარაუდო პერიოდი. ცალკე გრაფაა გამოყოფილი ნაგებობის ესკიზის ჩასახაზად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ტიპის ბლანკზე მითითებულია შევსების თარიღი და არქეოლოგის ინიციალები. რაც დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას, თუნდაც მრავალი წლის შემდეგ ადვილად მიაგნოს იმ პიროვნებას, რომელმაც ამათუიმ ობიექტზე იმუშავა.

კონკრეტული თხრილისთვის/უბნისთვის შევსებული საველე ფურცლები ინახება ერთ საქაღალდეში, რაც მის გამოყენებას, როგორც არქეოლოგისთვის, ისე ფონდის მუშაკისთვის ბევრად ადვილს ხდის. მაგალითად, ფონდში შესული არქეოლოგიური მასალის რეგისტრაციის დროს ფონდის მცველს აღარ უწევს არქეოლოგის დღიურებში ან მის მიერ შესრულებულ ანგარიშებში ცალკეული ფენებისა და ობიექტებისნუმერაციისდასიღრმეების ძებნა. აღნიშნულ ინფორმაციას ის კონკრეტული უბნის/თხრილის საველე ბლანკების საქაღალდეში მარტივად იპოვნის.

ასეთი ტიპის საველე დოკუმენტაცია ადვილი შესანახია და კონკრეტული ექსპედიციის არქივის შექმნას ამარტივებს და იმავდროულად იქმნება ექსპედიციის საერთო მონაცემთა ბაზა, რომელიც მიუხედავად დროისა და გამთხრელისა, ყოველთვის ერთიან სტანდარტზეა მორგებული.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ეჭვგარეშეა, რომ საველე დღიურებთან ერთად საველე ბლანკების გამოყენება არქეოლოგიური სამუშაოებისთვის სრულიად აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომელიც ერთნაირად მომგებიანია, როგორც ძეგლისთვის, ისე გამთხრელი არქეოლოგისთვის, ძეგლით დაინტერესებული ნებისმიერი სხვა მკვლევარისთვის და ფონდის მუშაკისთვის.

საველე დღიურთან შედარებით საველე ბლანკების გამოყენებით შესაძლებელი ხდება გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტის მეტი სიზუსტით, უფრო დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერა; მათი გამოყენება ძალზე მარტივად და შესაბამისად ხდება დროის დაზოგვა; საველე ბლანკების გამოყენება გულსიხმობს საფონდო სამუშაოების გამარტივებას, საქაღალდეში მოთავსებული საველე ბლანკები უკეთ ინახება და მეტად პრეზენტაბელურია. მათი გამოყენებით შესაძლებელი ხდება საერთო სტანდარტების ჩამოყალიბება პირველ

რიგში ექსპედიციაში და შემდგომ მთლიანად ქვეყანაში. ასეთი ტიპის ბლანკებით შესრულებული საველე არქეოლოგიური დოკუმენტაცია უფრო მეტად იქნება ადაპტირებული დასავლურ სტანდარტებთან.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ არსებობს ერთიანი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდიკა, აუცილებლად და, რაც მთავარია, შესაძლებლად მიგვაჩნია საველე დოკუმენტაციის მომზადების მეტ-ნაკლებად სტანდარტიზირებული მეთოდის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ ერთიანი კვლევის მეთოდიკის შექმნის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ლომიტაშვილი, დ. (რედ), (2005). არქეოლოგიური ძეგლის გათხრა. მეთოდიკა. თბილისი;

Everill, P. (2014). The AGEN excavation 2001-10: Methodology. Nokalakevi • Tsikhegoji • Archaeopolis. Archaeological excavations 2001–2010. Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi. BAR International series 2612, Archaeopress, Oxford, England. p. 19-23;

Harris, E. (1979). Principles of Archaeological Stratigraphy. London, Academic Press Ltd;

MOLAS (1994). Archaeological site manual. London.

სურათების აღწერილობა

1. ფენების/ობიექტების სარეგისტრაციო ფურცელი
2. მნიშვნელოვანი მონაპოვარის სარეგისტრაციო ფურცელი
3. მიწის სინჯების სარეგისტრაციო ფურცელი
4. ობიექტის აღწერის ფურცელი
5. სამარხის აღწერის ფურცელი

The methods of the Field-Archaeological recording

Murgulia Nikoloz,
The Head of Nokalakevi Georgian-English Archaeological Expedition
Georgian National Museum

The Georgian Archaeological School had long-term stagnation after the collapse of USSR and civil war in 90s' of 20th century. The standards and methods of an archaeological survey were not equal to the western scientific development. Therefore, the main challenge for Georgian Archaeology became not an economical problem of the country and insufficient finances for cultural heritage, but lack of the modern methodology of archaeological investigation in the beginning of 21st century. We cannot determinate one or two specific western archaeological methods, which should be used in Georgian Archaeology, but would like to underline the importance of the introduction modern western standards of the field archaeological records, which is the basement for the archaeological survey. There are several kinds of the field record sheets used in USA and West European countries, such as:

1. Layer/object, important finds, soil samples, drawings and photo register sheets and 2. Layer/fill/cut/masonry, skeleton and structure record sheets. Such kind of documentation gives more accurate, standardized, detailed information about finds. It gives opportunity to store the documentation in better conditions and make it easy to use them. As we know it looks impossible to establish one general methodology for Georgian Archaeology nowadays, but still we believe that it is absolutely necessary and possible to establish modern standards of the field archaeological records, which will become the foundation for the future creation of new archaeological methodology in Georgia.

ნ ა ე 16 NAE 16

ნოკალაკევის ქართულ-ინგლისური მეჯანდილეა ANGLO-GEORGIAN EXPEDITION TO NOKALAKEVI

კონტექსტი

ნაქალაქარის კვადრატი	უბანი	თხრილი	კონტექსტის №

ფენა / ნაგარი
- შემადგენლობა
- ფერი
- სიმკვრივე
- სიქსე
- შეჩვენლობის ტიპი და სიხშირე
- ზომები
- გაფთრის მეთოდი და პირობები
- სხვა კომენტარები (მაგ. რა კვლის)

ბრილი
- ფორმა ეგეგმაში
- კედლები (მოხრეცილებული, კუთხოვანი)
- ძირი (მოხრეცილებული, ბრტყელი)
- ზომები
- სიქსე
- მიმართულება
- ნაგარის რიმეულ ნიმრებს შეიცავს
- სხვა კომენტარები (მაგ. რა კვლის)

საშენებლო წყობა
- სტრუქტურის ტიპი
- დიაგნოლია
- ზომები
- ფასადის მიმართულება
- საშენებელი მასალები (ქვა . . .)
- მასალების ზომები
- საფენლებე მასალა
- ქვების დამუშავების ტიპი
- სხვა კომენტარები (მაგ. კაკმარები)

ბრილი	ნაგარი
ზრილი	ნაკმარი
ფენა	საკმენელოდ წყობა
	სხვა

აღწერილობა

გამოიყენე მეორე მხარე

თქვენი ინტერპრეტაცია

დაკავშირებული კონტექსტები	სტრატიგრაფიული თარიღი
იგივე ნახის კონტექსტები	
სიღრმეები	

გამოვლენილი მასალა (შეშისა.ხე) :
ა.ო.ა.ბ.ი.ი კერამიკა ა.ო.ა.ბ.ი.ა.ნ.ი.ს ა.ბ.ა.ლ.ი მინა ლ.ი.თ.ო.ნ კმ სმ ძვა სხვა

მნიშვნელოვანი მასალების (მცირე მონაპოვრების) №:

შეგვია	შეკოწმა	თარიღი

სურ. 1

ნ ა ე 16 NAE 16

ნოკალაკევის ქართულ-ინგლისური მეჯანდილეა ANGLO-GEORGIAN EXPEDITION TO NOKALAKEVI

ნაქალაქარის კვადრატი	უბანი	თხრილი

მეორე მონაპოვრების სია

მონაპოვარის №	კონტექსტი	აღწერილობა	კოორდინატები	სიღრმე	შეგვია	თარიღი
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						
16						
17						
18						
19						
20						
21						

სურ. 2

ნ ა ე 16 NAE 16

ნოკალაკევის ქართულ-ინგლისური მეჯანდილეა ANGLO-GEORGIAN EXPEDITION TO NOKALAKEVI

ნაქალაქარის კვადრატი	უბანი	თხრილი

მეორე სინჯების სია

სინჯის №	კონტექსტი	აღწერილობა	რაოდენობა	შეგვია	თარიღი
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					

სურ. 3

ნ ა ე 16 NAE 16

ნოკალაკევის ქართულ-ინგლისური მეჯანდილეა ANGLO-GEORGIAN EXPEDITION TO NOKALAKEVI

ნაქალაქარის კვადრატი	უბანი	თხრილი

კონტექსტების სია

კონტექსტის №	ტიპი	აღწერილობა	ხანგრძლივობა	თარიღი

სურ. 4

ნ ა ე 16 **N A E 16**

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიცია **ANGLO-GEORGIAN EXPEDITION TO NOKALAKEVI**

ნაქის კვადრატი	**უბანი**	**თხრილი**	**ჩონჩხის კონტექსტის №: ( )**		
ნახაზი №	მასშტაბი:	ფოტო:	ციფრული [ ]	შ+თ [ ]	სლაიდი [ ]
სამარხი №		შეავსო:	თარიღი:		

ცნობა



სულ: 206 (ზრდასრული)

ორიენტაცია



თარგი



მდებარეობა თხრილში

მოპოვებული ძვლები



დაცულობა:	კარგი [ ]	ზომიერი [ ]	ცუდი [ ]
დანაწევრება:	სრული [ ]	არასრული [ ]	ცალკეული [ ]
განვითარება:	ახალშობილი [ ]	ბავშვი [ ]	მოზარდი [ ] ზრდასრული [ ]
მდგომარეობა:	გულადმა (გაშოტილი) [ ]	მოკრუნჩხული [ ]	სუსტად მოხრილი [ ]
	გვერდზე დახრილი (მარჯვენა / მარცხენა) [ ]		ძვლების გროვა [ ]
სამარხის ტიპი:	კუბო [ ] ორმოსამარხი [ ]	ქვევრსამარხი [ ]	ამფორასამარხი [ ] დერგსამარხი [ ]
	კრამიტსამარხი [ ]	კრემაციული [ ]	ქვაყუთი [ ] აკლდამა [ ] სარკოფაგი [ ]
მოძიებული მასალა:	არაფერი [ ] კერამიკა [ ]	ძვალი [ ] კაჟი [ ]	ქვა [ ] მინა [ ] ლითონი [ ] კ.ს.მ [ ] ხე [ ] ტყავი [ ]

აღწერილობა:

ჩონჩხის და სამარხის ჭრილის [ ] ესკიზი

გამოიყენე უკანა მხარე

სიგრძე: **სიგანე:**

სიღრმე:	**ქალა:**	**წელი:**	**ტერფი:**

სურ. 5 Pic.

ერთი შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ

სოზიაშვილი ირაკლი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

თეთრი უდაბნოს მონასტერი მდებარეობს, კახეთში სოფ. უდაბნოს მახლობლად. მონასტერი აღმოჩნდა 1996 წელს. სამეცნიერო ლიტერატურაში მონასტერი ცნობილია მასში აღმოჩენილი ფრესკით. (ფრესკა ინახება ხელოვნების მუზეუმში) მონასტერი ამ დროისათვის არ არის მოქმედი და გარემო პირობების ზემოქმედებისაგან ზიანდება.

2011 წელს ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მონასტრის მონახულებისას ზედაპირზე მიმოფანტულ სხვა მასალას შორის (კერამიკის ფრაგმენტები, ტყავის ნაწილები, მინა, ხე და სხვა) აღმოაჩინა მოწნული ჭურჭლის მოზრდილი ფრაგმენტი. თბილისში ტრანსპორტირების შემდეგ ჭურჭელს მიენიჭა საინვენტარო ნომერი და აღიწერა, ვიძლევით აღწერილობას.

(თ.უ. 12 – 26). მოწნული ყურიანი ჭურჭლის ზედა ფრაგმენტი. ჭურჭელი შიგნიდან კუპრითაა ამოგოზილი. ოვალური ფორმის პირი ცილინდრული ფორმის ყელისაგან გამოყოფილი არ არის. ყური პირზეა მიმაგრებული და მის დონეს ზევით ოდნავ სცილდება. ყურის მეორე ბოლო მხრის დასაწყისზეა მიმაგრებული. მხარი თითქმის ჰორიზონტალურია და ოვალური განივკვეთის მუცელში გადადის. ჭურჭლის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 15 სმ., პირის სიგანე 3,5X2,5 სმ., მუცლის სიგანე 12,5X9,5 სმ., ხოლო წნული კედლის სისქე 0,8 სმ-ია.

აღნიშნულ ჭურჭელში საინტერესოა მისი დაწვნის ტექნიკა, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებულია წნის სხვადასხვა სახეობები, თუმცა იმ სახეობებში რომლებშიც გამოიყენება წნელები და შედარებით მსხვილი სამაგრები ყველგან ერთი და იგივე სურათია: მოწნულ ძირზე, ფიცარზე ან მიწაზე ვერტიკალურად მაგრდება საყრდენები და მათ შორის სივრცე ივსება წნელებით, რომლებიც საყრდენებს მონაცვლეობით ეხება ხან გარედან და ხან შიგნიდან. საქართველოში გავრცელებული წნის ტექნოლოგიის საპირისპიროდ თეთრი უდაბნოს მონასტერში აღმოჩენილი ჭურჭელი დაწნულია შემდეგნაირად, საყრდენები ჰორიზონტალურადაა განლაგებული, ზამბარისებურად დახვეული წნელი ორ მეზობელ საყრდენს აერთიანებს და მის ხვეულებს შორის მეზობელი ორი საყრდების შემაერთებელი წნელი მაგრდება. ამგვარი წნის ტექნიკა საქართველოსათვის სრულიად უცნობია.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოში დადასტურებულია მოწნული ჭურჭლის მრგვალი ფორმა: როგორც დიდი ზომის (გოდორი) ისე პატარა (კალათა) არც ეთნოგრაფიულ და არც არქეოლოგიურ მასალაში წნელის ჭურჭელი რომელიც სითხის შესანახად და გადასატანად იყო განკუთვნილი არ დასტურდება, მიუხედავად იმისა რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიღებული პრაქტიკა

იყო უკვე მოწნული დიდი ზომის გოდრის დამატებითი იზოლაცია (ხაზარაძე 1988; გვ. 70) “მოწნულ გოდორს შიგნიდან და გარედან ახალი ნაკელით და ნაცრით გადალესავენ” და (მაკალათია 1935. გვ. 62) “ჭირნახულს ხევსურები და ფშაველები გოდორში ინახავენ რომელსაც სკორით ლესავენ”, აღნიშნული მოვლენა თეთრი უდაბნოს მონასტერში აღმოჩენილი ჭურჭლის პირდაპირი ანალოგიად არ გამოდგება, ასევე არ გამოდგება ანალოგიად სითხის გადასატანად გამოყენებული ხის ჭურჭლები, რადგან ყოველი მათგანი დამზადებულია ან ხის ერთიანი ნაჭრისაგან (კოდი, ჭიქა, ჯამი და სხვა) ან ხის სწორი ფიცრებისაგან (კიდობანი და სხვა). ხოლო ჩვენთვის საინტერესო ჭურჭელი კი ჯერ მოწნეს ხოლო შემდეგ კუპრის მეშვეობით წყალგაუმტარი გახადეს, ამგვარი ჭურჭელი საქართველოს სინამდვილეში თეთრი უდაბნოს მონსატერში აღმოჩენილი ცალის გარდა მეტი არ გვაქვს და ამის გამო მისი ზუსტი დათარიღება ძნელია. ჭურჭლის დასათარიღებლად აუცილებელია მასთან აღმოჩენილი მასალის ანალიზი.

როგორც უკვე აღინიშნა თეთრი უდაბნოს მონასტერში, გარდა მოწნული ჭურჭლისა აიკრიფა კერამიკა და მინის რამოდენიმე ნატეხი. მასალა ერთგვაროვანია და ერთ წერტილშია აკრეფილი ამიტომ დიდი ალბათობით ერთ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ანაკრეფი კერამიკა შედგება კარგად გამომწვარი მოწითალო და მოშავო სამზარეულო და სასუფრე ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან, ასევე ერთი ცალი მოთეთრო-მოჩალისფროდ გამომწვარი მცირე ზომის ჭურჭლისაგან რომლის ნაწილობრივი რესტავრაციაც მოხერხდა. მასალა ზოგადად დათარიღდა შუა საუკუნეებით, საინტერესოა რომ კერამიკის ფრაგმენტებს შორის არ გვხვდება არც ერთი ცალი მოჭიქული თიხის ჭურჭელი, რომელიც კარგად არის გამოკვლეული და დათრიღებული, ამასთან დამახასიათებელია განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისათვის (მ. მიწიშვილი 1969), (უფრო ზუსტად შუა საუკუნეებში მოჭიქული თიხის ჭურჭლის მასობრივი წარმოება იწყება მეცხრე საუკუნიდან და გრძელდება გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით) რის გამოც თავდაპირველად მასალა ადრეფეოდალურ ხანას მივაკუთვნეთ, თუმცა მხოლოდ მოჭიქული კერამიკის არ არსეობა არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად დავათარიღოთ აღნიშნული მასალის კომპლექსი და შესაბამისად მოწნული ჭურჭელიც, ამასთან ერთერთი მოთეთრო-მოჩალისფრო ჭურჭელი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს განვითარებულ შუა საუკუნეებში გავრცელებულ ე.წ. ფერმკრთალ კერამიკასთან.

კერამიკის გარდა თეთრი უდაბნოს მონასტერში აკრეფილ მასალაში იყო მინის ფრაგმენტებიც, საბედნიეროდ შუა საუკუნეების მინის ჭურჭელი კარგადაა კლასიფიცირებული და დათარიღებული მ. ჩხატარაშვილის მიერ.

თეთრი უდამნოს მონასტერში აღმოჩენილი ფეხიანი მინის სასმისის ზედა ნაწილი, კარგად ეწერება მინის სასმისების მეორე ტიპში რომელიც განვითარებული შუა საუკუნეებით მეთერთმეტე - მეცამეტე საუკუნეებით თარიღდება, თუმცა უფრო მეტად მეთორმეტე მეცამეტე საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი (ჩხატარაშვილი 1978. გვ 36.). რაც კარგად ეთანხმება თიხის ჭურჭლის მიერ მოცემულ დათარიღებას, ყოველივე ამის გამო მასალის კომპლექსი და შესაბამისად მოწნული ჭურჭელიც ზოგადად განვითარებული შუა საუკუნეებით უნდა

დავათარიღოთ.

აღნიშნულ ჭურჭელთან დაკავშირებით პირველ რიგში ჩნდება კითხვა, ადგილობრივად არის ის დამზადებული თუ ექსპორტირებულია სხვა პუნქტიდან? ერთი მხრივ ძნელი წარმოსადგენია რომ ამგვარი მცირე ზომის და არც თუ ისე ძვირფასი ნაწარმი შორიდან, საზღვარგარეთიდან მოეტანათ, რადგან ძნელი წარმოსადგენია რომ ასეთი მცირე ზომისა და საკმაოდ ფაქიზი ჭურჭელი შორიდან მოეტანათ, თუმცა საქართველოში, განვითარებული შუა საუკუნეების განმავლობაში როდესაც კარგად არის განვითრებული ლითონის, მინისა და კერამიკული წარმოება და შესაბამისი ნაწარმი მრავლად გვხვდება როგორც ქალაქებში ასევე შედარებით მცირე პუნქტებში, საეჭვოა საქართველოში მოწნული და კუპრით ამოგოზილი ჭურჭელი მასობრივად ეწარმოებინათ. ორივე მოსაზრების განხილვის შემდეგ, იმის გამო რომ არც ჭურჭლის ანალოგი არ მოიძებნა საქართველოს არც ერთ კუთხეში ჭურჭელი შემოტანილად უნდა მივიჩნიოთ.

მოსაზრებას რომ თეთრი უდაბნოს მონასტერში აღმოჩენილი ჭურჭელი შემოტანილია ამყარებს მისი დამზადების მეთოდიც. ჭურჭლის მოწვნა და შემდეგ მისი ჰიდროიზოლაცია კუპრის მეშვეობით უცნობია საქართველოსათვის თუმცა კარგადაა ცნობილი ეგვიპტისა და მახლობელი აღმოსავლეთისათვის, ამ მოწნული ნივთისთვის კუპრის წასმას იხსენიებს ბიბლიაც "როცა დამალვა ვეღარ შეძლო, აიღო ლერწმის კიდობანი, შეგოზა ფისითა და კუპრითა და დადო ლელიანში, ნილოსის პირას" (გამოსვლა: თავი 1: 3) მიუხედავად იმისა, რომ საუბარია სხვადასხვა ჭურჭელზე ჰიდროიზოლაციის მეთოდი ერთი და იგივეა. ხოლო რაც შეეხება კითხვას თუ საიდან მოხვდა დავით გარეჯის ტერიტორიაზე არსებულ თეთრი უდაბნოს მონასტერში ეგვიპტესა თუ ახლო აღმოსავლეთში დამზადებული ნივთი, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ-ჯერობით მონაცემები არ გვყოფნის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ აღნიშნულ ჭურჭლის პირდაპირ ანალოგს საქართველოში ვერ მივაკვლიეთ, ამასთან თეთრი უდაბნოს მონასტრის ტერიტორიაზე აკრეფილი კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები გვაჩვენებს რომ ბერები არც თიხის და არც მინის ჭურჭლის ნაკლებობას არ განიცდიდნენ, ამასთან კერამიკული წარმოების ისეთი ცენტრები როგორიც თბილისი და რუსთავია აღნიშნული მონასტრიდან 30 კმ-ზე ნაკლებ მანძილზეა. ჩნდება კითხვა: რა დანიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა მოწნულ ჭურჭელს? ცხადია ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ამჟამად შეუძლებელია, თუმცა ლოგიკური მოსაზრების გამოთქმა შესაძლებელია ამისათვის უნდა განვიხილოთ თვითონ ჭურჭლის ფიზიკური თვისებები.

მოწნული ჭურჭელის მუცელი განივკვეთში ოვალურია და არა წრიული, ამასთან დაზიანების კვალი არ ემჩნევა, არა მარტო წნელის კარკასს, რომელიც საკმაოდ მოქნილი უნდა ყოფილიყო, არამედ კუპრის საფარსაც, რაც იმას ნიშნავს რომ იგი თავიდანვე ოვალური ფორმისა დამზადდა.

ჭურჭელი შიგნიდან კუპრითაა დაფარული შესაბამისად წყალგაუმტარია და სითხის შესანახად გამოიყენებოდა, თუმცა მოცულობა მცირეა - 1-1,2 ლიტრი, ამიტომ მასში სითხის ხანგრძლივი ვადით შენახვა ნაკლებად სავარაუდოა. თიხის ჭურჭელთან შედარებით მსუბუქია, ნაკლებად მტვრევადი და შესაბამისად

მისით სითხის მოკლე მანძილზე გადატანა მოსახერხებელია. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობ რომ თეთრი უდაბნოს მონასტერში აღმოჩენილი მოწნული ჭურჭელი გამოიყენებოდა როგორც მათარა.

დასკვნა

თეთრი უდაბნოს მონასტერში აღმოჩენილი მოწნული და კუპრით ამოგოზილი ჭურჭელი მიუხედავად იმისა, რომ ნაპოვნია არა არქეოლოგიური გათხრების, არამედ შემთხვევითი აღმოჩენის შედეგად, წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაპოვარს შუა საუკუნეების არქეოლოგიისათვის, შესაბამისად მისი ანალიზი და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაშვება აქტუალური ამოცანაა, იგი თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით, XI-XIII საუკუნეებით. იგი არ არის დამზადებული საქართველოში, სავარაუდოდ შემოტანილია ახლო აღმოსავლეთიდან ან ეგვიპტიდან და წარმოადგენს სითხის მოკლე მანძილზე სატარებელ ჭურჭელს, მათარას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა. თბილისი 2013.

მაკალათია ს. “ხევსურეთი” თბილისი 1935.

მიწიშვილი მ. “მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში”. თბილისი 1969.

ჩხატარაშვილი მ. “მინის ჭურჭელი ძველ საქართველოში” თბილისი 1978.

ხაზარაძე მ. “ქართული ხალხური ხის ჭურჭელი “ თბილისი 1988.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I . თეთრი უდაბნოს მონასტერი რუკაზე.

ტაბ. II. მოწნული ჭურჭელი.

ტაბ. III. მოწნული ჭურჭელი ჩანახატი.

ტაბ. IV. კერამიკის ფრაგმენტები თეთრი უდაბნოს მონასტრიდან.

ტაბ. V. მინის ფრაგმენტი თეთრი უდაბნოს მონასტრიდან.

ტაბ. I

ტაბ. II



ტაბ. IV



ტაბ. III

ტაბ. V

რუბრიკა

პ რ ო ე ქ ტ ი

„სამშვილდე” - საქართველოს უნივერსიტეტის პროექტი

ბერიკაშვილი დავითი,
სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი
საქართველოს უნივერსიტეტი.

პრეამბულა

2012 წელს საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში ინიცირებული იქნა პროექტი - „სამშვილდე,“ რომელიც მიზნად ისახავდა ამ უნიკალური ნაქალაქარის არქეოლოგიურ, ისტორიულ და სახელოვნებათმცოდნეო კვლევებს. ამავე წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაზე ჩამოყალიბდა სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც დაკომპლექტდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებითა და მოწვეული სპეციალისტებით.

სამშვილდის ნაქალაქარი დღეს მუზეუმ-ნაკრძალის სტატუსს ატარებს და სახელწიფოს პატრონაჟის ქვეშ იმყოფება. შესაბამისად, აქტიური კვლევითი სამუშაოების დაწყებამდე 2013 წელს საქართველოს უნივერსიტეტსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად სამშვილდის ნაქალაქარის სამეცნიერო კვლევებში პარტნიორობასა და კოორდინირებულ მუშაობას გულისხმობს. მემორანდუმს ხელი მოეწერა საქართველოს უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში, საზეიმო ვითარებაში უნივერსიტეტის პრეზიდენტის, პროფესორ მ. სანაძისა და სააგენტოს იმჟამინდელი დირექტორის, ბ-ნ მ. ბოჭოიძის მიერ.

მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობა საქართველოს უნივერსიტეტსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის დღესაც ნაყოფიერად გრძელდება.

ზოგადი კონტექსტი

სამშვილდის ნაქალაქარი ისტორიულ ქვემო ქართლში, სოფ. სამშვილდედან 2 კმ მანძილზე მდებარეობს და მრავალი კულტურული ფენის შემცველ ძეგლს წარმოადგენს (სურ.1). ნაქალაქარის ქრონოლოგიური დიაპაზონი ვრცელია და მოიცავს პერიოდს წინაქრისტიანული ხანიდან ვიდრე გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით. მიუხედავად ამისა, სამშვილდის სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები, რაც ნათელს მოჰფენდა სტრატიგრაფიას, დააზუსტებდა ქრონოლოგიასა და გამოავლენდა ახალ არქეოლოგიურ მასალებს დღემდე არ ჩატარებულა. სხვადასხვა დროს წარმოებული კვლევებიდან აღსანიშნავია აკად. ლ. ჭილაშვილის მიერ წარმოებული სამუშაოები 1968-69 წლებში, როდესაც მან სამშვილდის ციტადელსა და სიონის უბანზე მცირე მოცულობის გათხრითი სამუშაოები ჩაატარა; არქეოლოგ გ. მირცხულავას მიერ წარმოებული გათხრები, როდესაც შესწავლილ იქნა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ნამოსახლარი და სამაროვანი სამშვილდის კონც-

ხის სიახლოვეს, მდ. ჭივჭავის ჩრდილოეთით 1968-1970 წლებში. ასევე, არქეოლოგ, ნ. ბახტაძის მიერ წარმოებული დაზვერვითი სამუშაოები მდ. ხრამის ხეობაში განვითარებულ მღვიმურ კომპლექსებში. მნიშვნელოვანი იყო სამშვილდის სიონის სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში განხორციელდა ხელოვნების ისტორიკოსის ნ. ჩუბინაშვილის მიერ. სხვადასხვა დროს სამშვილდის ნაქალაქარზე სამუშაოები შესრულებული აქვთ ც. გაბაშვილს, გ. ჯაფარიძე, რ. გვერდწითელი, თ. გაბუნია, გ. გაგოშიძეს, და სხვ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არ ატარებდა სისტემურ ხასიათსა და არ იყო განხორციელებლი ერთიანი გეგმის ფარგლებში.

საქართველოს უნივერსიტეტის პროექტის - ,,სამშვილდე'' თეორიული ნაწილის დამუშავების დროს კი სწორედ ეს უმთავრესი კომპონენტი იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, ყველა სახის კვლევა, როგორც საველე არქეოლოგიური, სახელოვნებათმცოდნეო თუ პალეოგრაფიული, ასევე, ლაბორატორიულ-კამერალური ერთიანი გეგმის ფარგლებში ხორციელდება, რათა, მიღებული შედეგები მაქსიმალურად ეფექტური, ინფორმატიული და ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის. გამომდინარე აქედან, დღეს სამშვილდის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჩართული არიან ფართო სამეცნიერო სპექტრის მკვლევარ-სპეციალისტები რომლებიც როგორც ძეგლზე, ასევე სამეცნიერო დაწესებულებებში კოორდინირებულად მუშობენ.

სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია დაკომპლექტებულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებითა და მოწვეული სპეციალისტებით. ძირითად ბირთვს შეადგენენ:

დავით ბერიკაშვილი - პროფესორი, არქეოლოგი. საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

მანანა სანაძე - პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ექსპედიციის საისტორიო და წყაროთმცოდნეობითი მიმართულება.

სერგო ცირამუა - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლის პროფესორი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის IT მიმართულების ხელმძღვანელი.

გურამ გრიგოლია - ექსპედიციის სამეცნიერო კონსულტანტი-არქეოლოგი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დავით ოდილავაძე - ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის გეოფიზიკური კვლევების მიმართულება.

ირაკლი ივანიშვილი, ვახტანგ ლომიძე - სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მიმართულება.

გიორგი გაგოშიძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევითი

მიმართულება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

თენგიზ გაბუნია - არქიტექტორ-რესტავრატორი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სარესტავაციო მიმართულება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

მაია ბუხსიანიძე - მეცნიერებათა დოქტორი, პალეონტოლოგი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ოსტეოლოგიური კვლევები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ლიანა ბითაძე - მეცნიერებათა დოქტორი, ანთროპოლოგი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანთროპოლოგიური მიმართულება. თსუ-ს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

ნინო ქებულაძე - ისტორიის დოქტორი, რესტავრატორი. ექსპედიციის არქეოლოგიური მონაპოვარის სარესტავრაციო-კამერალური სამუშაოები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ელისო ყვავაძე - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პალინოლოგი. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის პალინოლოგიური კვლევები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

გარდა ამისა, ექსპედიციის საველე და ლაბორატორიულ კვლევებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უნივერსიტეტის არქეოლოგიის, ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის სხვადასხვა კურსის სტუდენტები, რომელთათვისაც აღნიშნულ კვლევებში მონაწილეობა სავალდებულო პრაქტიკას წარმოადგენს. სტუდენტების ჩართულობა სამშვილდის ისტორიული ნაქალაქარის კვლევებში საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს (სურ.2,3).

არქეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები

სამშვილდის ნაქალაქარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიცია კვლევებს წარმართავს ერთიანი გეგმისა და წინასწარ შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით რაც ნაქალაქარის ციტადელისა და სიონის უბნის სტრატიგრაფიული სურათის დადგენას ისახავს მიზნად. 2015-2016 წლებში ნაქალაქარის ციტადელში (სურ.4) გაიხსნა სამი, ხოლო, სიონის უბანზე (სურ.5) კი ორი თხრილი, რომელთაგან მომდინარე მასალა ძირითადად განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ საველე სამუშაოების დროს ბოლომდე დაცულია არქეოლოგიური გათხრების ის ტექნიკა და მეთოდოლოგია რაც კარგად არის აპრობირებული როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში. კერძოდ, ცალცალკე ხდება ყოველი გამოვლენილი არქეოლოგიური კონტექსტის აღწერა, მცირე მონაპოვარის აღნუსხვა, უძრავი ობიექტების ფიქსაცია და სხვ. ყოველი საველე სეზონის შემდეგ აღნიშნულ თხრილები დამცავი ფენით იფარება.

გათხრების პარალელურად, სისტემატიურად მიმდინარეობს გეოარქეოლოკაციური კვლევებიც, რაც წინასწარულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიების საშუალებას იძლევა. გეოფიზიკური კვლევები რომლებიც ექსპედიციის გეოფიზიკოსთა ჯგუფმა 2015 წელს განახორციელა ფაქტიურად მთლიანად დადასტურდა 2016 წლის არქეოლოგიური გათხრებით.

მოძრავი არქეოლოგიური ობიექტების დაცვა და ხელმისაწვდომობა

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ საველე სამუშაოების დროს მოპოვებული არტეფაქტები სათანადო სარესტავრაციო-კამერალური სამუშაოების დასრულების შემდეგ ინახება „საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ მუზეუმში". აღნიშნული მუზეუმი დაფუძვნდა 2015 წელს საქართველოს კულტურის მინისტრის № 05/08-2598 განკარგულების საფუძველზე და სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების უმთავრეს საცავს წარმოადგენს. ამჟამად, მუზეუმის ფონდებში რამდენიმე ასეული ერთეული ნივთია რეგისტრირებული, მათი ნაწილი კი საგამოფენო სივრცეშია ექსპონირებული (სურ. 6). აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო მუზეუმის საგამოფენო კონცეფცია, ექსპოზიცია და დიზაინი მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ იქნა შემუშავებული. მათ მიერვე ხორციელდება დროებითი და მუდმივი გამოფენებიც, რაც მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, რომელიც რეგიონის მასშტაბით არა მარტო უმთავრეს განძთსაცავს წარმოადგენს, არამედ სამუზეუმო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დიდი გამოცდილების მქონე დაწესებულებაა.

ეროვნულ მიზეუმშია დაცული სამშვილდეში გასულ საუკუნეში მოპოვებული სხვა და სხვა არქეოლოგიური ნივთებიც.

უძრავი ობიექტების რესტავრაცია-კონსერვაცია

პროექტ „სამშვილდე"-ს კიდევ ერთ, მნიშვნელოვან მიმართულებას ნაქალაქარზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების რესტავრაცია-კონსერვაცია წარმოადგენს. შესაბამისად, სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის საკონსერვაციო-სარესტავრაციო ჯგუფი სწორედ ამ კონკრეტული მიმართულებით მუშაობს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სახის საველე სამუშაოების დაგეგმვის პარალელურად, თავიდანვე იგეგმება საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტიც, რაც საფუძველშივე გამორიცხავს ახლად გამოვლენილი ობიექტების ღია ცის ქვეშ, სათანადო ღონისძიებების გარეშე დარჩენის შესაძლებლობას.

ამგვარი კოორდინირებული სამუშაოების შედეგად, 2014 წელს საქართველოს უნივერსიტეტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს სიძველეთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის ერთიანი ძალისხმევით წარმატებით განხორციელდა სამშვილდის წმ. გიორგის ეკლესიისა და „პალატის" ეკლესიის სრული, კომპლექსური შესწავლა. ორივე ძეგლის არქეოლოგიური გათხრები, მოპოვებული მასალის კამერალური სამუშაოები და სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნება დაფინანსდა და შესრულდა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ. პარალელურად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში არქეოლოგიურად შესწავლილი ორივე ეკლესიის პალეოგრაფიული კვლევა და სარესტავრაციო პროექტების დამუშავება განხორციელდა. 2014

წლის შემოდგომაზე საქართველოს სიძველეთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა კი სამშვილდის წმ. გიორგის ეკლესიისა (სურ.7,8,9) და ,,პალატის“ ეკლესიის (სურ.10,11,12) სრული რესტავრაცია განხორციელდა

აღნიშნული თანამშრომლობა ნათელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს კოორდინირებულად ერთის მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო მეორე მხრივ კი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები.

პროექტის IT და GIS მიმართულება

სამშვილდის ნაქალაქარის კვლევების სამეცნიერო შედეგების პოპულარიზაციისა და თანამედროვე ციფრულ საინფორმაციო ბაზაში ინტეგრირებისათვის ექსპედიციის IT და GIS მიმართულების ჯგუფის მიერ შეიქმნა სამშვილდის ნაქალაქარის მობილური აპლიკაცია რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.travelgis.ge (სურ.13). აღნიშნული პროდუქტი წარმოადგენს უფასო, განახლებად აპლიკაციას, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიმოიხილოს როგორც უშუალოდ არქეოლოგიური გათხრების ფოტო და ტექსტური მასალა, ისე ნაქალაქარისა და მიმდებარე ტერიტორიის უმთავრესი ძეგლები.

ასევე, საქართველოს უნივერსიტეტის IT სპეციალობის მაგისტრანტების მიერ დაპროექტდა ვებ-გვერდი www.samshvilde.ge (სურ.14). რომელიც წარმოადგენს სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის უმთავრეს საინფორმაციო პორტალს და ინტეგრირებულია უნივერსიტეტის მთავარ ვებ-გვერდთან - www.ug.edu.ge (სურ.15)

პროექტის ძირითადი მიზნები და სამოქმედო სტრატეგია

როგორც პრეამბულაში იყო აღნიშნული - ,,სამშვილდე“ საქართველოს უნივერსიტეტის მეგა პროექტს წარმოადგენს და მისი ძირითადი მიზანია საქართველოს ამ ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარის თანამედროვე სტანდარტებითა და უახლესი ტექნოლოგიებით შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის სამოქმედო

სტრატეგია მდგომარეობს შემდეგში:

• მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან.
• მჭიდრო თანამშრომლობა უცხოურ სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან მათი ინტელექტუალური რესურსის გამოყენებისა და კვლევების სამეცნიერო შედეგების მეტი პოპულარიზაციის მიზნით.
• საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტ-მაგისტრანტებისა და ზოგადად, ახალგაზრდობის უშუალო და აქტიური ჩართულობა სამშვილდის სამეცნიერო კვლევებში.
• მიღებული სამეცნიერო შედეგების პოპულარიზაცია აკადემიური ბეჭდვითი და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.
• მოპოვებული არქეოლოგიური არტეფატების რესტავრაცია, ინვენტარიზაცია და ექსპონირება საგამოფენო სივრცეში.
• უძრავი არქეოლოგიური თუ არქიტექტურული ობიექტების კონსერვაცია-რესტავრაცია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ტრადიციული

მასალების გამოყენებით.

ვფიქრობთ, მხოლოდ ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი პირველად ჩვენს რეალობაში ქართული უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული, შემუშავებული და დაფინანსებული დიდი მასშტაბის მქონე ისტორიული ნაქალაქარის კვლევითი პროექტის წარმატებით წარმართვა.

სურათების აღწერილობა:

1. სამშვილდის ნაქალაქარის საერთო ხედი.
2. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები სამშვილდის ციტადელში არქეოლოგიური სამუშაოების დროს.
3. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები სამშვილდის არქეოლოგიურ ველზე.
4. სამშვილდის ციტადელი.
5. სიონის უბანი.
6. საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიცია.
7. სამშვილდის წმ. გიორგის ეკლესია 2013 წელს.
8. სამშვილდის წმ. გიორგის ეკლესია. საპროექტო ნახაზი.
9. წმ. გიორგის ეკლესია არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ 2014 წელს.
10. სამშვილდის ,,პალატის'' ეკლესია 2013 წელს.
11. სამშვილდის ,,პალატის" ეკლესია. საპროექტო ნახაზი.
12. ,,პალატის" ეკლესია არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ 2014 წელს.
13. Travel-gis - ის ოფიციალური ვებ-გვერდი.
14. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ოფიციალური ვებ-გვერდი.
15. საქართველოს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი.

“Samshvilde” – the project of the University of Georgia

Prof. David Berikashvili
Head of Samshvilde Archaeological Expedition
University of Georgia

Preamble

Project “Samshvilde” was initiated at the School of Humanitarian Sciences of the University of Georgia in 2012. The aim of the project was archaeological, historic and art research of this unique former settlement. Samshvilde archaeological expedition was established under the University the same year and was made of the faculty and the invited specialists of the University.

Former settlement of Samshvilde has the status of museum-reserve currently and is under the patronage of the state. Therefore, before starting active research works in 2013 a Memorandum of Understanding was executed between the University of Georgia and the National Agency for Cultural Heritage Preservation which implies partnership and coordinated work in scientific researches of the former settlement of Samshvilde together with various directions. The Memorandum was signed in the conference hall of the University of Georgia, ceremoniously, by the President of the University, Professor M. Sanadze and the Director of the Agency at that time, Mr. M. Bochoidze.

Cooperation stipulated by the Memorandum between the University of Georgia and the National Agency for Cultural Heritage Preservation continues successfully until now.

General context

Former settlement of Samshvilde is located in the historic Kvemo Kartli, at the distance of 2 km from village Samshvilde and represents a monument containing many cultural layers (pic. 1). Chronological range of the former settlement is wide and covers the period from the pre-Christian era through the late medieval period. Despite this fact, stationary archaeological excavations of Samshvilde which would make clear its stratigraphy, define the chronology more exactly and reveal the new archaeological materials, have not been conducted yet. Among the researches conducted in various periods the works carried out by the academician L. Chilashvili in 1968-69 should be mentioned when he conducted minor excavation works on the citadel and Sioni section; excavations carried out by the archaeologist G. Mirtskhulava when the former settlement of earlier stage of the Kura-Araxes Culture and a burial mound near Samshvilde Cape, to the north of Chivchava river were studied in 1968-70. Also, reconnaissance works performed by archaeologist N. Bakhtadze in the cave complexes developed in the river Khrami valley. Art researches of Samshvilde Sioni carried out by the 1930s by the art historian N. Chubinashvili were important. Works on the former settlement of Samshvilde were performed in various periods by Ts. Gabashvili, G. Japaridze, R. Gverdtsiteli, T. Gabunia, G. Gagoshidze etc. but as mentioned above, they were not systematic and were not carried out within the framework of the unified plan.

This most important component was considered during processing of the theoretical part of the project “Samshvilde” of the Universi-

ty of Georgia. In particular, all kinds of researches – field-archaeological, art of paleographic, as well as lab and office researches are carried out within the framework of the unified plan so that the obtained results are most effective, informative and easily available for all interested persons. Therefore, researchers and specialists of wide scientific spectrum are engaged in Samshvilde archaeological expedition today and they work on the monument as well as in scientific institutions in a coordinated manner.

Samshvilde archaeological expedition

As it was mentioned in the preamble, Samshvilde archaeological expedition consists of the faculty and invited specialists of the University of Georgia which make up the main scientific core:

David Berikashvili – Professor, archaeologist. Head of Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia.

Manana Sanadze – Professor, President of the University of Georgia. Historic and source studies direction of the expedition.

Sergo Tsiramua – Professor of the School of Informatics, Engineering and Mathematics of the University of Georgia. IT Head of Samshvilde archaeological expedition.

Guram Grigolia – Scientific consultant-archaeologist of the expedition. Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

David Odilavadze – Doctor of Physical Sciences, scientific researcher of M. Nodia Institute of Geophysics. Geophysical direction of Samshvilde archaeological expedition. Irakli Ivanishvili, Vakhtang Lomidze – Topographic and cartographic direction of Samshvilde archaeological expedition.

Giorgi Gagoshidze – Director for Art Studies. Art research direction of Samshvilde archaeological expedition. National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

Tengiz Gabunia – Architect-restorer. Restoration direction of Samshvilde archaeological expedition. National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

Maia Bukhsianidze – Doctor of sciences, paleontologist. Osteological surveys of Samshvilde archaeological expedition. National Museum of Georgia.

Liana Bitadze – Doctor of sciences, anthropologist. Anthropological direction of Samshvilde archaeological expedition. Institute of History of Ethnology of TSU.

Nino Kebuladze – Doctor of History, restorer. Restoration-office works of archaeological discoveries of Samshvilde archaeological expedition. National Museum of Georgia.

Eliso Kvavadze – Doctor of geology-mineralogy sciences, palynologist. Palynological surveys of Samshvilde archaeological expedition. National Museum of Georgia. Besides, the University students of various years majoring in archaeology, history and art studies play a significant role in the field and lab surveys of the expedition and participation in the above surveys is a mandatory practice for them. Student engagement in the surveys of the historic former settlement of Samshvilde represents one of the main, priority directions of the University of Georgia (pic. 2, 3).

Archaeological and geophysical surveys

Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia carries out archaeological works of the former settlement of Samshvilde. The expedition carries out the works in accordance with the unified plan and preliminarily developed strategy which

implies establishment of the stratigraphic picture of the former settlement citadel and Sioni section. Three trenches were opened in the former settlement citadel (pic. 4) and two trenches were opened on Sioni section (pic.5) in 2015-2016 and the material obtained there mainly belongs to the developed centuries. The earlier materials are not found at this stage. It is noteworthy that during the field works archaeological excavations are carried out in full compliance with the technique and methodology approved in Europe and the US. In particular, the description of the revealed archaeological context, accounting of the small discoveries, fixation of immovable objects etc. are performed separately. These trenches are covered by a protective layer after each field season.

In parallel to excavations, geoarcheolocational surveys are systematically performed which allows to find significant information in advance. Geophysical surveys conducted by the group of geophysicists in 2015 were actually entirely confirmed by archaeological surveys of 2016.

Protection and availability of movable archaeological objects

The artifacts discovered by Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia during the field works are saved in the "Archaeological Museum of the University of Georgia" after completion of the respective restoration-office works. This museum was founded in 2015 on the basis of the Decree of the Minister of Culture of Georgia No. 05/08-2598 and represents the main depository of materials obtained by Samshvilde archaeological expedition. Currently, several thousand units of things are registered in the Museum depositories, while some of them are exhibited in the exhibition space (pic. 6). It should be mentioned that the exhibition concept, exposition and design of the University Museum were entirely developed by the University students. The same students hold temporary and permanent exhibitions too, which is very important for their formation as professionals.

In addition, the University of Georgia actively cooperates with the National Museum of Georgia which represents not only the main treasure depository throughout the country but also is one of the most successful and experienced institution in the museum field.

Restoration-conservation of immovable objects

One more important direction of the project "Samshvilde" is the restoration-conservation of immovable objects of cultural heritage in the former settlement. Accordingly, the restoration-conservation group of Samshvilde archaeological expedition works in this specific direction. It must be underlined that in parallel to planning all types of field work, the restoration-conservation projects is developed from the beginning which excludes the possibility of leaving the newly discovered objects under the sky, without respective measures.

As a result of such type of coordinated work, full, comprehensive study of Samshvilde St. George Church and „Palati" Church was successfully conducted with joint efforts of the University of Georgia, National Agency for Cultural Heritage Preservation and the Fund for Protection and Salvation of Antiquities of Georgia. Archaeological excavations of both monuments, office processing of the obtained material and publication of scientific results were funded and performed by the University of Georgia. In parallel, paleo-

graphic study of both churches was conducted and restoration projects were processed at the National Agency for Cultural Heritage Preservation. In autumn 2014 the Fund for Protection and Salvation of Antiquities of Georgia carried out full restoration of Samshvilde St. George Church (pic. 7,8,9) and „Palati" Church (pic. 10,11,12).

The above cooperation is a vivid example of coordinated work of the higher educational institution, on the one hand and state and private organizations, on the other hand.

IT and GIS directions of the project

For popularization of scientific results of Samshvilde former settlement researches and their integration into the modern digital information database, a mobile application of Samshvilde former settlement was created by the IT and GIS group of the expedition placed on the website www.travelgis.ge (pic.13). The above product represents a free, renewable application where all interested persons can review the photo and text material of the archaeological expedition as well as the main monuments of the former settlement and the adjacent area.

Also, a webpage www.samshvilde.ge (pic. 14) was created by IT Master students of the University of Georgia which represents the main information portal of Samshvilde Archaeological Expedition and is integrated with the main webpage of the University - www.ug.edu.ge (pic.15)

Main purposes and action strategy of the project

As it was mentioned in the preamble, "Samshvilde" represents a mega project of the University of Georgia and its main purpose is to study this former settlement in accordance with the modern standards and newest technologies. To achieve this goal, the action strategy of the archaeological expedition of the University covers the following:

- Close and coordinated cooperation with National Agency for Cultural Heritage Preservation, various scientific-educational institutions and private sector.
- Close cooperation with foreign academic-educational organizations for the purpose of use of their intellectual resources and more popularization of scientific results of the researches.
- Direct and active engagement of Master program students of the University of Georgia and the youth in general in scientific researches of Samshvilde.
- popularization of obtained scientific results using academic printing and modern digital technologies
- restoration, inventory and exhibition of discovered archeological artifacts in the exhibition area
- Conservation- restoration of immovable archaeological or architectural objects using modern technologies and traditional material.

We think that only by such approach it is possible to successfully carry out the research project of large scale historic former settlement initiated, developed and funded by the University of Georgia for the first time in our reality.

Description of pictures:

1. General view of Samshvilde former settlement.
2. Students of the University of Georgia during archaeological works in Samshvilde Citadel.
3. Students of the University of Georgia on Samshvilde archaeological field.
4. Samshvilde Citadel.
5. Sioni District.
6. Exposition of University of Georgia Archaeological Museum.
7. Samshvilde St. George Church in 2013.
8. Samshvilde St. George Church. Design drawing.
9. St. George Church after completion of archaeological and restoration works in 2014.
10. Samshvilde “Palati” Church in 2013.
11. Samshvilde “Palati” Church. Design drawing .
12. “Palati” Church after completion of archaeological and restoration works in 2014.
13. Official webpage of Travel-Gis.
14. Official webpage of Samshvilde archaeological expedition.
15. Official webpage of the University of Georgia.

სურ. 1 Pic.

სურ. 2 Pic.

სურ. 3 Pic.

სურ. 4 Pic.

სურ. 5 Pic.

სურ. 6 Pic.

სურ. 7 Pic.



სურ. 8 Pic.

სურ. 9 Pic

სურ. 10 Pic.


სამშვილდის ,,პალატის” ეკლესია
საპროექტო ნახაზი. არქ-რესტავრატორი თ. გაბუნია
3.90
2.46
2.28
1.65
2.30
1.70
2.10
აღმოსავლეთ ფასადი
დასავლეთ ფასადი

სურ. 11 Pic.





სურ. 13, 14, 15 Pic.

რუბრიკა

ინტერვიუ

“ინტერვიუ” ჟურნალის სტუდენტური რუბრიკაა, რომელშიც ქვეყნდება საუბრები ცნობილ არქეოლოგებთან. პირველ ნომერს ამ სტატუსით არქეოლოგი იულონ გაგოშიძე სტუმრობს.

• ბატონო იულონ, რამ გადაგაწყვეტინათ არქეოლოგიის პროფესიის არჩევა და ახლა რომ თავიდან ირჩევდეთ პროფესიას, მიიღებდით თუ არა იმავე გადაწყვეტილებას?

ჩემი არქეოლოგად გახდომა ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება: ჩვენს ოჯახში მისი კულტი იყო. ჩემი მშობლები ინჟინრები იყვნენ და უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლობდნენ მაშინ, როდესაც რექტორი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ. კარგად მახსოვს, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალება. მაშინ მისი სურათი გაზეთიდან ამოვჭერი, შევინახე და ვთქვი, მისნაირი გამოვალ-მეთქი. თუმცა, შემდგომ, როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, უფრო ფიზიკა-მათემატიკამ გამიტაცა. სკოლა ოქროს მედლით დავამთავრე, შემეძლო ნებისმიერ ფაკულტეტზე უგამოცდოდ სწავლის გაგრძელება, მაგრამ, მაინც ისტორიის ფაკულტეტი ვირჩიე. არქეოლოგიაზე არც კი მიფიქრია, ვიდრე 1956 წელს, როდესაც მესამეკურსელი შემთხვევით აღმოვჩნდი ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სადაც, ასე ვთქვათ, ,,მოვიწამლე“ არქეოლოგიით. ბიჭვინთაში ორი კვირის მუშაობის შემდეგ ჩემი თავი დიდ არქეოლოგად წარმომედგინა, მხოლოდ გვიან მივხვდი რომ არქეოლოგობა საკმაოდ მძიმე და რთული საქმიანობა ყოფილა.

თავიდან რომ ვირჩევდე პროფესიას. მივიღებდი თუ არა იმავე გადაწყვეტილებას? არ ვიცი, არქეოლოგია ძალიან მიყვარს. 1956 წლიდან დღემდე წელიც არ ჩამიგდია, რომ რამდენიმე ექსპედიციაში არ მემუშაოს, ასე გავხდი არქეოლოგი.

• ბატონო იულონ, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც დატოვეს მნიშვნელოვანი კვალი თქვენი განათლების საქმეში?

ასეთები ბევრნი იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩემი სკოლის მასწავლებლებს და დიდედაჩემს. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას და საველე პრაქტიკას, არ შეიძლება არ მოვიხსენიო ჩემი პირველი ექსპედიციების ხელმძღვანელები - ანდრია აფაქიძე, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, ნინო ხოშტარია და ვიქტორ გაიდუკევიჩი უნივერსიტეტში ორად ორი არქეოლოგიური კურსი მოვისმინე. პირველ კურსზე არქეოლოგიის შესავალი ოთარ ჯაფარიძემ წაგვიკითხა, ბოლო სემესტრში კი მოკლე სპეცკურსი - ოთარ ლორთქიფანიძემ.

• რომელ განსაკუთრებულ არქეოლოგიურ ძეგლს გამოყოფდით თქვენი მრავალწლიანი საველე-სამეცნიერო მოღვაწეობიდან და ასევე, თუ გაიხსენებთ რაიმე განსაკუთრებულ არტეფაქტს რომელიც მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად?

იმ ობიექტებიდან, რომლებზედაც მიმუშავია, განსაკუთრებით სამადლოს გამოვყოფდი, რადგან სამადლო ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლი გამოდგა: ეს იყო საქართველოში პირველი არქეოლოგიური ძეგლი, სადაც გამოიყო ელინისტური ხანის დაუზიანებელი კულტურული ფენა და სწორედ მისი მეშვეობით შევძელით ე.წ ადრეანტიკური ხანის ზოგადი ქრონოლოგიის დაზუსტება-დანაწევრება ასე რომ, სამადლო ელინისტური ხანის ეტალონურ ძეგლად იქცა. ეს კი არის ქართლის სამეფოს წარმოშობის ეპოქა და ქართლის სამეფო ხომ სწორედ ის პოლიტიკური ერთეულია, რომლის სამართალმემკვიდრეა დღევანდელი საქართველო. შესაძლებელია, სამადლოზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყოს დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი, ან დედოფლის გორის სამეფო სასახლე, მაგრამ, სამადლო მაინც სხვაა - პირველი იყო ჩემთვის.

რაც შეეხება არტეფაქტებს, მათი ჭეშმარიტი სამეცნიერო მნიშვნელობა და ღირებულება ირკვევა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, არქეოლოგს კი ახსოვს ის სიხარული, რომელიც ახლავს თითოეული ამ ნივთის აღმოჩენას. ასე მაგალითად, მეც რა დამავიწყებს თუნდაც იმ სიხარულს და სულიერ კმაყოფილებას, რომელიც დამეუფლა მაშინ, როცა კავკასიაში პირველი, უნაკლოდ მთელი, ზარისებრი ბაზისი აღმოვაჩინე ყარაჯამირლის აქემენიდური ხანის სასახლეში.

• როგორია თქვენი აზრი და შეხედულება დღევანდელი ქართული არქეოლოგიის შესახებ?

არქეოლოგია საერთოდ ახალგაზრდა დისციპლინაა, საქართველოში კი მან იმდენად ცოტა ხნის წინ აიდგა ფეხი, რომ პირველ ქართველ არქეოლოგს, ექვთიმე

თაყაიშვილს, მოვესწარი. რეალურად არქეოლოგია საქართველოში გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიბადა, როდესაც, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, მცხეთაში დაიწყო სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კი პირველმა პროფესიონალმა არქეოლოგებმა გიორგი ნიორაძემ და ბორის კუფტინმა დაიწყეს მუშაობა. შემდეგ მოვიდა არქეოლოგთა ახალი თაობა, რომელთა მოღვაწეობას უკავშირდება გასული საუკუნის მეორე ნახევარში მასშტაბური არქეოლოგიური აღმოჩენები. სწორედ დარგის ახალგაზრდობაა იმის მიზეზი, რომ არქეოლოგია ძალიან სწრაფად ვითარდება და ყოველწლიურად ფართოვდება მისი შესაძლებლობები. დღევანდელი არქეოლოგიური კვლევები ინტერდისციპლინარული საქმიანობაა და არქეოლოგია კვლევის ისეთ მეთოდებს ფლობს, რომლებიც ჩვენს წინამორბედებს არც კი დაესიზმრებოდათ. საჭიროა მხოლოდ ის, რომ არქეოლოგები ვიყოთ მზად, რათა ფეხი ავუბათ ჩვენი მეცნიერების წინსვლას და ახალ გამოწვევებს.

ქართულ არქეოლოგიას ძალიან დიდი მომავალი აქვს, ის არის წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ნაწილი, მართალია პერიფერიული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი. ეს ის რეგიონია სადაც მსოფლიო ცივილიზაცია დაიბადა.

დღეს კი, მოგეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში: ირანის საზღვრები კარგა ხანია ჩაიკეტა არქეოლოგიისათვის. სირიასა და ერაყში, სადაც მთელი ევროპისა და შეერთებული შტატების არქეოლოგები მუშაობდნენ, ომია გაჩაღებული. შედეგად ევროპისა და ამერიკის არქეოლოგიისათვის გამოყოფილი ფინანსები გამოთავისუფლდა და წარიმართა კავკასიისაკენ, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას მათთვის ჩაკეტილი იყო. ეს შესაძლებლობები რომ წაადგეს საქართველოს, საჭიროა ჩვენი მხრიდან შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა, რაც უნდა გამოიხატოს კანონმდებლობასა და არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის სისტემაში მცირე ცვლილებებით. თუ ეს ყოველივე სწორად წარიმართება, არქეოლოგიამ, შესაძლოა, კი არ მოითხოვოს დაფინანსება სახელმწიფოსგან, არამედ პირიქით - ქვეყნისათვის შემოსავლის წყაროდ გადაიქცეს. არქეოლოგია პერსპექტიულია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ტურისტების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ სიძველეების მონახულება აინტერესებს. ტურისტს შეუძლია, არა მარტო დაათვალიეროს მუზეუმში გამოფენილი არქეოლოგიური მასალა, არამედ, მოინახულოს უძრავი არქეოლოგიური ძეგლები, დაესწროს არქეოლოგიურ გათხრებს და მონაწილეობაც კი მიიღოს მასში. ასეთი პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული არქეოლოგიურად მდიდარ ქვეყნებში.

• რას ფიქრობთ ქართულ უნივერსიტეტებში არსებული არქეოლოგიური პროგრამებისა და იმ საკანონმდებლო ბაზის შესახებ, რაც იცავს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას საქართველოში.

რამდენიმე წლის წინ მომიხდა საქართველოში არსებული უნივერსიტეტების არქეოლოგიის სასწავლო პროგრამების გაცნობა. სურათი საკმაოდ შემაშფოთებელი აღმოჩნდა - ზოგიერთ უნივერსიტეტში არ ასწავლიდნენ იმას, რაც არქეოლოგმა უთუოდ უნდა იცოდეს. არ ისწავლებოდა ქრონოლოგია, რომელიც ცალკე მეცნიერებაა. როგორ შეიძლება, ისტორიკოსი ან არქეოლოგი

გამოხვიდე ქრონოლოგიის ცოდნის გარეშე?! ზოგიერთ პროგრამაში ხსენება არ იყო არქეოლოგიის ისეთი დამხმარე დისციპლინებისა, როგორებიცაა ნუმიზმატიკა, გლიპტიკა, წყაროთმცოდნეობა და სხვა. არ ისწავლებოდა არა თუ ენათმეცნიერების შესავალი, არამედ ტიპოლოგიისა და სტატისტიკის საფუძვლებიც კი, რომლის ცოდნაც აუცილებელია, საკუთრივ, არქეოლოგიური კვლევებისათვის. სტუდენტებს არ ჰქონდათ საშუალება, გაევლოთ საველე პრაქტიკა.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხიც უნდა აღინიშნოს - საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლობს და არქეოლოგის სპეციალობით ამთავრებს იმაზე ბევრად მეტი ადამიანი, ვიდრე მათი დასაქმებაა შესაძლებელი. ვფიქრობ, ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა არქეოლოგიის ფაკულტეტებზე მოსახვედრად კომპეტენციის ზღვრის გაზრდა და მისაღები კონტინგენტის შემცირება.

რაც შეეხება კანონმდებლობას - ვფიქრობ, საჭიროა ცვლილებები არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის სფეროში. კერძოდ, უნდა გაიმიჯნოს ნებართვის გამცემი ორგანო სამუშაოს დამფინანსებლისაგან ნებართვის გამცემი დაწესებულება უნდა ამოწმებდეს და აკონტროლებდეს სამუშაოების ხარისხიანად შესრულებას, უნდა იბარებდეს და აქვეყნებდეს არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებს. ეს ჩვენთან ჯერჯერობით ასე არ არის. ამბობენ, რომ კანონმდებლობაში ცვლილებები იქნებაო და ვნახოთ, მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება.

• საქართველოს უნივერსიტეტში არქეოლოგიის პროგრამა შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ სწრაფად და მიზანმიმართულად ვითარდება. რას ურჩევდით საქართველოს უნივერსიტეტისა და ზოგადად არქეოლოგიის სპეციალობის ქართველ სტუდენტებს.

საქართველოს უნივერსიტეტში განსაკუთრებით მომწონს ის, რომ სტუდენტებს აქვთ საველე პრაქტიკა. მომწონს ის, რომ უნივერსიტეტმა აირჩია ერთი ობიექტი, სამშვილდის ნაქალაქარი, სადაც სტუდენტები საველე პრაქტიკას თანამიმდევრულად და სტაბილურად გადიან. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. კარგი იქნება, თუ სხვა უნივერსიტეტებიც მას მიბაძავენ. თსუ-ში სტუდენტების საველე პრაქტიკა აქტიურად მიმდინარეობს, მაგრამ სხვა უნივერსიტეტებზე ამას ვერ ვიტყვით.

სამშვილდე შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი ქალაქი იყო და არქეოლოგიური გათხრები იქ ხორციელდება წინასწარ შედგენილი გეგმით, რომელიც ითვალისწინებს საბოლოოდ ნაქალაქარის გადაქცევას მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტად. ეს იქნება მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც დამთვალიერებლები შუა საუკუნეების ქუჩებში ივლიან.

არქეოლოგია ისეთი მეცნიერებაა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ყველაზე ახლოს დგას არაჰუმანიტარულ-საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებთან. იგი შეისწავლის ადამიანის წარსულს ნივთიერი კულტურის კვლევის საფუძველზე, კულტურა კი არის ყოველივე ის რაც ადამიანმა შექმნა.

არქეოლოგიური მემკვიდრეობა კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილია, რომელიც რაღაც მიზეზების გამო წარსულში მიწაში დაიმარხა ან წყლით დაიფარა.

ამიტომ, ამ კულტურულ მემკვიდრეობას სხვანაირი მოვლა და დაცვა სჭირდება. გათხრის პროცესში ჩვენ არქეოლოგიურ ნივთებს პირობებს ვუცვლით - იმას, რაც ადრე მიწის სიღრმეში იყო, სხვა პირობებთან უწევს შეგუება, ამიტომ მიწიდან ამოღებისთანავე სჭირდება კონსერვაცია და დაცვა.

ინფორმაციის ძალიან დიდ ნაწილს არქეოლოგი სწორედ გათხრების პროცესში იღებს, და რადგანაც კვლევის პროცესში არქეოლოგი სხვადასხვაგვარ მასალას ხვდება, მან ბევრი რამ უნდა იცოდეს. არქეოლოგს, როგორც ქირურგს, შეცდომის უფლება არ აქვს.

არქეოლოგია, გარკვეული თვალსაზრისით, ქვეყნის იმიჯმეიკერია იმიტომ, რომ წარსულით ყველა ტრაბახობს. ჩვენ, ამ ქვეყნის შვილებს, სატრაბახო ნამდვილად გვაქვს. თუმცა, ქართველ ხალხს ვუსურვებდი, რომ მამა-პაპას პატივი სცეს, მაგრამ დღევანდელობითაც ეტრაბახოს. მომავალ არქეოლოგებს ვუსურვებდი იყვნენ ქვეყნის პატრიოტი შვილები, იცოდნენ, რომ მხოლოდ მათ ექნებათ უფლება და ბედნიერება, პირველებმა ნახონ ჩვენი საერთო წინაპრების ნახელავი. თუმცა ამას ბედნიერებასთან ერთად უზარმაზარი ვალდებულებაც ახლავს - არქეოლოგიური მონაპოვარი ჩვენი ქვეყნის, ერის და შვილიშვილების საკუთრებაა, ამას სჭირდება ძალიან დიდი სიფრთხილე და ცოდნა. ეს ბედნიერება კი ბევრ რამეს გვავალებს.

ინტერვიუ მოამზადეს

მარიამ გაგისონიამ
მარიამ ზარიძემ

არქეოლოგიის სპეციალობის IV კურსი ,
საქართველოს უნივერსიტეტი

გასული წლის ზაფხულში იულონ გაგოშიძეს 82 წელი შეუსრულდა. ჟურნალი “არქეოლოგია“ მას ჯამრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.